ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 ოქტომბერი 1999 №200 (973) | ფასი 50 თეთრი


# დღეს ქართული სპორტის საუკუნე გასრულდება

XX — არეული, ომთა სიმრავლით დამძიმებული, გამოუცნობი, დიდი სპორტული მატჩივით „მეორე ტაიმის“ ბოლოს კვანძგახსნილი, ჩვენთვის დღენიადაგ თავისუფლების ნატვრით გაჟღენთილი ასწლეული ქართულმა სპორტმა სულით და ხორცით ნატანჯ, მაგრამ გაუტეხელ ხალხთან ერთად გამოიარა და თუკი რამემ აქართველა ქართველობა, ამათგან ერთი ჩვენი სპორტიც იყო. ჩვენი სპორტი კი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებია, რომელთაგან საუკეთესოებს — სპორტსმენებს, გუნდებს, მწვრთნელებს და სპორტის მოღვაწეებს დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ და უმაღლეს დონეზე დააჯილდოებენ.

სამწუხაროდ, იქნება სევდაც — საუკუნის რჩეულთაგან ბევრი ამ დღეს ველარ მოესწრო. საუკენეთა შესაყარი ჟამის საკადრისი ეს იდეა და მისი განხორციელება — მრავალეტაპიანი, სოლიდური რეფერენდუმი და დღევანდელი საზეიმო ცერემონიალი — საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის დამსახურებაა. ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება და საუკუნის სახელით კეთდება.






FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## მიკა ჩემპიონია?

## ირვინს და შუმახერს პირველობა წაართვეს

ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპი — მალაიზიის დიდი პრიზი კვირას სკანდალით დასრულდა.

ასპარეზობის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებზე გასულ „ფერარის“ პილოტებს ედი ირვინს და მიხაელ შუმახერს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგან მათი ბოლიდების კონსტრუქციული ელემენტები, კერძოდ, დეფლექტორის წინა ნაწილების ზომები და მდებარეობა არ შეესაბამებოდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მოთხოვნებს. ეს დარღვევები რბოლისას მათ გარკვეულ უპირატესობას აძლევდა.

გამარჯვება მესამეადგილოსან მიკა ჰაკინენს მიეკუთვნა. ფინელ მრბოლს 72 ქულა დაუგროვდა, ირვინს კი 60 დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ეტაპის შედეგის მიუხედავად, ჰაკინენი მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონია, კონსტრუქტორთა თასი კი „მაკლარენმა“ მოიპოვა. „ფერარიმ“, ბუნებრივია, FIA-ში პროტესტი შეიტანა. სააპელაციო ჟიური ამ დღეებში შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს. მიკას და „მაკლარენის“ ჩემპიონობის საკითხიც მაშინ გადაწყდება. „ფერარის“ ხელმძღვანელობა იმედიანადაა, რადგან, მათი თქმით, ასეთი „დარღვევა“ წინა ეტაპზე, „ნიურბურგრინგზე“ რბოლისასაც გვქონდა და მაშინ არავის გამოუთქვამს ამის გამო პრეტენზიაო.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

## ხუთი ვიცით, სამს ველით



მორაგბეთა მსოფლიოს თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ბედმა ერთმანეთს ავსტრალია და უელსი შეახვედრა. სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი და ახალი ზელანდია კი ელიან მეტოქეებს, რომლებიც ხვალ გასამართ ინგლის—ფიჯის, შოტლანდია—სამოასა და ირლანდია— არგენტინის მატჩებში გაირკვევა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

## პრეზიდენტი ხუმრობის ხასიათზეა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ავადმყოფობის შესახებ ალბათ უკვე იცით.

პრეზიდენტი ისევ ნევროლოგიის ინსტიტუტის კლინიკაშია და ექიმების მეთვალყურეობით მკურნალობს.

ჩვენ კი წუხელ შევიტყვეთ, რომ მერაბ ჟორდანიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება და თავს უკეთ გრძნობს — ანეკდოტებსაც უყვება მნახველებს.

რაც შეეხება საავადმყოფოდან მის გაწერას, ექიმების თქმით, ეს უახლოესი მომავლის საქმეა.



მერაბ ჟორდანია უკეთაა

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 8 ტური

### «ა» ზონა

16 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| ბათუმი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| სამგურალი | 1 |

17 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| თბილისი | 3 |
| სიონი | 4 |
| არსენალი | 0 |
| ლოკომოტივი | 4 |

### «ბ» ზონა

16 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| გორდა | 0 |
| ხობი | 0 |
| კოლხეთი | 3 |
| მერანი | 0 |
| იბერია | 0 |

17 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| დილა | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 6 | 0 | 2 | 15:7 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 16 |
| სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:12 | 11 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| ბათუმი | 8 | 2 | 5 | 1 | 4:3 | 11 |
| თბილისი | 8 | 2 | 3 | 3 | 17:16 | 9 |
| სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:13 | 7 |
| არსენალი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:12 | 5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 7 | 1 | 0 | 19:5 | 22 |
| კოლხეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12:11 | 15 |
| დილა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| იბერია | 8 | 2 | 3 | 3 | 5:9 | 9 |
| მერანი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:9 | 8 |
| გორდა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:8 | 7 |
| თსუ | 8 | 1 | 4 | 3 | 4:7 | 7 |
| ხობი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | 5 |

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები

საქართველოს 11 ჩემპიონატი

8 ტური

# ყველა საქმეს ცოდნა უნდა!

თბილისი
16 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 2:1 ბათუმი**

1:0 აშვეთია (3), 2:0 ალექსიძე (7), 2:1 გადელია (85)
**დინამო:** დონდტი, ხიზანეიშვილი, დიდავა, ვაშაკიძე, გუჩუა, ა. სახვაძე (წიტაიშვილი 70), სიჭინავა, გ. შენგელია (პ. ჯინჭარაძე 50), ანჩაბაძე, აშვეთია (ვ. გიგიაძე 79), ალექსიძე
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; კობიაშვილი, შაშიაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარძე, ქაცარავა (აფხაზავა 46), თედორაძე (რომანაძე 30), კობიძე, გელა ქორიძე, ტულუში, ა. მუჯირი (გადელია 73), მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; სიხარულიძე, ფირცხალაიშვილი
**გაფრთხილება:** ანჩაბაძე (38)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ურუშაძე (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

ვახტანგ ბზიკაძე

**არბიტრს** სათადარიგო მსაჯისთვის წამატებული დრო უკვე ნაჩვენები ჰქონდა, ბათუმელებმა აფხაზავას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა რომ ჩააწოდეს და ზურაბ არჩვაძემ კარის შორეულ ძელთან დაუხვედრა თავი ბურთს, მასპინძელთა ბედად, დენიტ დონდტს ახლო კუთხე დაფარული ჰქონდა და ბურთიც მოიგერია, თორემ დასაწყისშივე გადაწყვეტილი მატჩის ბედი სათუო გახდებოდა.

არადა, მესამე წუთზე შენგელიას გამოზომილ ჩაწოდებას ანჩაბაძე რომ გამოეხმაურა, ბათუმელებს განსაცდელი მიუახლოვდათ. ანჩაბაძის თავური ტოგონიძემ მოიგერია, მაგრამ შორს ვერა. ყველას აშვეთიამ დაასწრო — 1:0.

თამაშის ცენტრიდან განახლება იყო და, გელა ქორიძის გრძელი, ზუსტი პასი საჯარიმოში კობიძემ გაჭრა, ბურთთან ამირან მუჯირი გაჩნდა. რომ არა დონდტის კარგი რეაქცია, ანგარიში გათანაბრდებოდა.

ჩანდა, „ბათუმი" სწრაფ გოლს ვერ გაეტეხა და ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა, მაგრამ მეშვიდე წუთზე „დინამომ" მეორედ გაიტანა და თამაშს ინტერესი დაუკარგა.

კუთხურიდან ანჩაბაძემ კარგად ჩააწოდა და რატი ალექსიძემაც ძლიერი თავურით გააორმაგა ანგარიში — ტოგონიძის ცოდვას, გინდა თუ არა, რატომ არ გამოვიდაო, ვერც აქ იტყოდა კაცი, ასეთი ადგილიდან თავდამსხმელს მცველმა არ უნდა დაარტყმევინოს.

ტაიმის შუაწელამდე ისევ „დინამოს" უპირატესობა იგრძნობოდა — ალექსიძემ ჯერ ახლოდან ააცილა აშვეთიას თავური პასი კარს, მერე კი შორიდანაც გაუცუდდა მიზანი.

ნახევარი საათი რომ მიილია, კარნევალემ ერთი ახალგაზრდა თედორაძე მეორე — რომანაძით შეცვალა. ეს გვარები ქომაგებს, თუნდაც „ბათუმის" ხშირად მნახველთ, ბევრს არასეუბნება, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს სწორედ რომანაძის გონივრულმა და აქტიურმა თამაშმა შეუნარჩუნა მატჩს სამეორეტაიმოდ მცირედი ინტრიგა.

37-ე წუთზე არჩილ რომანაძის კარგი ჩაწოდება პაატა მაჭუტაძემ შეუჩერებელი დარტყმით რომ დააბოლოვა, ისევ დონდტმა იყოჩაღა.

ცენტრიდან თამაში „ბათუმმა" კიდევ ერთი ცვლილებით დაიწყო.

— კარნევალემ ქაცარავას აფხაზავა შეუნაცვლა. მან იმდენი იაქტიურა, სანამ დონდტი ალებული თუ მოგერიებული დარტყმებით არ მოღალა. ტაიმის მიწურულს კი ჯინჭარაძეს და ხიზანეიშვილს „ბლოკი" დაუნგრია, კარის გასწვრივ ჩააწოდა და კიდევ ერთმა შეცვლაზე მოთამაშემ, გადელიამ, ბურთი მშვიდად შეაგორა კარში.

თამაში დაიძაბა, „ბათუმმა" მასპინძლები კარს მიაჯაჭვა, ახლა გადელიამაც იაქტიურა, მაგრამ საქმე ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ კვარაცხელიამ აფხაზავასთან ბრძოლისას დინამოელი დააჯარიმა, ჯარიმას არჩვაძის თავური მოჰყვა, ბურთი დონდტმა მოიგერია და „დინამო" გადაარჩინა.

„დინამო" მართლა გადარჩა. დონდტს გამოცდილება შეეშველა. და კიდევ, სხვისი არ ვიცი და, ჩემი აზრით, მწვრთნელის ხელი „ბათუმს" უფრო ეტყობოდა. „დინამომ" კი 2:0-ის მერე აღარ იცოდა, რა ეკეთებინა. ცოტა დააკლდა, მატჩის დასაწყისშივე მოპოვებული უპირატესობა „ეროვნულზე" მოთარეშე ქარს არ გაატანა...



თამაშის ბოლო წუთი: ზურაბ არჩვაძის (№3) თავურ დარტყმას „დინამოს" მეკარე დენიტ დონდტი იგერიებს

# ფეხბურთი პროვინციაში!

თბილისი
17 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**თბილისი 3:4 სიონი**

0:1 დათუაძე (9), 1:1, 2:1 მელქაძე (23, 47პ), 2:2 დ. გოდერძიშვილი (77პ), 2:3 დათუაძე (82), 2:4 დ. გოდერძიშვილი (88), 3:4 მიქაძე (90პ)
**თბილისი:** ა. ჩიხრაძე, რუხაძე, მაჭავარიანი, ებრალიძე (ისიანი 23), ზამთარაძე, ო. გველესიანი, კვარაცხელია, ბურდული, ვ. გაგუა, გიორგი მიქაძე, ლ. მელქაძე (ი. შენგელია 66)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ენუქიძე, კანდელაკი, ნორაკიძე
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, სიდამონიძე, ყიფშიძე (კაპანაძე 68), დ. სვანიძე, სოლოლაშვილი (ტარულაშვილი 81), მ. გოგოლაძე, დათუაძე, თ. სამხარაძე (მ. სამხარაძე 55), მოსეშვილი, დ. გოდერძიშვილი
*სათადარიგონი:* ვოლკოვი; ლ. გაგუა, დ. ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი
**გაფრთხილება:** თ. სამხარაძე (33), ზამთარძე (51)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. ჯვარიძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

ხვიჩა სანიკიძე

**ჰო-ჰო,** რა გაიხარეს ბოლნისელებმა. ის იყო, საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, რომ დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებულთა უმრავლესობა „სიონი", „სიონის" ყვირილით წამოიშალა.

„ალა და ფანები" სტუმრობდნენ დედაქალაქს. ქულის მოპოვების იმედად ჩამოჰყვნენ „სიონს" და რომ ნახეს, მოგებაც შეუძლიათო, ხმამაღალ შეძახილებს უხშირეს. ეს განწყობილება ბოლნისელთა სამარქაფოებსაც გადაედო და ბოლო ათი წუთი ფეხზე იდგნენ „სიონის" სათადარიგონი...

ერთ რამედ ღირდა მატჩის შემდეგ ალას ნახვა. ბოლნისელ ქომაგთა წინამძღოლი ნაბიჯ-ნაბიჯ კი არა, ფრენა-ფრენით ტოვებდა „ეროვნულს" და ძალიანაც რომ გდომებოდა, ვერ დაეწეოდი. „მანდ რა მინდა, აქვე არ არის?" — ამბობდა ალა და რა ძნელი მისახვედრი იყო — თბილისიდან ბოლნისისკენ მიმავალთ თითო ჭიქა უნდა აეწიათ სიონელთა სადღეგრძელოდ...

ჩემდა უნებურად, „ლარწყალი" და მისი გულშემატკივრები გამახსენდა. კახეთის რეგიონის დაუმარცხებელი პირმშო, ერთწლიანი არსებობით რომ დაგვამახსოვრა თავი და დღესაც...

აჩრდილი დატოვა „ეროვნულზე", „ლარწყალის" აჩრდილი. დავით დათუაძე დაჰქროდა მოედანზე და გვახსენებდა ერთ ჭეშმარიტებას — ქართულ ფეხბურთს მომავალი არ აქვს პროვინციული ფეხბურთის გარეშე...

„ლარწყალიდან" „სიონში" გადაბარგებული ტანმორჩილი დათუაძე, მისი სეხნია ექსლოკომოტიველი გოდერძიშვილი და პლუს ტრადიციული ბოლნისელთა გუნდი — ძალა, რომელიც თანდათან მობილური და სტუმრადაც ანგარიშგასაწევი ხდება...

გუშინწინ ორივე გუნდი შესუსტებული შემადგენლობით დაუპირისპირდა ერთმანეთს. კლუბებმა ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებული მოთამაშეები მოისაკლისეს. ასეთ შემთხვევაში, წესით, საკუთარი მოედნის ფაქტორი უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ...

მე-9 წუთზე დათუაძემ „თბილისის" ლიბერო მაჭავარიანს ჩაუქროლა და მეკარესთან პირისპირ გასულმა აუღელვებლად გახსნა ანგარიში — 0:1.

დარჩენილი დრო მასპინძლების უპირატესობაში გაილია. თუმცა თბილისელები საგოლე მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ და ის გოლი, რომელიც მელქაძემ 23-ე წუთზე გაიტანა, მთლიანად ბოლნისელთა მცველების სინდისზეა. მათ მიერ ახლოში მოგერიებული ბურთი საჯარიმოში თავისუფლად მყოფმა მელქაძემ ოსტატურად დაარტყა. ბურთი ხარიხას მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა — 1:1.

მეორე ნახევრის დებიუტში „სიონის" კარში დანიშნული ცოტა საეჭვო პენალტიც მელქაძემ გარდასახა გოლად და თითქოს ბოლნისელთა ქულის მოპოვების შანსი გააქარწყლა.

დათუაძე, გოდერძიშვილი და კომპანია არ ცხრებოდა. „სიონმა" მარწუხებში მოაქცია „თბილისი" და მხოლოდ კონტრშეტევების ამარა დატოვა. ერთ-ერთი ასეთი კონტრიერიშის დროს მელქაძე სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა. დალაქიშვილმა დასწრებაზე ითამაშა და ჯერ ბურთს შეეხო, შემდეგ კი თავდამსხმელს. შეჯახება ძლიერი გამოდგა. ძირს დანარცხებულ მელქაძეს სუნთქვა შეეკრა და საქმეში სასწრაფო დახმარების მედპერსონალი ჩაერია. მინდორზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, იყო უადგილო გამოხდომებიც. ფეხბურთი ვაჟკაცთა თამაშია და ამ ეპიზოდსაც უფრო მომზადებული უნდა შეხვედროდა ყველა. ბოლნისელთა მეკარეს თავისი გაჭირვება ჰყოფნიდა — 64-ე წუთიდან მოყოლებული ხშირად ეკითხებოდა ხოლმე კარს უკან მდგომ ფოტორეპორტიორს — „როგორაა ის ბიჭი? საავადმყოფოში ხომ არ წაიყვანესო?..

77-ე წუთზე სოლოლაშვილმა მარცხნიდან ბურთიანად შეირბინა „თბილისის" საჯარიმოში და რუხაძე აიმულა, წესი დაერღვია. პენალტი. ჩიხრაძემ გოდერძიშვილს კუთხე კი გამოუცნო, მაგრამ ბურთი ბოლომდე ვერ დაიმორჩილა — 2:2.

5 წუთში „სიონმა" ლამაზად გაითამაშა ბურთი. გოგოლაძემ თავით ჩაჭრა მასპინძელი მცველის პასი და ბურთი გოდერძიშვილს დაუგდო. დავითმა უკან მდგომი დათუაძე შენიშნა. საჯარიმოს კუთხეში მყოფმა დათუაძემ ისეთი მოჭრილი გაგზავნა შორეული კუთხის ცხრიანში... ამ გოლის ავტორობას ბევრი ინატრებდა — 2:3.

„თბილისი" ვერ დალაგდა. ქომაგობით გამხნევებული სტუმრები კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. 88-ე წუთზე კაპანაძემ მარცხენა ფლანგზე დაუფლებული ბურთი მოედნის ცენტრალურ ხაზთან მყოფ გოდერძიშვილს გადააწოდა. თავდამსხმელმა დაახლოებით 40 მეტრი ირბინა ბურთიანად და მდევარ მცველსა და დამხვდურ მეკარეს შანსი არ დაუტოვა — 2:4.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში სვანიძე საჯარიმოში ხელით იჭერდა ისიანს და ეს უკანასკნელი მინდორზე აღმოჩნდა. შეხვედრის რიგით მესამე პენალტი ამჯერად მიქაძემ გაიტანა და ორბურთიანი სხვაობით თანაგუნდელები წაგებისგან იხსნა — 3:4.

მერე კი... მოზეიმე „სიონი" და მცდარი შეხედულება — ქართული ფეხბურთი პროვინციული ფეხბურთის გარეშე...



კახა ებრალიძე და დუბლის გამტანი დავით გოდერძიშვილი (ბურთით)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეეშალა და რა ქნას?

**თბილისი**
16 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 3 000)

**მერანი 0:0 იბერია**

**მერანი:** ნაჭყეპია, პ. ლურსმანაშვილი, ივანიშვილი (ლ. ამბიძე 68), ჯიშკარიანი, ხარებავა, ჭინჭარაული (კარიაული 68), დავითაშვილი, ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, დევიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კორომშინაძე, მელიქია, ცქიფურიშვილი, ბაჯელიძე, კოშკაძე
**იბერია:** გ. დოლიძე, კ. მეტრეველი, ნიკოლეიშვილი, ბიწაძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე (დარსაძე 61), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე, ბანძელაძე, ხურციძე, ნ. გიორგაძე, ვარდანიძე
**გაფრთხილება:** ზ. მეტრეველი (5), ჯიშკარიანი (21), კ. მეტრეველი (24), ივანიშვილი (63), დოლიძე (72)
**გაძევება:** პ. ლურსმანაშვილი (77)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, ზ. დოლიძე, ა. მეშკოვი, დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

**ვანო ოქროპირიძე**

„ნავაძემ ფული არ მისცა და ვსიო, რა" — ეს სიტყვები ტრიბუნაზე მჯდომმა მავანმა ქომაგმა მატჩის 77-ე წუთზე წარმოთქვა. ადრესატი კი შეხვედრის მთავარი მსაჯი ალექსანდრე კრიჭაშვილი გახლდათ. ფულის აღებ-მიცემობაზე ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, ერთი რამის თქმა კი გადაჭრით შემიძლია: კრიჭაშვილმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა — სრულიად უდანაშაულო პაატა ლურსმანაშვილი მინდვრიდან გააძევა.

77-ე წუთი მიმდინარეობდა, პაატა ლურსმანაშვილი სამტრედიელთა კარისკენ დაიძრა. საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მას ფეხებში მიქელთაძე ჩაუვარდა და ბურთი წესების დარღვევით აართვა. მიქელთაძეს დავითაშვილი მივარდა და ბურთისთვის ბრძოლისას ფეხში გამეტებით ჩასცხო. კრიჭაშვილმა ვერაფერი დაინახა (ვერ გეტყვით, სად იყურებოდა) და თამაში გააგრძელა. სამტრედიელებმა ბურთი აუტში გადააგდეს, წაქცეულ მიქელთაძესთან მისულ არბიტრს კი რაღაც უთხრეს. კრიჭაშვილი ფეხბურთელთა ნათქვამს ენდო, შემობრუნდა, პაატა ლურსმანაშვილს დაუძახა და ყვითელი ბარათი უჩვენა, რასაც უმალ წითელი მოაყოლა. მერანელები გაოცდნენ, მსაჯს შემოეხვივნენ და სიმართლის მტკიცება დაუწყეს, თუმცა ამაოდ, კრიჭაშვილმა ერთი კი თქვა, შემეშალაო, მაგრამ მერე კრიჭა შეკრა და გადაწყვეტილება აღარ შეცვალა.

საოცარია, ნუთუ თანამსაჯებმაც ვერაფერი დაინახეს? მათ მაინც შეეძლოთ, არბიტრი ყველაფერში გაერკვიათ.

თამაშის შემდეგ მასპინძლებმა მატჩის დელეგატ გია ძამუკაშვილსა და ჟურნალისტებს იმ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი გვანახეს, სადაც მსაჯის შეცდომა ნათლად გამოჩნდა. შეეშალა და რა ქნასო — თქვა დელეგატმა. კრიჭაშვილს რომ შეცდომა გამოესწორებინა და გაძევებული ლურსმანაშვილი მაშინვე დაებრუნებინა, არც არავინ დაძრახავდა და თამაშის შემდეგ გასახდელში ერთი საათიც არ დაელოდებოდა გარეთ ვნებათაღელვის ჩაცხრომას.

მე და ჩემი კოლეგები ერთმა ფაქტმაც გაგვაკვირვა. მატჩის ოქმში პაატა ლურსმანაშვილის გაფრთხილებას თვალი ვერ მოვკარით. მსაჯს ბარათები აერია, პირდაპირ წითელი უნდა ეჩვენებინაო, ცოტა უცნაურად აგვიხსნა ყოველივე ძამუკაშვილმა, რომელმაც თავად ლურსმანაშვილიც დაამშვიდა, პირობას გაძლევ, დისკვალიფიკაციას არ მოგცემთო.

მერანელები კი თავისას (დაკარგულ ქულებს) ჩიოდნენ, მართლებიც იყვნენ. უინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ, დაახლოებით მე-60 წუთიდან მოყოლებული მასპინძლები „იბერიას" ნახევარზე დასახლდნენ და სტუმრებს გამუდმებით უტევდნენ. მატჩში ყველაზე სახიფათო მომენტებიც მაშინ შეიქმნა, მეკარესთან პირისპირ გასულ როსტიაშვილს დოლიძემ აუღო. მანვე მოიგერია ივანიშვილის ჯარიმიდან ძალიან სახიფათოდ დარტყმული ბურთიც. „მერანი" დაწოლას სულ უფრო აძლიერებდა. სწორედ ამ დროს მოხდა ზემოაღნიშნული ფაქტი. იმის მტკიცებას ვერ დავიწყებ, „მერანი" ათი კაცით რომ არ დარჩენილიყო, თამაშს უეჭველად მოიგებდა-მეთქი, შეიძლება მასპინძლებს მეტოქის კონტრშეტევა გაჰპარვოდათ და სულაც წაეგოთ, მაგრამ კრიჭაშვილის მოქმედებამ რომ საბოლოო შედეგზე გავლენა მოახდინა, ფაქტია. ტრანსპორტელებმაც საგრძნობლად გაიუარესეს ოთხეულში მოხვედრის შანსები.

ისე, კიდევ კარგი, ამ მატჩის დელეგატი სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო არ იყო, თორემ, კრიჭაშვილის შემხედვარე, გული შეუწუხდებოდა.



მერანელებმა დიდი მცდელობის მიუხედავად არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს ვერაფერი შეასმინეს

# სამი ერთითაცაა...

**ქუთაისი**
16 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
2 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 1:0 გორდა**

1:0 მეგრელაძე (36)
**ტორპედო:** ქანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე (ვაჩიბერაძე 80)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი, მახვილაძე, ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი, ბობოხიძე, ასათიანი
**გორდა:** გონგაძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ბერიძე, თელიაშვილი, მ. სახვაძე, ა. ბუკია (მიშველიძე 50), კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* მ. ქორიძე, ჩიგოშვილი, ჩიტაური, ბაჩილავა
**გაფრთხილება:** გაბელაია (5), ალადაშვილი (26)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. ლაცაბიძე

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

„ტორპედო" უდავო ფავორიტი გახლდათ. გასარკვევი ერთიღა რჩებოდა: რა ანგარიშით გაიმარჯვებდნენ მასპინძლები, უშელავათებდნენ თუ არა, ბოლო დროს დაბრიყვებულ მეტოქეს.

თამაში ისე დაიწყო, იფიქრებდით, „გორდა" მორიგ განადგურებას ვერ გადაურჩებოდა. მართალია, სტუმრებმა იმთავითვე ყრუ დაცვას მიმართეს, საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტნენ, მაგრამ ტორპედოელებს ამით ხელი დიდად არ შეშლიათ. მასპინძლებმა ჩვეულად, ფართო ფრონტით შეუტიეს და უკვე მე-5 წუთზე შეეძლოთ დაწინაურება. „გორდას" კაპიტანმა გაბელაიამ ხელით შეაჩერა ბურთი და, რა თქმა უნდა, ჯარიმა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. გოგიაშვილმა სტუმართა საჯარიმოში მეგრელაძის მისამართით გაგზავნა ბურთი. გიამაც უმალ თავური შეაგება, ოღონდ ოდნავ აუცდა. მერე ჯანაშიამ ჩააწოდა მეგრელაძეს. ისევ თავური, მაგრამ სუსტად, მეკარემ აუღო. რაღაც ნახევარ წუთში მეგრელაძემ მესამედაც დააფრთხო რუსთაველები, შეყრილაძის მარჯვნიდან ჩაწოდებულს მაკრატელა მიაყოლა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ აისრულა. მე-11 წუთზე გოგიაშვილმა საჯარიმოს გარედან დაარტყა სახიფათოდ, გონგაძემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი. მალე იმავე გოგიაშვილმა ჩინებული პასით მეგრელაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კვლავაც იმარჯვა დებიუტანტმა გონგაძემ, ტორპედოელს წამით დაასწრო და სიტუაცია განმუხტა. აი, ასეთი გამოდგა ტაიმის პირველი მესამედი.

მერე და მერე ტორპედოელთა შეტევები რატომღაც შენელდა, თუმც თამაში ისევ ერთ, სტუმართა ნახევარზე მიმდინარეობდა. „გორდა" 8-9 კაცით იცავდა თავს და კონტრშეტევის უნარიც არ შესწევდა. წინ წაწეული ლაშა ალადაშვილი უსაქმოდ იდგა მოედნის ცენტრში. სტუმრებს აშკარად აკლდათ თამაშის დამლაგებელი. ვარლამ კილასონიას გარეშე „გორდა" არაფრის მაქნისი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

33-ე წუთზე მეგრელაძემ სამეკარეოსთან ახლო კარის ხაზთან გაბელაია მოატყუა და მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა. მეკარემ ძელთან მიუსწრო ბურთს და ფეხით კუთხურზე გადააგდო. სტუმრები ერთხელ კი გადაურჩნენ ხიფათს, მაგრამ სამ წუთში გოლის დროც დადგა. ჯანაშიამ გაიბრწყინა მარჯვენა ფლანგზე, შურდულივით ჩაუქროლა მცველებს და ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა, მეგრელაძემაც დაუფასა, დასწრებაზე ითამაშა და ათიოდე მეტრიდან ზუსტად დაარტყა. შესვენებამდე მასპინძლებს გატანის ორი შანსიც მიეცათ, მაგრამ ჯერ ჩხეტიანის შორიდან დარტყმული მცირედით ასცდა ჯვარედინს, მერე იონანიძესაც არ გაუმართლა, ახლოდან თავურით ხარიხას ოდნავ გადააცილა.

მეორე ტაიმი გასაკვირად მოსაწყენი შეიქნა. მასპინძლებმა მთლიანად მოადუნეს ტემპი და ინდივიდუალურ თამაშს მიჰყვნენ. „გორდას" ამოსუნთქვის საშუალება მიეცა და 55-ე წუთზე ამ მატჩში პირველად და ერთადერთხელ შეუტია სახიფათოდ მეტოქეს. კიტეიშვილი გაეპარა ქუთაისელ მცველებს. რუსთაველმა საჯარიმომდე მიაღწია, მაგრამ კარისკენ უხეიროდ დაარტყა. „ტორპედო" კი თამაშის შუაწელში ოდნავ გამოცოცხლდა, ადგილობრივმა ქომაგებმა აიძულეს, თორემ... მეგრელაძეს, ხვადაგიანს და ჯანაშიას კარგი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ „გორდას" დებიუტანტი მეკარეც ყოჩაღად იდგა. თუმც სამი ქულა ერთ გოლსაც ხომ მოაქვს...



გია მეგრელაძის (№10) გოლი ლიგის დებიუტანტ გია გონგაძის კარში

# კოლხეთს მწვრთნელი გადაჰყვა

**ხობი**
16 ოქტომბერი
16 საათი
კოლხეთი
1 000 (ტევადობა 12 000)

**ხობი 0:3 კოლხეთი**

0:1; 0:2 შალამბერიძე (63, 78), ტორჩინავა (85)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, გედენიძე, ზურაბ აიანადი, თორია, გოგიტაძე, ვ. ჩიტაია (დანელია 61), ბუკია, ლ. გვაზავა, ზაზა აიანადი (ალანია 17)
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ჭიჭინაძე, ჯამბურია, ხურცილავა, ტყებუჩავა
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუნთელია, დავითნიძე, ტრაპაიძე (ჯლარკავა 83), ხუჭუა (მელაძე 87), კოკლიაშვილი, ღაღანიძე (პაპავა 89), ანჯაფარიძე, შალამბერიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; გოგოლაძე, ბულუხია, ჭოხონელიძე
**გაფრთხილება:** ონიანი (12), ანჯაფარიძე (67), ნიქაბერიძე (79), გოროზია (81)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. მარგიშვილი (გორი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

**თენგიზ ძოჩუა** ხობიდან

**დაახლოებით** ერთი თვის წინ მეთერთმეტე ეროვნულის „ბ ჯგუფის" სადებიუტო მატჩში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ფოთელებს, რომლებიც სეხნია ხობელების წინააღმდეგ აშკარად მოსაგებად გამოვიდნენ მოედანზე, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და შეხვედრის ბოლო წუთზე გაშვებული გოლების წყალობით დებიუტანტ მეზობლებს 3 ქულა გაატანეს შინ.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ფოთელებმა მდგომარეობა გამოასწორეს და ჯგუფში მეორე ადგილით იწონებენ თავს. ხობელები კი... მათ იმის შემდეგ ერთი მატჩიც ვერ მოიგეს და ორი კინკილა ფრის გადამკიდე 5 ქულით ბოლო ადგილზე ჩაყვინთეს.

თამაშამდე მთელი დღე წვიმდა და მოედანი საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა. არც თამაშისას შეწყვეტილა წვიმა.

ხობელებმა თავიდანვე შეუტიეს და სწრაფი გოლის გატანას შეეცადნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

მე-8 წუთზე ფოთელთა დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა. რომეო გოგიტაძე მარცხენა ფლანგზე მეურვეს გაექცა და საჯარიმოში ჩააწოდა; იქ კი უმეთვალყურეოდ დატოვებული თორია მეკარესთან პირისპირ დარჩა და 7 მეტრიდან პირდაპირ მეკარეს მოარტყა ბურთი. ეს იყო რეალური საგოლე მომენტი, რომლის მსგავსიც ხობელებს მთელი მატჩის განმავლობაში არ მისცემიათ.

მთელი ტაიმის განმავლობაში ბრძოლა მოედნის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობდა. წვიმიანი ამინდის გამო ჭირდა ბურთიანად გადაადგილება და ამიტომ მეტოქენი კარში იშვიათად ურტყამდნენ. ფოთელებმა შორიდანაც სცადეს ბედი, მაგრამ ამაოდ.

ტაიმის ბოლოს კვლავ მასპინძლებს მიეცათ თავის გამოჩენის შანსი. ზაზა კვეკვესკირმა თავით ზუსტად დაუგდო ბურთი თორიას, მანაც საჯარიმოში შესვლისთანავე ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

63-ე წუთზე შალამბერიძემ 25 მეტრიდან ძლიერად გაისროლა. გაისროლა და მერე როგორ... ბურთი კარისკენ გაფრინდა და პირდაპირ მეკარისაგან მარცხენა „ცხრიანში" გაიჭედა. ამ მომენტში ნიქაბერიძის დადანაშაულება არაფრით არ შეიძლება. ეს გოლი იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც „აუღებელი" ჰქვია.

გოლმა გატეხა მასპინძლები. ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს და...

ამის მერე სულ სტუმრები უტევდნენ და იხეირეს კიდეც. ლევან ანჯაფარიძემ კუთხურიდან ჩამოაწოდა, იქ კი მცველიდან ასხლეტილი ბურთი ეულად მყოფ შალამბერიძეს მიუვიდა და მანაც აულელვებლად დუბლი შეასრულა.

თამაშის მიწურულს ტორჩინავამ 40 მეტრი ბურთიანად გაირბინა, საჯარიმოში შეიჭრა, იქ მეკარე ჩაუვარდა ფეხებში და ბურთი აართვა. თითქოს არაფერი არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნიქაბერიძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, ტორჩინავასაც მეტი არაფერი დარჩენოდა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი მატჩის შემდეგაც სტადიონზე დარჩა. აღელვებული ხალხი ხობელთა თავკაც ჯონი აბაიშვილთან შეხვედრას მოითხოვდა. მათი აზრით ხობელთა წარუმატებლობა აბაიშვილის ბრალია და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ მის წასვლას. ზოგიერთი ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც კი მოითხოვდა. ყველა ერთხმად ითხოვდა მთავარი მწვრთნელის მოვალეობა კვლავ ფრიდონ გოცირიძისათვის ჩაებარებინათ.

ჯონი აბაიშვილი ხალხთან სალაპარაკოდ არ გამოსულა (ასეთ არეულობაში არც ღირდა).

გასახდელიდან გამოსული ფეხბურთელები კი გარეთ მყოფებს ამშვიდებდნენ, წავიდა ჯონი აბაიშვილი გუნდიდან, დღესვე მიდისო.

...ნელ-ნელა ხალხიც გაიფანტა.

ჯონი აბაიშვილმა კი აღნიშნა: „მორჩა, გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ ვარ. დღესვე შინ მივდივარ და ხობში დამბრუნებელი არ ვარ."

უსაფრთხოების მიზნით აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ავტომანქანამდე ფეხბურთელებმა მიაცილეს და...



ვიტელმა რევაზ გოცირიძემ ოთარ ბობოხიძეს ჰეთ-თრიკი გაუტანა

ნუგზარ კვითილაძის ფოტო

# თანადგომა არმიელებს

თბილისი
17 ოქტომბერი
16 საათი
ისანი
700 (ტევადობა 5 000)

**არსენალი 0:4 ლოკომოტივი**

0:1, 0:2 რუსია (16, 40), 0:3 ქებაძე (54), 0:4 ბაქრაძე (77)
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე (ყუფარაძე 32), ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ვ. ლუდუშაური, ხოსროშვილი, თარგამაძე, ვახტანგ გაგუა (სულაძე 58), ამირიძე (ყოლბაია 46), კაკაშვილი, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; რობაქიძე, წოწკოლაური, ჩალაძე
**ლოკომოტივი:** ჯანელიძე, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, კ. მელქაძე, ჩიხრაძე, ქობულაძე, კაციაშვილი, ჩომახიძე (იაგორაშვილი 46), ქებაძე (ბარნოვი 76), რუსია (ბაქრაძე 55), ამაშუკელი
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; შავგულიძე, ბერაძე
**გაფრთხილება:** თარგამაძე (43), ყოლბაია (55)
**გაძევება:** ყოლბაია (71)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. დოლიძე; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

პაატა კვანტალიანი

„ისანზე“ მისვლა მატჩამდე ორი საათით ადრე მომიხდა. მასპინძლები ფაციფუცობდნენ: „ბატონი ჯონი უნდა მოვიდეს. ყველაფერი იდეალურად უნდა იყოს“, განკარგულებას იძლეოდა სტადიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არმიელთა სამზადისმა იქვე ტრიბუნაზე სახელდახელოდ გაშლილი ორკაციანი სუფრაც შეიწირა — გვარიანად შეჭიკჭიკებულმა, მაგრამ „მუღამდაკარგულმა“ „ისნის“ სტუმრებმა უკმაყოფილოდ დაუცეს თავი კეთილშობილი სითხით ჯერაც სავსე ბოთლს და ბუზღუნით გაეცალნენ არასტუმართმოყვარე მასპინძლებს.

ბატონი ჯონი — „არსენალის“ პრეზიდენტი ჯონი ფირცხალაიშვილი, მატჩზე ვერ მოვიდა. მიუხედავად ამისა, „ბორჯომთცვენა“ „ისნის“ საპატიო სტუმართა ლოჟაში მაინც იყო. შეხვედრას „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე დაესწრო კომპანიით და გვარიანადაც ისიამოვნა შედეგით. „ლოკომოტივმა“ ერთიორად დაჯაბნა მეტოქე და საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწია.

რკინიგზელთა უპირატესობა მატჩის დებიუტშივე გახდა ცხადი. უკვე მეოთხე წუთზე ლევან ქებაძემ ლუდუშაურის შეცდომით ისარგებლა, მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეიჭრა და ბურთი ძლიერადაც დაარტყა კარის მიმართულებით. ჩლაიძემ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგერია იგი. სამაგიეროდ, ქებაძის მორიგი ფლანგური გარღვევა მე-16 წუთზე მამუკა რუსიამ გოლით დააგვირგვინა. ქებაძემ ერთობ მოუხერხებლად კი ჩააწოდა ბურთი საჯარიმოში, მაგრამ არმიელი მცველები დაიბნენ და კარიდან ექვსიოდე მეტრში დარჩენილ რუსიას ჩლაიძის მოტყუება არ გასჭირვებია.

ქებაძე — რუსიას დუეტზეა მასპინძელთა კარში გატანილი მეორე გოლიც. ლევანმა „არსენალის“ საჯარიმოში ორ მცველს აუბნია თავგზა და ბურთი იქვე ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს გადასცა. რუსიამაც ძლიერად გაისროლა და ტაიმის მიწურულს მასპინძლებს კიდევ ერთხელ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან განახლება.

54-ე წუთზე ქებაძემ მასპინძელთა მოდუნებულ მცველებს დაასწრო, მიქაძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი შეაგება და ანგარიშის სხვაობას ხილული ჰხდა. მეორე გოლი კი უკვე დროის საქმე იყო, რადგან 71-ე წუთზე „არსენალი“ მოედანზე ათი კაცით დარჩა — ფანიაშვილმა მეორე ყვითელი ბარათით ლაშა ყოლბაია გასახდელის გზას გაუყენა. ბურთიც მალე გავიდა — ამჯერად მელქაძის ჩაწოდებულს ბაქრაძემ დაუხვედრა თავი.

და „არსენალი“? დამარცხდნენ მასპინძლები, ჯგუფიდან გასვლის შანსიც საგრძნობლად შეამცირეს, მაგრამ, აბა, ვის უნდა მოუბრუნდეს ენა უხელფასობით გატანჯულ ბიჭებზე სააუგოდ.

კლუბის ხელმძღვანელებს დავალიანების ნაწილი დაუფარავთ, თუმცა, როგორც ჩანს, დარიგებული ფული მხოლოდ ამ მატჩის ჩასატარებლად იყო გათვლილი და იმდენად მცირეა, რომ ფეხბურთელები ხელს უიმედოდ იქნევდნენ — ჩვენი საშველი მაინც არ არისო. რა იქნება შემდეგ?

...„ისნის“ სტადიონის დიდ კედელზე ასომთავრულით იკითხება — „დიდება არმიელ სპორტსმენებს!“ დღეს არმიელებს თანადგომა უფრო სჭირდებათ, ამიტომ: „თანადგომა არმიელ სპორტსმენებს“ — ჩვენი ლოზუნგიც ეს იყოს.



მამუკა რუსიას ორი გოლიდან ერთ-ერთი თემურ ჩლაიძის კარში

ნუგზარ კვითილაძის ფოტო

# სრულფასოვანი რევანში

მცხეთა
16 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
700 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:1 სამგურალი**

1:0, 2:0 გოცირიძე (28, 42), 2:1 კოხრეიძე (52), 3:1 გოცირიძე (76)
**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი (თოდუა 80), ჭანკოტაძე, ბარქაია, ხართიშვილი (დილმელაშვილი 61), ზ. გვაზავა, კოტორაშვილი, ნოზაძე, ყიფიანი (საჯაია 61), გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე
**სამგურალი:** ბობოხიძე, დ. ჭელიძე, ფხაკაძე, ლ. ქობულაძე (ნებიერიძე 52), ვოსკანოვი, კოპალიანი (ზურაბიანი 46), სუხიაშვილი, სადილიანი, ძოძუაშვილი, კოხრეიძე, ლონლაძე (გაბლაია 78)
**გაფრთხილება:** ყიფიანი (40), ჭელიძე (63), კოტორაშვილი (73)
**მსაჯი:** ზ. ანიაშვილი (გორი); ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

შაბათს, მცხეთაში, „სამგურალმა“ მასპინძელ „ვიტ ჯორჯიას“ თითქოს წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ვეტერინარებმა მორიგი სამი ქულა მიითვალეს.

„ვიტ ჯორჯიას“ შარშანდელი თასის გათამაშებასა და ორრაუნდიან პაექრობაში საბოლოო მარცხს რა დაავიწყებდა. სწორედ ამის შემდეგ მონათლეს ვეტერინარებმა წყალტუბოელები უხერხულ მეტოქედ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. „სამგურალი“ საგრძნობლად დასუსტდა და მეთერთმეტე ეროვნულის სადებიუტო მატჩიც წააგო „ვიტ ჯორჯიასთან“.

თქმა არ უნდა, დღევანდელი „ვიტ ჯორჯია“ „სამგურალზე“ გაცილებით ძლიერია. შაბათსაც თბილისელებმა საქმის მომთავრება პირველ ტაიმშივე ჩაიფიქრეს და გულისწადილიც აისრულეს. ბევრი რაღა გავაგრძელოთ, „ვიტ ჯორჯიამ“ სრულფასოვანი რევანში აიღო

რატომ წააგო „სამგურალმა“? იმიტომ, რომ სტუმრებმა ფაქტობრივად ფავდაცვის გარეშე ითამაშეს. წყალტუბოელთა თავკაც იასონ ბზიკაძეს მინდორზე მცველები კი გაემწესებინა, მაგრამ ისინი თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ. გამართულ დავდაცვას ერთ მატჩში ამდენი შეცდომა არ უნდა მოსდიოდეს.

წყალტუბოელთა ნახევარდაცვასაც ვერ შევუქებთ გარჯას. მართალია, მასპინძელთა კართან მათი მონდომების შედეგად სამი საგოლე მომენტიც კი შეიქმნა, მაგრამ საბოლოოდ „ვიტ ჯორჯიას“ შუა ხაზთან მაინც წაგებულნი დარჩნენ.

თავდასხმაში ახალგაზრდა ძოძუაშვილი ეული იყო. მიუხედავად სიმარტოვისა, იმუშავა, იბრძოლა ბიჭმა და თუ ივარჯიშებს, მისგან ფეხბურთელი გამოვა. ასევე არ დავიშურებთ საქებარ სიტყვებს ძოძუაშვილის კბილა ზურაბიანისთვის. ჯერჯერობით ჭკვიანი, ტექნიკური და ხისტი განაპირა მცველის შთაბეჭდილებას ტოვებს. მონდომება კი გაზრდაში ხელს შეუწყობს.

ფეხბურთის თამაში კოხრეიძესაც შეუძლია, აკი გოლიც გაიტანა და დანარჩენებთან შედარებით აქტიურობით გამოირჩეოდა კიდეც.

სხვებზე რა მოგახსენოთ, შაბათს ნამდვილად ვერ იყვნენ თამაშის იშტაზე.

რა შეიძლება ითქვას „ვიტ ჯორჯიაზე“? რა და, ვეტერანები წარმოუდგენლად ბევრ საგოლე მომენტს აფუჭებენ. მათ რვა ტურში 13 გოლი გაიტანეს, არადა, რომ ევარგათ, სამჯერ მეტი უნდა გაეტანათ.

შაბათსაც ასე იყო. მარტო მასპინძელ გიორგი ქორიძეს მართებდა სულ ცოტა სამი-ოთხი გოლის გატანა, მაგრამ... თუ ეროვნული ჩემპიონატის პარამეტრებით ვიმსჯელებთ, მაშინ გიორგი მართლაც კარგ, სასარგებლო ფეხბურთელად შეგვიძლია ვაღიაროთ. ქორიძეს გაცილებით მეტიც შეუძლია. ის კარგად ირჩევს ადგილს, ხშირად თავად ქმნის საგოლე მომენტს, მაგრამ მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილი იბნევა და ნაშრომიც წყალში ეყრება.

მისი ავადმყოფობაც ესაა, მეკარესთან პირისპირ გასული — ვერ გავიტანო — ფიქრობს და შანსიც იკარგება.

ვერ გაიტანა ჭანკოტაძემ ჯარიმიდან (მისმა დარტყმულმა ბურთმა ხარიხა შეაზანზარა), ვერ გაიტანა ქორიძემ (რამდენჯერმე), კიდევ სხვებმაც, მაგრამ გოცირიძემ აიწყვიტა და ჰეთ-თრიქიც მის ანგარიშზეა.

რეზომ ჯერ ბობოხიძის უკუგდებულ ბურთს დაამატა შედეგიანად, მერე კოტორაშვილთან ერთად კედელი გაითამაშა ლამაზად. მკერდულ-ქუსლური პასების შემდეგ ბობოხიძესთან პირისპირ დარჩენილმა თავდამსხმელმა მეკარეს შანსი არ დაუტოვა და „ვიტ ჯორჯიაც“ ორი ბურთით დაწინაურდა.

ტაიმის ბოლო წუთებზე სტუმრებმაც მოინდომეს. მამარდაშვილმა ჯერ ლონლაძის სახიფათო თავური გააუვნებლა, მერე კი ძოძუაშვილის სახიფათოდ დარტყმული ბურთი გადააგდო კუთხურზე. ისე, ესეც სათქმელია — არავის ეგონა, თუ ასე მშვიდად გაირჯებოდა ამდენი ხნის უთამაშებელი მასპინძელთა გოლკიპერი. ორი ტურია, მამარდაშვილი საიმედოდ და უშეცდომოდ იცავს კარს.

წყალტუბოელებს მონდომება მეორე ტაიმის საწყის წუთებშიც გადმოჰყვათ და კოხრეიძემ მამარდაშვილისთვის აღებული დარტყმით სხვაობა შეამცირა, მაგრამ მერე ყველაფერი ძველებურად წარიმართა.

„ვიტ ჯორჯია“ ისევ უტევდა, ქორიძეც კიდევ ერთხელ გავიდა პირისპირ, ბობოხიძემ დარტყმული, რა თქმა უნდა, მოიგერია, მაგრამ გოცირიძე იქ აღმოჩნდა, საიდანაც გატანა საძნელო საქმე არ გახლდათ.

რევაზ გოცირიძე, ათლეტური, სწრაფი, ბურთის კარგად დამჭერი და დამფარავი თავდამსხმელი მესამედ ხარობდა, ხოლო სტუმრები მეოთხედ იწყებდნენ თამაშს ცენტრიდან.

# სიახლე და ოთხეულთან სიახლოვე

მცხეთა
17 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:1 დილა**

0:1 თაყაძე (75)
**თსუ:** მერლანი, ნინუა, ახალაძე, ფარქოსაძე (ადამია 61), წუწუნავა (გ. გვაზავა 72), დეკანოსიძე, მესხი, ბოკერია, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; სვანაძე, ინწკირველი, გ. მიქაძე, ჯობაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი, მარლიშვილი (ოლგესაშვილი 89), სულთანიშვილი (ფეზუაშვილი 83), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; აკოფიანი, ხანიშვილი, დ. მაისურაძე, ბ. ჩიტაია
**გაფრთხილება:** კვიციანი (47), შატაკიშვილი (68), ხაჭაპურიძე (72), თაყაძე (80)
**გაძევება:** ახალაძე, ლომიძე (78)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

კობა ინასარიძე მცხეთიდან

გორელები თსუ-სთან ახალმა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა ათამაშა. ეს უკვე „დილას“ მესამე მთავარი მწვრთნელია მეთერთმეტე ჩემპიონატში.

შესვენებამდე მასპინძლები ბურთს მოედნის ცენტრში რომ არ აჩერებდნენ და გორელთა კართან მიახლოებას გრძელი პასებით ცდილობდნენ, ვერც იხეირეს. „დილას“ მცველები თავდამსხმელებზე უფრო ყოჩაღობდნენ და ნახევარმცველთა დახმარებით ბურთიც დიდხანს ეჭირათ. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტები რეალურად მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ გორელებს: დეკანოსიძის კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ბოკერიამ თავი დაჰკრა, მაგრამ ააცილა.

გარდა ამისა, შესვენებამდე აღსანიშნავად რაც ღირს, ოფსაიდების უჩვეულო რაოდენობაა. სტუდენტთა თითქმის ყოველი მეორე გრძელი პასისას მცველები ცენტრისკენ იწევდნენ და თავდამსხმელებს თამაშგარეთ ტოვებდნენ.

მეორე ტაიმში თსუ-მ სხვა ტაქტიკით თამაში ამჯობინა და მოკლე პასებით ძირითადად ცენტრიდან სცადა შეტევა. ისევ უშედეგოდ. გორელები დინჯად, აუღელვებლად თამაშობდნენ, მათი გამთამაშებელი მარლიშვილი კი პარტნიორებს ისეთ პასებს ურიგებდა, ერთი რაა, სტუმრებს სამ-ოთხჯერ კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა. ჩაშლიდნენ თუ არა გორელები მასპინძელთა შეტევას, პირველივე პასს სწორედ მარლიშვილს აწვდიდნენ, მან კი კარგად იცოდა თავისი საქმე. მარჯვნიდან ახალგაზრდა თაყაძემაც ბევრი პრობლემა შეუქმნა თსუელებს. მან ერთი რომ გაიტანა, ერთხელაც ძელს მოარტყა ბურთი, სულ ბოლოს კი მეტრიდან ააცილა ცარიელ კარს.

ის გოლიც, სტუმრებს რომ გაამარჯვებინა, მარლიშვილისა და თაყაძის გონიერების შედეგია: მარლიშვილის პასის შემდეგ ცენტრის ხაზს ოდნავ გადაცილებულმა მარჯვენა ნახევარმცველმა ჭკუა იხმარა — სტუდენტები სულთანიშვილის თამაშგარეთ დატოვებას რომ აპირებდნენ, თაყაძემ ხაზზე განლაგებულ მცველთა შორის შეიგდო ბურთი და თავადვე დარჩა მერლანთან პირისპირ. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო, მეკარე მოძრაობაში დაიჭირა და თავისიანები დააწინაურა.

გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე გორელთა საჯარიმოს ხაზზე ჯარიმა დაინიშნა. არჩვაძის დაგორებულ ბურთს ნინუამ დაჰკრა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ სოლოლაშვილმა ჩინებულად ითამაშა და მასპინძელს არ გაატანინა, ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მერე კახიანმა ერთმანეთთან წაკინკლავებისთვის ორივე გუნდის თითო ფეხბურთელს დაატოვებინა მინდორი. გორელები მეტოქეს ერთი-ორჯერ კვლავ დაემუქრნენ და მატჩიც დასრულდა.



კობა ნინუას საჯარიმო დარტყმას რამაზ სოლოლაშვილი იგერიებს

ნუგზარ კვითილაძის ფოტო

## ინგლისი

### XI ტური

**არსენალი 4:1 ევერტონი**

0:1 კოლინზი (16), 1:1 დიქსონი (40), 2:1, 3:1 შუკერი (54, 61), 4:1 კანუ (90)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, ვიეირა, კიოუნი, ადამსი, შუკერი, ბერხკამპი (კანუ 69), ოვერმარსი (სილვინიო 65), პარლოუ (ლიუნგბერგი 76), გრიმანდი
ევერტონი: ჟერარდი, ბალი, გუგი, ანსუორთი (კლილენდი 79), კოლინზი, ბარმბი, კ. კემპბელი, პათჩისონი, ჯემილი (კადამარტერი 78), ვეირი, შავიერი
მსაჯი: დანი

**ქოვენთრი 4:1 ნიუკასლი**

1:0 პალმერი (13), 2:0 უილიამსი (21), 3:0 კინი (39), 3:1 დომი (81), 4:1 ჰაჯი (90)
ქოვენთრი: ჰედმანი, ედუორთი (ფროგატი 72), შოუ, უილიამსი, ჰალი, ტელფერი, პალმერი, მაკკალისტერი (რუსელი 85), ჩიპო, რობი კინი, მ. ჰაჯი
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, დომი, დაბიზასი, ჰიუზი, სოლანო (სოლანო 88), დაიერი, სპიდი, ლი, შირერი, გალაჰერი (რობინსონი 83)
გაფრთხილება: ჩიპო, პალმერი, ედუორთი, სოლანო, დაბიზასი
გაძევება: ბარტონი (29)
მსაჯი: უილი

**დერბი ქაუნთი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 არმსტრონგი (37)
დერბი ქაუნთი: ჰოულტი, ლაურსენი, შნური, დელაპი, ბორბოკისი (სტარიჯი 82), ერანიო, იონსონი, მორისი (მიურეი 82), დორიგო, ბექი, ბარტონი (ბაიანო 73)
ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, პერი, ს. კემპბელი, ტარიკო, ლეონარდსენი, ნილსენი (ვეგა 77), კინგი, ჟინოლა (შერვუდი 89), არმსტრონგი (პირსი 77), ივერსენი
გაფრთხილება: დელაპი, მიურეი, ერანიო, ტარიკო, კარი
მსაჯი: დარკინი

**მიდლსბრო 2:0 ვესტ ჰემი**

1:0 დინი (51), 2:0 არმსტრონგი (88)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი, კუპერი, ონილი, ინსი, ჟუნინიო, ციგე, რიკარდი (არმსტრონგი 59), დინი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, სინკლერი, რ. ფერდინანდი, სტიმაჩი, რადოკი, კელერი (კოული 74), ლამპარდი, ლომასი, მონკური (ფორესტი 27), ვანჩოპე, დი კანიო
გაფრთხილება: დი კანიო, რადოკი
გაძევება: ჰისლოპი (26)
მსაჯი: რენიე

**ლიდსი 2:0 შეფილდ უენსდი**

1:0, 2:0 სმიტი (72, 78)
ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, კელი, ბოუერი, ბეტი, მაკფეილი, კიუელი, სმიტი, ბრიჯესი (ჰაკერბი 62)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, აზერტონი, უოლკერი, ტომი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, სონერი, იონკი, რუდი, ბუთი, დე ბილდე
გაფრთხილება: ბრიჯესი, კიუელი, აზერტონი, რუდი, სონერი
მსაჯი: ბარბერი

**ლესტერი 2:1 საუთჰემპტონი**

1:0 გაპი (8), 2:0 კოტი (39), 2:1 პახარსი (84)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი (ჯილკრისტი 77), ელიოტი, იმპი, სევიჯი (ზაგორაკისი 89), იზეტი, ლენონი, გაპი, კოტი (მარშალი 86), ჰესკი
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბენალი (ბოა მორტე 88), რიპლი (ლე ტისიე 46), სოლტვედტი, ჰიუზი (დევისი 67), მარსდენი, კაჩლული, პახარსი
გაფრთხილება: სევიჯი, ჰესკი, ლუნდეკვამი, კაჩლული
გაძევება: დევისი (76)
მსაჯი: ნაითი

**ლივერპული 1:0 ჩელსი**

1:0 ტომპსონი (47)
ლივერპული: ფრიდელი, ენჩოსი, სონგი, ჰიიპია, სტონტონი, კარაგერი, შმიცერი, რედნაპი, მერფი (ჰეგემი 80), ტომპსონი, ოუენი (მეიერი 86)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (ლამბური 74), ბაბაიარო, ლებეფი (ლე სო 64), დესაი, დეშამპი, პოიეტი, უაიზი, ფერერი, სატონი, ძოლა (ფლო 68)
გაფრთხილება: სტონტონი, რედნაპი, მერფი, ტომპსონი, დესაი, სატონი, ლებეფი, ლამბური
გაძევება: დესაი (72), უაიზი (88)
მსაჯი: რიდი

**სანდერლენდი 2:1 ასტონ ვილა**

0:1 დაბლინი (46), 1:1, 2:1 ფილიპსი (60პ, 82)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინ, ბოულდი, პ. ბატლერი, გრეი, სამერბი (რედი 81), რაე (როი 75), მაკკენი (ბოლი 84), შვარცი, ქვინი, ფილიპსი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დელანი, ბარი, საუთგეიტი, კალდერვუდი, ბოატენგი (სტოუნი 84), ტეილორი, ჰენდრი, ტომპსონი, დაბლინი, ვასელი
გაფრთხილება: შვარცი, ტეილორი, დილანი, ტომპსონი
მსაჯი: ელერეი

**მანჩესტერი 4:1 უოტფორდი**

1:0 იორკი (39), 2:0 კოული (42), 3:0 ირვინი (44პ), 4:0 კოული (50), 4:1 ჯონსონი (68)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი, სტამი (როი კინი 64), სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, ბატი, სქოულზი, გიგზი (გრინინგი 71), კოული (სოლსკიაერი 67), იორკი
უოტფორდი: ჩემბერლენი, გიბსი, პეიჯი, პალმერი (სმიტი 83), რობინსონი, კენედი, ჰეიდი (რაიტი 46), ჯონსონი, უილიამსი, ნგონგე (მილერი 61), ვუტერი
გაფრთხილება: ნევილი, პეიჯი, კენედი, მილერი, რობინსონი
გაძევება: უილიამსი (88)
მსაჯი: ჯონსი

**უიმბლდონი 3:2 ბრედფორდი**

1:0, 2:0 ჰართსონი (22, 36), 2:1 მილსი (45), 3:1 კორტი (75), 3:2 უინდასი (90)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ბლექველი (რობერტსი 80), ტეტჩერი (კიმბლი 66), კორტი, ერლი, ჰართსონი, იუელი, გეილი (ლებერნი 87), ანდერსენი, ჰრეიდარსონი
ბრედფორდი: უოლში, მაკკოლი, ვეთეროლი, ბლეიქი, მილსი, ობრაიენი, უინდასი, შარპი (სონდერსი 59), ჰალი, ჯაკობსი, რედფერნი
მსაჯი: ალკოკი

# იორკშირი, იორკშირი...

რა ჩაუფიქრია ჟერარ ულიეს?

რა უნდა ამ კაცს? მოსულა „ლივერპულის“ სათავეში და უქცევია დიადი მერსესაიდული კლუბი ერთ უცნაურ გუნდად, რომელსაც საბჭოთა სინამდვილეში ნაღდად მიანიჭებდნენ პოპულარულ პრიზს „ავტორიტეტთა რისხვა“ რომ ერქვა. წლევანდელ სეზონში „ლივერპულს“ ოთხი თამაში წაუგია და ოთხიც მოუგია. ვისთან წაუგია, ჩამოთვლაც კი შეარცხვენს — კიდევ უფრო გაწითლებს, ხოლო ვისთან მოუგია, სიამაყით მოითვლის — „ლიდსი“, „არსენალი“, „ჩელსი“.

გასული კვირის ნამდვილი გმირი ჯანლუკა ვიალის „ჩელსი“ „ენფილდს“ დიხაც რომ მზადმყოფი და ამაყი ეწვია. 5:0-ზე დამარცხებული „მანჩესტერ იუნაიტედი“ და პრემიერლიგის პოტენციური ლიდერის მოსახამი ამის საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ „ენფილდის“ მინდვრიდან გამოსული ლონდონელები უკვე აღარ იყვნენ პოტენციური ლიდერები, თავიანთი ორი გამოტოვებული მატჩის იმედით „ლიდსთან“ ერთად თულა იყოფდნენ პირველობას. მატჩი ლივერპულში „ჩელსიმ“ ცხრა კაცით დაასრულა — ბოლო თვრამეტ წუთში მარსელ დესაი და ახვარი კაპიტანი დეის უაიზი გაუძევეს. დესაი საჯარიმოში უხეშობისთვის დაითხოვეს, მაგრამ მაიკლ ოუენმა პენალტი ააცილა. ამ დროისათვის „ლივერპული“ უკვე 1:0-ს იგებდა: მეორე ტაიმის დასაწყისში ფრანკ ლებეფი იმავ ოუენზე დაჯარიმდა საჯარიმოს შორიახლოს და ამ ჯარიმიდან ის გამოვიდა, რომ დევიდ ტომპსონმა ექვსი იარდიდან გაგზავნა ბურთი კარში. ცხრაკაცა „ჩელსიმ“ ეგრეც ვერ შეძლო რაიმე შთამბეჭდავის გაზრხება და ქულის გარეშე დარჩა.

მატჩის შემდეგ ვიალიმ მსაჯობაზე ისაუბრა და ჯენტლმენურად შენიშნა, ჩვენ რაც არ უნდა ვიხტუნაოთ, ყველაფერს მსაჯის სასტვენი წყვეტს და გაძევებათა გამო არაფერს ვიტყვი, ყოველთვის გოლის გატანა ჯობს წუწუნსო.

საერთოდაც, ამ უქმეებზე ინგლისისა და შოტლანდიის ლიგებში ბარე 27 ფეხბურთელი გააძევეს. გაძევებულთა სიაში ისეთი დამსახურებული კაციც კი მოხვდა, „ნოტინგემის“ მოთამაშემწვრთნელი დევიდ პლატი რომაა.




REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ჩელსი 1:0. მარსელ დესაი (მარჯვნივ) დანი მერფის წინააღმდეგ

პრემიერლიგაში კი ქულა ვერ აიღო ვერც ერთმა გუნდმა, რომელსაც კაცი გაუძევეს. „ნიუკასლმა“ 1:4 წააგო ქოვენთრიში, სადაც ერთ საათს ათი კაცით ცოდვილობდა („ქოვენთრის“ რიგებში გამოჩნდა და გოლიც გაიტანა აყლაყუდა ზანგმა კარლტონ პალმერმა) „უოტფორდმა“ ასეთივე ანგარიშით წააგო „ოლდ ტრეფორდზე“ (სერ ალექსმა როგორც იყო, მოაშორა თავის დაცვას და კარს ჰენინგ ბერგი და მასიმო ტაიბი), ლესტერში „საუთჰემპტონსაც“ გაუძევეს კევინ დევისი, ამ დროისთვის სამხრეთელთა გუნდი 0:2-ს აგებდა. მარიანს პახარსმა კი გაიტანა ერთი, მაგრამ განა საკმარისი იყო? მიდლსბროს სტუმრად მყოფ „ვესტ ჰემს“ 26-ე წუთზე უმტყუნა მეკარე შაკა ჰილოპმა, ვინაც საჯარიმოს გარეთ დაიჭირა ხელში საგოლედ დაკრული ბურთი. ბოროძ მეორე ტაიმში შეაგდო ორი გოლი, ლონდონელთა მენეჯერი ჰარი რედნაპი კი სულ ტყუილად ითხოვდა პენალტს პაოლო დი კანიოს წაქცევისთვის.

„სელჰერსტ პარკზე“ ამუშავდა გამოღვიძებული „მისტერ დანაკარგი“ — უელსელი ჯონ ჰართსონი, რომლის დუბლმაც დაამარცხებინა კიდევ „უიმბლდონს“ „ბრედფორდი“. დერბის სტუმრობდა ჯორჯ გრემის „ტოტენჰემი“, რომელმაც დავიდ ჟინოლას ცაცია კროსზე შეშვერილი კრის არმსტრონგის მოხდენილი თავურით მოიგო.

წამოჩიტულმა „ევერტონმა“ გვარიანი ამბიციით დაიწყო მატჩი „ჰაიბერიზე“, მეთოფეთა წინააღმდეგ. მეთექვსმეტე წუთზე სქოთმა ჯონ კოლინზმა ჯარიმიდან გაუტანა მასპინძლებს და მერსისაიდელებსაც იმედი ჩაუსახა, ეს არის და გავძლოთო, მაგრამ თამაშის დასრულებამდე ძალიან დიდი დრო იყო და „ევერტონიც“ გაიწირა. ჯერ იყო და დენის ბერხკამპის საჯარიმოდან დარტყმული მოხვდა ძელს და მას ლი დიქსონმა მოუსწრო. მერე შუკერმა ორჯერ, ჰა, თუ აქედან, ჰა, თუ იქედან... და თამაშიც მთავრდებოდა, რომ არა გაუმაძღარი ნვანკვო კანუ. ჯამში კი, 4:1.

მაგრამ ჩვენი სალაპარაკო „ლიდსია“, პრემიერლიგის ლიდერი, ჯერაც უწვერულ ჭაბუკთა გუნდი, რომელიც დედაბუდიანად სრავს ყველაფერს. 68 წელიწადია, „ლიდსს“ ზედიზედ 9 თამაში არ მოუგია და აი, ახლა ამ პირად რეკორდსაც შეეთამაშა (ლიგის თასის თამაშიც რომ მივათვალოთ), „ლიდსი“ თვენახევარია იგებს და იგებს. ამ ტურში დევიდ ოლირის გუნდს იორკშირული დერბი ჰქონდა მაჩანჩალა „შეფილდ უენსდისთან“ და თითქოს იოლადაც უნდა მოეგო, მაგრამ იორკშირელთა ურთიერთშეხლა ფეხბურთის განსაკუთრებული ნაირსახეობაა. ესენი, არცთუ უსაფუძვლოდ თვლიან, რომ ფეხბურთი სწორედ რომ ამ საგრაფოში იქცა ფეხბურთად და თითოეული დიდი ქალაქი პირველობას ჩემულობს. და ამიტომაც ლიგის პირველი და ბოლო გუნდების შეხვედრა იყო მძიმე და უაღრესად ხისტი, საბოლოოდ კი სასწორი ლიდსელთა მხარეს გადაიხარა. შეხვედრის 72-ე წუთი იდგა, როცა შეფილდელთა მეკარე პაველ სრნიჩეკმა დარენ ჰაკერბის დარტყმული ცხვირწინ მოიგერია და ალან სმიტმა (გმირია, გმირი!) ანგარიში გახსნა. ამ წყვილისა იყო მეორე გოლიც, ჰაკერბის ჩაწოდებული ძელს მოხვდა და სმიტიც იქავ დაუხვდა.

ლიდსელთა მწვრთნელმა, მშვიდმა და თავმდაბალმა ირლანდიელმა დევიდ ოლირიმ მატჩის შემდეგ განაცხადა:

„ხალხი გვაქებს და ამბობს, რომ მე ზედმეტად თავმდაბალი ვარ ჩვენი გუნდის შეფასებისას. მაგრამ მე უბრალოდ პატიოსნად ვიქცევი. ჩვენ მართლა კარგად ვთამაშობთ, ახალგაზრდული გუნდი გვყავს და მე ვამაყობ ამ ბიჭებით. თუმცა, ეს ჯერ არ არის ის, რისკენაც მივილტვით“.

„რა არ მოგწონთ“ — ჰკითხეს ჟურნალისტებმა.

„მშვენივრად ვთამაშობთ, მაგრამ გვქონდა უვარგისი მატჩები. ვიცი, გინდათ მათქმევინოთ, რომ საჩემპიონო გუნდი ვართ, მაგრამ ამას ჯერ ვერ ვიტყვი. აი, დღევანდელი თამაში ავიღოთ. ჩვენმა თავდამსხმელებმა გვიხსნეს, მაგრამ მე მერჩივნა, ეს უკეთეს სტილში გაკეთებულიყო“.

აი, ასე. მაგრამ კვლავ უნდა ვიკითხოთ, ხომ არ დაბუდებულა „ელანდ როუდზე“ მომავალი ჩემპიონი?

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 11 | 8 | 1 | 2 | 21:12 | 9 | 25 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:7 | 4 | 12 |
| 2 მანჩესტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 27:16 | 11 | 24 | 6 | 4 | 2 | 0 | 19:6 | 13 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:10 | –2 | 10 |
| 3 სანდერლენდი | 11 | 7 | 2 | 2 | 20:9 | 11 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 11 | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 9 |
| 4 არსენალი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:10 | 7 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | –1 | 7 |
| 5 ლესტერი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 20 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 |
| 6 ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:4 | 11 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:0 | 11 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 |
| 7 ევერტონი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:14 | 3 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | –5 | 6 |
| 8 ტოტენჰემი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:14 | 3 | 17 | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 2 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 |
| 9 ასტონ ვილა | 11 | 5 | 2 | 4 | 12:11 | 1 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | –4 | 6 |
| 10 ვესტ ჰემი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:8 | 3 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | –1 | 4 |
| 11 მიდლსბრო | 11 | 5 | 0 | 6 | 13:15 | –2 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | –1 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | –1 | 6 |
| 12 ლივერპული | 10 | 4 | 2 | 4 | 11:10 | 1 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |
| 13 ქოვენთრი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:15 | 1 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:8 | 3 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | –2 | 3 |
| 14 საუთჰემპტონი | 10 | 3 | 2 | 5 | 17:21 | –4 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | –4 | 4 |
| 15 უიმბლდონი | 11 | 2 | 5 | 4 | 17:25 | –8 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | –1 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:15 | –7 | 5 |
| 16 უოტფორდი | 11 | 3 | 0 | 8 | 7:15 | –8 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | –1 | 6 | 6 | 1 | 0 | 5 | 2:9 | –7 | 3 |
| 17 დერბი ქაუნთი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:19 | –9 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:12 | –9 | 3 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 |
| 18 ბრედფორდი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:16 | –10 | 8 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | –7 | 2 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | –3 | 6 |
| 19 ნიუკასლი | 11 | 2 | 1 | 8 | 21:27 | –6 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 14:7 | 7 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 7:20 | –13 | 0 |
| 20 შეფილდ უენსდი | 11 | 1 | 1 | 9 | 8:27 | –19 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 7:9 | –2 | 3 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:18 | –17 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 10 |
| შირერი (ნიუკასლი) | 10 |
| იორკი (მანჩესტერი) | 8 |
| კოული (მანჩესტერი) | 8 |

**XII ტური**
23 ოქტომბერი

ასტონ ვილა — უიმბლდონი
ბრედფორდი — ლესტერი
ჩელსი — არსენალი
ევერტონი — ლიდსი
ნიუკასლი — დერბი
შეფილდი — ქოვენთრი
საუთჰემპტონი — ევერტონი
ტოტენჰემი — მანჩესტერი
უოტფორდი — მიდლსბრო
ვესტ ჰემი — სანდერლენდი

## პირველი დივიზიონი

### XII ტური

**ბარნსლი 1:2 ვულვერჰემპტონი**
0:1 ტეილორი (5), 0:2 აკინბი (33), 1:2 ჰინეტი (81)

**ბირმინგემი 2:0 კრ. პალასი**
1:0 პურსი (10), 2:0 მაკკარტი (48)

**ბლექბერნი 1:1 გრიმსბი**
0:1 ეშკროფტი (43პ), 1:1 კარსლი (45პ)

**ბოლტონი 1:0 ჰადერსფილდი**
1:0 გარდნერი (45)

|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 24 | 15 | 3 | 6 | 41:24 | 48 |
| აიკ | 24 | 14 | 5 | 5 | 37:14 | 47 |
| ჰალმსტადი | 24 | 14 | 4 | 6 | 43:22 | 46 |
| იორგრიტე | 24 | 10 | 9 | 5 | 38:22 | 39 |
| ნორჩიოპინგი | 24 | 11 | 5 | 8 | 39:32 | 38 |
| გიოტებორგი | 24 | 11 | 5 | 8 | 27:30 | 38 |
| ფრიოლუნდა | 24 | 9 | 6 | 9 | 29:31 | 33 |
| ტრელებორგი | 24 | 8 | 6 | 10 | 38:43 | 30 |
| კალმარი | 24 | 8 | 4 | 12 | 27:39 | 28 |
| იორებრო | 24 | 8 | 3 | 13 | 23:31 | 27 |
| ელფსბორგი | 24 | 7 | 5 | 12 | 37:47 | 26 |
| ჰამარბი | 24 | 7 | 5 | 12 | 28:40 | 26 |
| მალმიო | 24 | 6 | 4 | 14 | 28:44 | 22 |
| იურგარდენი | 24 | 4 | 8 | 12 | 24:40 | 20 |

## ნორვეგია

XXV ტური. სტაბეკი – რუსენბორგი 2:0; კონგსვინგერი – ბოდიო გლიმტი 2:1; ლილესტრიომი – სტრიომსგოდსეტი 4:2; მოსი – მოლდე 0:1; ოდ გრენლანდი – ბრანი 3:1; სკეიდი – ვიკინგი 3:2; ტრომსიო – ვოლერენგა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 25 | 18 | 2 | 5 | 72:28 | 56 |
| ლილესტრიომი | 25 | 15 | 3 | 7 | 60:39 | 48 |
| მოლდე | 25 | 15 | 2 | 8 | 47:37 | 47 |
| ბრანი | 25 | 15 | 1 | 9 | 44:40 | 46 |
| სტაბეკი | 25 | 13 | 4 | 8 | 55:47 | 43 |
| ტრომსიო | 25 | 12 | 5 | 8 | 64:43 | 41 |
| ვიკინგი | 25 | 11 | 3 | 11 | 49:45 | 36 |
| ოდ გრენლანდი | 25 | 11 | 3 | 11 | 37:45 | 36 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 9 | 4 | 12 | 48:52 | 31 |
| მოსი | 25 | 9 | 2 | 14 | 39:45 | 29 |
| ვოლერენგა | 25 | 7 | 4 | 14 | 38:52 | 25 |
| სტრიომსგოდსეტი | 25 | 7 | 3 | 15 | 43:62 | 24 |
| სკეიდი | 25 | 7 | 2 | 16 | 34:71 | 23 |
| კონგსვინგერი | 25 | 6 | 2 | 17 | 33:57 | 20 |

## შვეიცარია

XV ტური

**სერვეტი 0:1 ლოზანა**

0:1 პუჩე (82)

**სენტ გალენი 4:1 არაუ**

1:0 პეიჯი (2ს.კ.), 2:0 ამოა (6), 3:0 კონტინი (9), 3:1 ივანოვი (49პ), 4:1 ჟაირო (52)

**ლუცერნი 3:0 ლუგანო**

1:0 მაიერი (49), 2:0 თურქილმაზი (56), 3:0 ვისი (66პ)

**ივერდონი 0:0 ქსამაქსი**

**გრასჰოპერი 1:1 ციურიხი**

0:1 კროიცერი (3), 1:1 ეკოკუ (72)

**დელემონი 2:2 ციურიხი**

1:0 ფაბინიო (18), 2:0 დრაკოპულოსი (60), 2:1, 2:2 ფრიკი (63, 75)

ციურიხი: პასკოლო, ჯანინი (ფრიკი 46), შტოკლასა, ჯორჯევიჩი, ანდრეოლი, კებე, ყაველაშვილი (სანტანა 62), ჯამარაული, კასტილიო, შასო, ნდლოვუ (ბარტლეტი 46)

გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა“ კვლავ ვერ მოიგო. ციურიხელები კვირას „დელემონს“ ეწვივნენ და ლამის სეზონში მეშვიდედ დამარცხდნენ. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული მარიო ფრიკის ძალისხმევამ სტუმრები ზედიზედ მესამე წაგებისგან იხსნა.

„ციურიხმა“ პირველი ნახევარი ძალიან სუსტად ჩაატარა. უფრო ძლიერი მეტოქე მატჩის ბედს, ალბათ, პირველ 45 წუთშივე გადაწყვეტდა, „დელემონი“ კი მხოლოდ ერთი გოლით დაკმაყოფილდა, რომელიც ფაბინიომ გაიტანა. შესვენების შემდეგ მინდორზე ერთდროულად ფრიკი და ბარტლეტი გამოჩნდნენ და სტუმრებსაც გამოცოცხლება დაეტყოთ. თუმცა შეტევაზე გადასულ ციურიხელებს მასპინძელთა კონტრშეტევა გაეპარათ და დრაკოპულოსმა თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ლიხტენშტაინელმა მარიო ფრიკმა კი სხვაგვარად განსაჯა — 63-ე და 75-ე წუთებზე გატანილი მისი ორი გოლის წყალობით სტუმრებმა ქულა მოიპოვეს.

„ციურიხს“, როგორც ჩანს, ვერა და ვერ შეეწყო მიხეილ ყაველაშვილი, რომელიც მწვრთნელ რაიმონდო პონტეს ან შეცვლაზე შეჰყავს, ანაც მეორე ტაიმში გაჰყავს მინდვრიდან. ახლაც ასე მოდა. 62-ე წუთზე მიშამ მოედანი დასტოვა.

ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა „სენტ გალენმა“, რომელმაც „არაუსთან“ სტუმარ-მასპინძლობა დაივიწყა. ფეხბურთელებს ოფლი ჯერაც არ გამოსვლოდათ, რომ „სენტ გალენი“ უკვე 3:0-ს იგებდა. ანგარიში არაუელ პეიჯმა გახსნა, რომელსაც კარი აერია და თავის მეკარე ბენიტოს უკვე მე-2 წუთზე აულებელი დაურტყა. ამით დაბნეულ სტუმრებს ამოამ და კონტინიმ გონს მოსვლა არ აცალეს — 3:0. მეორე ტაიმში კი მეტოქეებმა გოლები გაცვალეს და მატჩიც 4:1 დასრულდა.

ქართველთა ყოფილმა კლუბმა „გრასჰოპერმა“ „ბაზელს“ შინ ვერ მოუგო. ამ მატჩს „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმიც დაესწრო, რომელიც მასპინძელთა ორი ფეხბურთელის — ბერნდ ჰაასისა და ბორის სმილიანიჩის სანახავად ჩავიდა ციურიხში. დაუმს მათი შეძენა განუზრახავს.

„ბაზელი“ თავიდანვე დაწინაურდა. ერთ დროს მიუნხენის „ბაიერნში“ მოთამაშე კროიცერის დარტყმას უოლქერი ვერ გაუმკლავდა. „კალიები“ მარცხს ნიგერიელმა ახალწვეულმა ეფან ეკოკუმ გადაარჩინა, რომელმაც შორიდან უძლიერესი დარტყმით წონასწორობა აღადგინა. სხვათა შორის, ეკოკუმ „გრასჰოპერში“ გადასვლის შემდეგ ექვსი მატჩი ჩაატარა და ექვსივეში თავი გამოიჩინა.

ჩემპიონობის კიდევ ერთი კანდიდატი — „სერვეტი“ საკუთარ მინდორზე „ლოზანასთან“ დამარცხდა. ჟენეველები მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ. ბოლოს შტურმზეც გადავიდნენ და სწორედ მაშინ დაისაჯნენ. „ლოზანამ“ მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირა და პუჩემ შანსი ხელიდან არ გაუშვა.

**ვანო ოძროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 15 | 8 | 5 | 2 | 30:18 | 29 |
| ბაზელი | 15 | 6 | 7 | 2 | 19:11 | 25 |
| ლოზანა | 15 | 6 | 6 | 3 | 23:16 | 24 |
| სერვეტი | 15 | 7 | 2 | 6 | 26:24 | 23 |
| ლუცერნი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:19 | 22 |
| გრასჰოპერი | 15 | 5 | 6 | 4 | 26:20 | 21 |
| ივერდონი | 15 | 5 | 6 | 4 | 20:16 | 21 |
| არაუ | 15 | 5 | 3 | 7 | 21:31 | 18 |
| ლუგანო | 15 | 4 | 4 | 7 | 19:20 | 16 |
| ციურიხი | 15 | 3 | 6 | 6 | 13:21 | 15 |
| ქსამაქსი | 15 | 2 | 7 | 6 | 19:27 | 13 |
| დელემონი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:29 | 13 |

## ჰოლანდია

IX ტური

**ნაიმეგენი 1:3 აიაქსი**

0:1 ობრაიენი (33), 1:1 რენფურმი (53), 1:2 მახლასი (55პ), 1:3 კნოპერი (72)

აიაქსი: გრიმი, ნიუვენბურგი, ვინტერი, ვიჩგე, დე კლერი, ობრაიენი, კნოპერი, დანი (ჩივუ 78), ლაუდრუპი (გრონკიაერი 74), მახლასი, ვამბერტო

**პსვ 7:0 დენ ბოსხი**

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (12, 14პ), 3:0, 4:0 ნილისი (43, 45), 5:0, 6:0 ბრუგინკი (48, 60), 7:0 ვან დერ დულენი (74)

**როდა 2:1 ფეიენოორდი**

0:1 დალ ტომასონი (3), 1:1 ზაფარინი (45), 2:1 დომერნიკი (58)

**გრააფსხაპი 0:0 ტვენტე**

**სპარტა 3:6 ალკმარი**

1:0, 2:0 ინია (12, 20), 2:1 ბუსკერმოლენი (37), 3:1 ნილსენი (43), 3:2 ვან გალენი (44), 3:3 ბოსმანი (45), 3:4 ვან დერ ვეგტი (53), 3:5 ოპდამი (58), 3:6 რიკსენი (82)

**სიტარდი 0:1 ჰერენვენი**

0:1 რადომსკი (55)

**მაასტრიხტი 4:1 უტრეხტი**

1:0 ემერსონი (21), 2:0 ტაივუ (28), 3:0, 4:0 ემერსონი (70, 73), 4:1 მარტელი (82)

**ტილბურგი 2:1 ვალვაიკი**

1:0 ლანდზაატი (31), 2:0 ბომბარდა (33), 2:1 შოპსი (47)

**ვიტესი 1:0 კამბური**

1:0 დე მარკი (40)

პსვ ტრიუმფალურ სვლას აგრძელებს. ფილიპსელებს ჯერ ქულა არ დაუკარგავთ. ამჯერად მათი მორიგი მსხვერპლი „დენ ბოსხი“ გახდა. ორორი გოლი შეაგდეს ვან ნისტელროიმ, ნილისმა და ბრუგინკმა. მეშვიდედ მოწინააღმდეგის კარის ბადე ვან დერ დულენმა შეარხია. პსვ-ს რვა თამაშში 40 გოლი აქვს გატანილი, აქედან 15 ვან ნისტელროის ანგარიშზეა. ლიდერს ქულით ჩამორჩება „აიაქსი“, თუმც ამსტერდამელებს ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული.

„აიაქსი“ სტუმრად „ნაიმეგენს“ ხვდებოდა. ანგარიში 33-ე წუთზე ობრაიენმა გახსნა. ტაიმის მიწურულს გიერს ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი მიეცა, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა. 53-ე წუთზე ნაიმეგენელმა რენფურმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ორი წუთის შემდეგ „ნაიმეგენის“ საჯარიმოში ვამბერტო და პოტუიზენი შეეჯახნენ ერთმანეთს. მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა. აიაქსელებმა პენალტის დარტყმა ბერძენ მახლასს მიანდეს, და მანაც გუნდი არ გააწბილა. მასპინძლები თავდაუზოგავად იბრძოდნენ წონასწორობის აღსადგენად, მაგრამ 72-ე წუთზე კნოპერის მესამე გოლმა მათი იმედი საბოლოოდ გააცრუა. 3:1 — ასე დამთავრდა მატჩი.

როტერდამის „სპარტა“ „ალკმარს“ მასპინძლობდა. სპარტა 3:1 იგებდა, როდესაც მათმა მეკარე იანსენმა საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და გააძევეს. „ალკმარმა“ ამით ისარგებლა და თამაში 6:3 მოიგო. მაყურებლები მეტად „აქტიურობდნენ“. მათ დასაწყნარებლად მსაჯს 10 წუთით შეხვედრის შეჩერება მოუხდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 8 | 8 | 0 | 0 | 40:6 | 24 |
| აიაქსი | 9 | 7 | 2 | 0 | 31:13 | 23 |
| როდა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:11 | 19 |
| ტილბურგი | 9 | 6 | 1 | 2 | 20:19 | 19 |
| ტვენტე | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 16 |
| ალკმარი | 9 | 5 | 1 | 3 | 19:15 | 16 |
| ჰერენვენი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:12 | 16 |
| ფეიენოორდი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:7 | 15 |
| ვიტესი | 9 | 4 | 3 | 2 | 17:14 | 15 |
| ვალვაიკი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:15 | 14 |
| უტრეხტი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:14 | 12 |
| სპარტა | 9 | 3 | 0 | 6 | 14:23 | 9 |
| გრააფსხაპი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:12 | 7 |
| მაასტრიხტი | 9 | 1 | 2 | 6 | 13:27 | 5 |
| დენ ბოსხი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:25 | 5 |
| ნაიმეგენი | 8 | 1 | 1 | 6 | 11:20 | 4 |
| სიტარდი | 9 | 1 | 1 | 7 | 9:18 | 4 |
| კამბური | 9 | 0 | 2 | 7 | 6:22 | 2 |




სპარტაკი — ლოკომოტივი 3:0. სპარტაკელები რუსეთის VII (ზედიზედ მეოთხე) ჩემპიონობას ვადამდე ზეიმობენ

## რუსეთი

XXVII ტური

**სპარტაკი 3:0 ლოკომოტივი**
1:0 ტიხონოვი (12), 2:0 კოვტუნი (34), 3:0 რობსონი (55)

**ურალანი 3:0 ალანია**
1:0 ავალიანი (6), 2:0 ტუტიჩენკო (73), 3:0 მიკალაიუნასი (88)

**როსტსელმაში 1:0 ნ. ნოვგოროდი**
1:0 კირიჩენკო (46)

**ცსკა 3:0 ჟემჩუჟინა**
1:0 კულიკი (12), 2:0 ფილიპენკოვი (14), 3:0 კულიკი (54)

**ჩერნომორეცი 1:2 ტორპედო**
0:1 დრეგუში (44), 1:1 კამნევი (66), 1:2 კამოლცევი (84)

**შინიკი 1:2 კრილია**
0:1 მქაელიანი (5), 0:2 ტეტერინი (31), 1:2 ენინი (53)

**ზენიტი 0:0 დინამო**

**როტორი 1:1 სატურნი**
1:0 ვერეტენიკოვი (58), 1:1 ვარფოლომეევი (67)

„სპარტაკ" ჩემპიონ! — ახლა რამდენიც უნდათ იყვირონ „სპარტაკის" ქომაგებმა და არხეინად უცქირონ ჩემპიონატის დარჩენილ შეხვედრებს. მათ საყვარელ კლუბს რუსეთის მეშვიდე (ზედიზედ მეოთხე) ჩემპიონობისთვის მხოლოდ ქულის აღებაღა ყოფნის. რაც ალბათ არ გაუჭირდებათ ოლეგ რომანცევის შეგირდებს, რომლებსაც კიდევ ორი მატჩის გამართვა უწევთ მოსკოვში „დინამოსთან" და „ალანიასთან".

ვერაფერს იტყვი. სეზონის „ოქროს შეხვედრა" „სპარტაკმა" პირწმინდად მოუგო „ლოკომოტივს" თანაც ისე, რომ ზაზა ჯანაშიას თანაგუნდელებს მინიმალური შანსი არ დაუტოვა. სტრესული მდგომარეობიდან ადრიანად თავდაღწეულმა ფილიმონოვმა რკინიგზელებს ერთი გოლიც არ გაატანინა. იუბილარმა ტიხონოვმა კი იმ დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რუსულ გათამაშებაში ბადალი არ ჰყავს.

50 ათასი გულშემატკივრის თვალწინ „სპარტაკმა" ბოლო 4 წლის მანძილზე ზედიზედ მერვე გამარჯვება იზეიმა „ლოკომოტივთან", რომელსაც უჯობს, დროზე გამოვიდეს შოკიდან და ინგლისურ „ლიდსთან" უეფას თასის მომავალ შეხვედრაზე იფიქროს. და კიდევ, ლიდერის მსგავსად, ქულის მოპოვებაზე ზრუნვაც ესაჭიროებათ რკინიგზელებს, რის შედეგადაც ვერცხლის მედლებსა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსახვედრ საგზურს გაინაღდებენ იური სიომინის გაწვრთნილები.

რუსეთის „სახალხო კლუბი" მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია. „სპარტაკმა" მიმდინარე სეზონის 28 მატჩში მე-12 შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით. თავის უახლოეს მდევრებთან — „ლოკომოტივთან" და ცსკასთან ურთიერთშეხვედრებში კი 11:0 დააფიქსირა. რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ.

საჩემპიონო ინტრიგა დასრულდა. ახლა მთელი ყურადღება უეფას თასის საგზურისა და უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლ გუნდებზეა.

გაუჭირდება ქართველების „ალანიას" მეხუთე სანუკვარ ადგილზე დამკვიდრება. თავს ზემოთ ახტომა მართებთ ვლადიკავკაზელებს მოსკოვური კლუბების ჰეგემონიის მოსაშლელად. თუმცა „ურალანთან" 0:3 წაგების მიუხედავად გუნდი, ვფიქრობ, ინტერტოტოს საგზურსაც უნდა დაჯაბულდეს და თავის ფინანსურ კრიზისს მიხედოს...

მარცხი იწვნია სპანდერაშვილის „ჩერნომორეცმა" და გოგრიჭიანის „ნოვგოროდმა". თუმცა, პირველს შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს.

საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო იფიქრა „შინიკმა" და შინ შემოემარცხა ჩვენებურთა „კრილიას". ამ წაგებით იაროსლაველებმა ფაქტობრივად გაინაღდეს დაბალ დივიზიონში გადასვლა და დარჩენილ შეხვედრებში კარის გაჯახუნებას თუ შეეცდებიან, ისღაა საკითხავი.

ვინ მიჰყვება „შინიკს"? ძნელი სათქმელია. „სატურნი" რომ არა, ფაქტია. რატომ? მოსკოვთან ახლომდებარე ქალაქ რამენსკოეს კლუბს რატომღაც თავს ევლებიან დედაქალაქური გუნდები თუ ჩემპიონატის მსაჯები.

27-ე ტურში „როტორს" ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს „სატურნთან" და მხოლოდ ფრე აკმარეს. შეხვედრის მსაჯმა ბასკაკოვმა მატჩის შემდეგლა აღიარა, შევცდიო...

ასე რომ, უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის მარტო ბრძოლა არ იკმარებს. სეზონის ბოლოს, როგორც წესი, შეხვედრის ბედი მხოლოდ მოედანზე არ წყდება...

**ხვიჩა სანიკიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 19 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 18 |
| კულიკი (ცსკა) | 14 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 28 | 21 | 5 | 2 | 71:23 | 68 |
| ლოკომოტივი | 27 | 18 | 5 | 4 | 58:29 | 59 |
| ცსკა | 27 | 14 | 9 | 4 | 51:26 | 51 |
| ტორპედო | 27 | 12 | 10 | 5 | 36:30 | 46 |
| დინამო | 27 | 11 | 7 | 9 | 40:35 | 40 |
| ალანია | 27 | 11 | 6 | 10 | 49:39 | 39 |
| როსტსელმაში | 27 | 10 | 7 | 10 | 29:32 | 37 |
| ზენიტი | 27 | 9 | 10 | 8 | 32:29 | 37 |
| ურალანი | 27 | 9 | 5 | 13 | 24:32 | 32 |
| ნ. ნოვგოროდი | 27 | 8 | 5 | 14 | 29:44 | 29 |
| სატურნი | 27 | 7 | 8 | 12 | 26:36 | 29 |
| ჩერნომორეცი | 27 | 7 | 7 | 13 | 26:42 | 28 |
| კრილია | 28 | 7 | 6 | 15 | 35:46 | 27 |
| როტორი | 27 | 6 | 9 | 12 | 32:47 | 27 |
| ჟემჩუჟინა | 27 | 5 | 9 | 13 | 25:50 | 24 |
| შინიკი | 27 | 4 | 8 | 15 | 18:41 | 20 |

## შოტლანდია

X ტური

**სელტიკი 7:0 აბერდინი**
1:0 ბერკოვიჩი (16), 2:0, 3:0, ლარსონი (40, 43), 4:0, 5:0 ვიდუკა (61, 64), 6:0 ლარსონი (73), 7:0 ვიდუკა (88)

**კილმარნოკი 1:1 რეინჯერსი**
0:1 ვან ბრონკჰორსტი (25), 1:1 ჯეფრი (73)

**ჰართსი 1:1 სენტ ჯონსტონი**
1:0 მაკსვიგანი (7), 1:1 ლოუნდესი (57)

**მოზერუელი 2:2 ჰიბერნიანი**
0:1 ლატაპი (93), 1:1 მაკკალოჰი (32), 1:2 პაატელაინენი (57), 2:2 მაკმილანი (67)

**დანდი 0:2 დანდი იუნაიტედი**
0:1 დოდსი (14), 0:2 ტომპსონი (52)

სქოთთა ქვეყანაში დიდი ამბები ხდება — ევროპული ფეხბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი ემშვიდობება სპორტს. 37 წლის ალი მაკკოისტის წასვლის მიზეზი ფეხის მოტეხილობაა. ფეხბურთელმა თავისი საუკეთესო წლები „რეინჯერსში" გაატარა, სადაც კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 1983 წლიდან მოყოლებული მან 350-ჯერ გაახარა „რეინჯერსის" ქომაგები გოლებით. მათგან 251 გოლი მაკკოისტმა შოტლანდიის ჩემპიონატში გაიტანა. ის 61-ჯერ იყო მიწვეული ეროვნულ ნაკრებში, სადაც თავის გოლებს ოციც მიუმატა. საუკეთესო შედეგი მაკკოისტმა 1992 წელს აჩვენა — მაშინ შოტლანდიელი „ოქროს ბუცით" დააჯილდოვეს. ფეხბურთელს დიდი წვლილი მიუძღვის „რეინჯერსის" რეკორდში: კლუბი ზედიზედ 10-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. შემდგომ ამ რეკორდის გამეორება, ჩვენდა საბედნიეროდ თუ სავალალოდ, თბილისის „დინამომ" შეძლო. მაკკოისტს გუნდთან ერთად სამჯერ შოტლანდიის თასიც მოუგია.

თავის ბოლო სეზონში ეს ფეხბურთელი „კილმარნოკის" ღირსებას იცავდა. ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მისი ფეხბურთიდან წასვლაც „რეინჯერსის" სახელს უკავშირდება. სწორედ თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში მიიღო ფეხბურთელმა უმძიმესი ტრავმა.

„კილმარნოკის" მწვრთნელმა ამის შესახებ თქვა: „ტრავმა მეტად სერიოზულია. ალის თაბაშირს 6 კვირის შემდეგ მოხსნიან. თუმცა, მისი ასაკიდან გამომდინარე, არავინ იცის, რამდენი დრო დასჭირდება რეაბილიტაციას. მომხდარის გამო ძალიან ვწუხვართ."

თავად მაკკოისტი დროს უქმად არ კარგავს და ამჯერად ტელევარსკვლავად მოგვევლინა — BBC-მ იგი სპორტულ პროგრამაში მიიწვია. მაკკოისტი თავის საავტორო ტოკ-შოუსაც უძღვება შოტლანდიის ტელევიზიით. მას როლიც კი შესთავაზეს საფეხბურთო თემაზე გადასაღებ ფილმში.

ამორუზომ, ვისთან შეჯახებამაც დაასრულა მაკკოისტის საფეხბურთო კარიერა, განაცხადა: „ეს შემთხვევითობა იყო, თუმცა მეტად სამწუხარო. მე ხომ ახლახან დავიწყე ფორმის აღდგენა." ცხადია, ამორუზო უპირველესად საკუთარ თავზე ზრუნავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 9 | 8 | 1 | 0 | 25:7 | 25 |
| სელტიკი | 8 | 7 | 0 | 1 | 25:3 | 21 |
| დანდი იუნ. | 9 | 5 | 2 | 2 | 14:12 | 17 |
| ჰართსი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 14 |
| სტ. ჯონსტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:14 | 12 |
| დანდი | 10 | 3 | 0 | 7 | 14:19 | 9 |
| კილმარნოკი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:9 | 8 |
| ჰიბერნიანი | 10 | 1 | 5 | 4 | 13:20 | 8 |
| მოზერუელი | 7 | 1 | 4 | 2 | 9:13 | 7 |
| აბერდინი | 9 | 0 | 1 | 8 | 3:29 | 1 |

СПОРТ-ЭКСПРЕСС

# პირველის მეორედ პირველი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხე ტური

დღეს განახლდება დიდებული საგიჟეთი, ჩემპიონთა ლიგა რომ ქვია. შეჯიბრება, რომელმაც ფორმატის გაზრდის შემდეგ ევროპულ ფეხბურთში წლობით აწყობილ საქმეთა გადაწყობის აუცილებლობა წამოჭრა და რომელსაც შემოსავლად მილიონები მოაქვს, პირველი ჯგუფური ეტაპის მეორე ნახევარს იწყებს.

A ჯგუფში სლოვენიური „მარიბორი" ამ უქმეებზე იტალიური სერია A-ს ლიდერად ქცეულ რომის „ლაციოს" მასპინძლობს. 29 სექტემბერს, იტალიის დედაქალაქში, ამ გუნდების შეხვედრა „ლაციოს" გამარჯვებით, 4:0 დასრულდა. იმ შეხვედრაში მარიბორელებს მოედნიდან ალბანელი გერი ჩიპი გაუძევეს, რომელიც, ბუნებრივია, დღეს ტრიბუნაზე ჩამოჯდება. მის ადგილზე სლოვენიელთა გუნდში მუამერ ვუგდალიჩი ითამაშებს.

რომაელებს არ ახლავთ არგენტინელი ხუან ვერონი. ვერონმა, მართალია, იტალიის პირველობის ბოლო ტურში გოლი გაიტანა და არც დაშავებულა, მაგრამ გასულ კვირას არგენტინიდან დაბრუნდა და მგზავრობით გადაღლილი შინ დარჩა. კუნთი ტკივათ მარჯვენა მცველს პაოლო ნეგროსა და კიდევ ერთ არგენტინელს, ნახევარმცველ მატიას ალმეიდას.

ამავე ჯგუფში კიევის „დინამო" ლევერკუზენის „ბაიერს" ელის. ამ შეხვედრის წინ, უკრაინის პირველობის ბოლო ტურში „დინამომ" სიმფეროპოლის „ტავრიას" 2:0 მოუგო. „ტავრიას" კარში ორი გოლიდან ერთი ვალენტინ ბელკევიჩმა გაიტანა, რომელიც საზარდულის ოპერაციის გამო ოთხი თვეა მოედანზე არ გამოჩენილა. მოედანს დაუბრუნდა არტიომ იაშკინიც მაგრამ დაშავებულთა ჩამონათვალში კვლავაც არიან ვასილ კარდაში, ალექსანდრ ხაცკევიჩი და სხვები.

„ბაიერი", ჩემპიონთა ლიგაში ჯერაც დაუმარცხებელი, უკრაინის დედაქალაქში ზე რობერტოს გარეშე ჩავიდა. მან, მართალია, ოთხკვირიანი მკურნალობა დაასრულა, მაგრამ ტკივილს მაინც უჩივის.

მიუხედავად ზე რობერტოს ტრავმისა, გუნდის ფორვარდი, ულფ კირსტენი იმედოვნებს, რომ „ბაიერს" მოედანზე სამი თავდამსხმელი ეყოლება.

„წარსულში სწორედ ამით ვიყავით ძლიერნი" — ამბობს იგი.

B ჯგუფში „არსენალი" „უემბლიზე" მასპინძლობს „ბარსელონას". მისმა მცველმა, ჟილ გრიმანდიმ 29 სექტემბერს მეტოქეთა პირველი შეხვედრის დროს წითელი ბარათი მიიღო და ევროსარბიელს სამი მატჩითაა ჩამოშორებული. დაცვაში პრობლემები აქვს „ბარსასაც". მას ფრანკ დე ბური და ფრედერიკ დეუ ჯერ კიდევ დაშავებული ჰყავს.

„ფიორენტინა" სტოკჰოლმის აიკს მასპინძლობს. ფლორენციელებს ბოლო ხუთი თამაშიდან ერთიც არ მოუგიათ და ამიტომ ჰაერივით ჭირდებათ გამარჯვება. განსაკუთრებით მძიმე დღეში გუნდის მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონია, რომელმაც შაბათს, „პარმასთან" 0:2 დამარცხების შემდეგ, კვირის ვარჯიშზე გულშემატკივრებიც დაპატიჟა და ფეხბურთელებთან ერთად დიდი გარჩევა მოაწყო.

ტრაპატონის მოთამაშეთაგან ჯერაც დაშავებულია ცენტრალური მცველი პასკუალე პადალინო. გერმანელი ნახევარმცველი იორგ ჰაინრიხი გამოჯანმრთელდა, ხოლო გაბრიელ ბატისტუტას კუნთი აწუხებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შვედების კარს მისი რისხვა აცდება.

C ჯგუფი: „დორტმუნდი" — „რუსენბორგი" და „ფეიენოორდი" — „ბოავიშტა".

დორტმუნდელებმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში ლიდერობა შეინარჩუნეს და ნორვეგიელებს ერთობ მხნედ ელოდებიან. მის ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად ითამაშებს იტალიური წარმოშობის თავდამსხმელი ჯუზეპე რეინა, რომელიც „არმინიასთან" შეხვედრაში მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა გოლი გაიტანა. ითამაშებს გამოჯანმრთელებული ფრედი ბობიჩიც, ჰაიკო ჰერლიხი კი ავად გახდა.

„რუსენბორგს", რომელმაც ნორვეგიის ჩემპიონის ტიტული უკვე დაიბევა, მთავარ პრობლემად კრისტერ ბასმას ტრავმა ესახება. ბასმა სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, ხოლო მის გარეშე დარჩენილი დაცვისა, მწვრთნელს, ნილს არნე ეგენს ერთობ ეეჭვება.

რაც შეეხება „ფეიენოორდს", მას საქმე ცუდად აქვს — პარასკევს „როდასთან" 1:2 წაგების შემდეგ ეროვნულ პირველობაზე მერვე ადგილზე ჩაცურდა. მას მერე, რაც გუნდს არასახარბიელო შედეგები დასჩემდა, მწვრთნელმა, ლეო ბეენჰაკერმა 4-4-2 განლაგება 4-3-3-ით შეცვალა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ვერც ეს შველის.

„ბოავიშტას" მცველი უილიამ კევედო და გარემარბი ალმანი მორეირა დისკვალიფიცირებული ჰყავს, ხოლო მისი რუმინელი ნახევარმცველი იონ ტიმოფტე გამოჯანმრთელდა და, ალბათ, დაუბრუნდება მოედანს.

პორტუგალიის ჩემპიონატში „ბოავიშტამ" ზედიზედ მეორე თამაში წააგო და მეხუთე ადგილსღა სჯერდება.

D ჯგუფში ავსტრიული „შტურმი" დისკვალიფიცირებული ფრანკო ფოდასა და დაშავებული რანკო პოპოვიჩის გარეშე უმასპინძლებს ზაგრების „კროაციას".

„ჩვენ „შტურმი" უნდა დავამარცხოთ და ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდეთ" — ამბობს ხორვატიული გუნდის არგენტინელი მწვრთნელი ოსვალდო არდილესი — „მართალია ჯამში წინ სამი უმნიშვნელოვანესი თამაში გველის, მაგრამ ამჯერად მხოლოდ „შტურმი" მაინტერესებს. უნაგირზე რომ დავრჩეთ, გრაცში უნდა მოვიგოთ".

დაბოლოს იმაზე, თუ რა ხდება „მარსელისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩის წინ. მარსელელებს მცველი პატრიკ ბლონდო უბრუნდებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრანგთა საპორტო ქალაქის გუნდს მხოლოდ კრისტოფ დიუგარი აკლდება. დიუგარი, მოგეხსენებათ, უეფას მიერ ხუთი მატჩით იყო მოკვეთილი და დღეს ბოლო შეხვედრას „იხდის", მაგრამ ამის გარდა მუხლზე ოპერაციაც გაიკეთა. მუხლი აწუხებს სებასტიენ პერესსაც, მაგრამ ისე არა, რომ ვერ ითამაშოს.

„იუნაიტედის" მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს ორ მეკარეს, რაიმონდ ვან დერ გოუსა და მარკ ბოსნიჩს შორის ერთი ჰყავს ასარჩევი, წინ, მოედნის შუაში კი ლაღადაა — როი კინი გამოჯანმრთელდა. ის კი არა, რაიან გიგზსაც ვიხილავთ მოედანზე და არაა გამორიცხული გარი ნევილიც დაბრუნდეს. ეჭვქვეშ მუხლნატკენი ჰენინგ ბერგის თამაშია.

**მიხეილ სურგულაძე**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# მსოფლიოს თასი

# ფრთაშემოკვეცილი არწივები



REUTERS მოწოდებით

საფრანგეთი — ფიჯი. ფრანგთა შორის საუკეთესო კრისტოფ ლამეზონის შებოჭვას სეტარეკი ტავყე ლამობს

## A ჯგუფი

15 ოქტომბერი

### სამხრეთ აფრიკა 39:3 ურუგვაი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, კაიზერი, ფლეკი, ბ. ვანტერი, როსოუ, დე ბეერი, ვან დერ ვესტჰოიზენი, სკინსტედი, ა. ვანტერი, ერასმუსი, ენდრიუსი (ვან დერ ბერგი 67), ოტო, ვიზაჟი, დროცკე, დიუ რანდტი (ლე რუ 51)

5ლ — ფლეკი (6), ვან დერ ვესტჰოიზენი (18), კაიზერი (34), ვან დერ ბერგი (68, 75); 4გ — დე ბეერი (6, 18, 34, 75); 2ს — დე ბეერი (13, 25)

ურუგვაი: კარდოსო, მენჩაკა (ვიანა 76), ვეჩინო, მენდარო (ს. აგირი 22), კოსტაბილი, დ. აგირი, სოსა დიასი, ორმაეჩეა, პანიზა (ბრინიონი 56), გრილი, ლამი (ალსუეტა 56), ბადო, ლემუანი (სტორაჩე 68), ლამელასი, სანჩესი (ბერუტი 67)

1ს — დ. აგირი (29)

სამხრეთ აფრიკამ გაიმარჯვა და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალში ინგლისი — ფიჯის წყვილს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. „ქურციკებმა" მატჩი აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-8 წუთზე ფლეკმა ლელო გაიტანა. დე ბეერმა გარდასახა, სულ მალე ჯარიმაც ზუსტად შეასრულა და თავისი გუნდი 10:0 დააწინაურა. ამის შემდეგ აშკარად გამოიკვეთა აფრიკელთა უპირატესობა. ურუგვაი მხოლოდ ეპიზოდურად თუ უტევდა, მათი შეჩერება კი „ქურციკებს" არ უჭირდათ. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე ავსტრალიელმა მსაჯმა მოედნიდან აფრიკელი ბრენდან ვანტერი გააძევა, მაგრამ ამან მატჩის საბოლოო შედეგზე ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა. მსოფლიოს ჩემპიონები კვლავ უტევდნენ და თანდათანობით ზრდიდნენ უპირატესობას. ურუგვაიმ, რომელსაც 3500 ქომაგი უჭერდა მხარს, მეტოქეს მხოლოდ ერთი ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა.

ეს მატჩი გამორჩეული გახლდათ ურუგვაელთა გუნდის კაპიტან დიეგო ორმაეჩეასთვის — მან თავისი სანაკრებო კარიერა დაასრულა. 40 წლის ვეტერანმა 64-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა და ახლა თავისი რვანომრიანი კვართი აფრიკელ ბობი სკინსტედს უსახსოვრა, რომელიც ასევე რვა ნომრით ასპარეზობს ტურნირზე. „ძალიან უცნაური გრძნობაა. მიხარია, რომ არაერთხელ მერგო სამშობლოს ღირსების დაცვის პატივი" — თქვა მატჩის შემდეგ დიეგო ორმაეჩეამ. „მე ვამაყობ ჩემი მოთამაშეებით. განსაკუთრებით კი დიეგოთი. იგი ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის ერთგული და მუდამ გამარჯვებისკენ ისწრაფოდა" — ეს სიტყვები ურუგვაელთა მთავარ მწვრთნელ დანიელ ერერას ეკუთვნის.

16 ოქტომბერი

### შოტლანდია 48:0 ესპანეთი

შოტლანდია: პატერსონი, კ. მიურეი, მეიერი, მაკლარენი (თაუნსენდი 74), ლონგსტაფი, ჰოდჯი, რედპეთი (ფერლეი 74), მეტერი, რიდი, ულტონი, რიიდი, ვეირი, ბარნელი, რასელი, ჰილტონი

7ლ — საჯარიმო (11), მეტერი (25, 51), ლონგსტაფი (29), მაკლარენი (44), მიურეი (56), ჰოდჯი (62); 5გ — ჰოდჯი (11, 24, 51, 56, 62); 1ს — ჰოდჯი (5)

ესპანეთი: პუერტასი, ინჩაუსტი (სოსიასი 49), ენკისო, ლუბსანსი, ფრეჩილა, კოვალენკო, გალასტეგუი, სოუტო (მალო 64), მატა, დიასი, ასტარლოა (ტუინო 56), ვილო, საპატერო, სარსოსა (დე ლა კალი 75), ტორესი (მარტინესი (41)

ამ გამარჯვებით შოტლანდიამ A ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და პლეი ოფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ბრიტანელებმა წინ მხოლოდ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა გაუშვეს. ესპანეთის ნაკრები კი, რომელმაც ერთადერთი ლელო გაიტანა და ჯგუფში სამივე შეხვედრა წააგო, სამშობლოში მიემგზავრება. თუმცა ნუ დავივიწყებთ, რომ გუნდი ტურნირის დებიუტანტია, თანაც ჯგუფში ისეთ მეტოქეებთან მოუხდა დაპირისპირება, როგორებიც შოტლანდიის, სამხრეთ აფრიკისა და არცთუ ხელწამოსაკრავი ურუგვაის ნაკრებები არიან.

შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ ტელფერმა გუნდის ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბეს დასვენების საშუალება მისცა, მაგრამ როგორც მატჩის შედეგიდან ჩანს, სათადარიგო მოთამაშეებმაც იოლად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. ბრიტანელები სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა 28-ე წუთამდე ანგარიში არ გახსნილა. აქედან მოყოლებული, სკოტებმა სულ შვიდჯერ დაამიწეს ბურთი მეტოქის სალელოე მოედანში, რაც საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. აღნიშვნის ღირსია შოტლანდიელთა გარემარბის — დანკან ჰოჯის შედეგიანი თამაში. მან თავის გუნდს 18 ქულა მოუტანა: გაიტანა ერთი ლელო, ხუთჯერ ზუსტად გარდასახა და ერთი საჯარიმო დარტყმაც უნაკლოდ შეასრულა.

**ბაჩო სვანიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 132:35 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 120:58 | 4 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 42:97 | 2 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 18:132 | 0 |

## B ჯგუფი

15 ოქტომბერი

### ინგლისი 101:10 ტონგა

ინგლისი: პერი, ჰილეი, გრინვუდი (კეტი 51), გასკოტი, ლუჯერი, გრეისონი, დეისონი (ბილი 31), ჰილი, დალალიო (კოკრილი 60), ურსლეი, არჩერი, ჯონსონი (გრივკოკი 51), ვიკერი, გრინინგი, როუნთრი

13ლ — დეისონი (13), გრინინგი (28, 73), ლუჯერი (40, 77), პერი (40), გრინვუდი (45, 47), ჰილეი (50, 68), ჰილი (53), გასკოტი (64, 80); 12 გ — გრეისონი (28, 40, 40, 45, 47, 50, 53, 64, 68, 73, 77, 80); 4ს — გრეისონი (3, 9, 19, 22)

ტონგა: ს. ტუიპულოტუ (ტაპუელუელუ 51), ტიუეტი, ტატაფუ, ფინაუ, ტაუპეაფე (ტოლოკე 51), ე. ვუნიპოლა, მარტენსი (ტაიონე 58), კოლოი, კ. ტუიპულოტუ (მაფი 41), ედვარდსი (ფაინგანუკუ 39), კივალუ, ფატანი, ტაუმოეპეაუ, ფ. ვუნიპოლა (მაკა 70), ტაუფოუ

1ლ — ტიუეტი (16); 1გ და 1ს — ს. ტუიპულოტუ (24)

ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში ინგლისმა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ტონგა გაანადგურა. გამარჯვებულებს ერთადერთი რამის გამო დაეუფლათ უკმაყოფილების გრძნობა — ახალმა ზელანდიამ იტალიას წინა დღეს 14 ლელო გაუტანა, მათ კი ტონგელებს — მხოლოდ 13.

არადა, მატჩის დასაწყისი „ზღვის არწივებს" ფრთების მოტეხას არ უწინასწარმეტყველებდა. თავიდან გრეისონმა ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად. საერთოდ, ამ შეხვედრაში ინგლისელთა დამრტყმელმა თავისიანებს 36 ქულა შესძინა, რაც საერთაშორისო მატჩებში ამ ქვეყნის ახალი ეროვნული რეკორდია. თამაშის პირველი ლელო კი დეისონმა გაიტანა, რომელიც გრეისონმა ვერ გარდასახა (დანარჩენი 12 გარდასახვა კი მან ზუსტად დაარტყა) — 11:0 ინგლისის სასარგებლოდ. თუმცა ტონგელები ამან ვერ გატეხა და მათაც დიდი ძალებით შეუტიეს. განსაკუთრებით უკანახაზელები აქტიურობდნენ, რასაც მე-16 წუთზე ფრთის მოთამაშე ტიუეტის ლელოც მოჰყვა.

შემდეგ თამაში თითქოს ჩაწყნარდა. ინგლისელთა ორ საჯარიმოს და ლელოს ტონგელებმა ერთი საჯარიმოთი უპასუხეს და პირველი ტაიმის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე მხოლოდ 10:24 აგებდნენ. ჰოდა, სწორედ ამ დროს მოხდა ის, რამაც ოკეანეთელების განადგურება განაპირობა. საკმაოდ უხეშად მოთამაშე ტონგელებს რამდენიმე ყვითელი ბარათი უკვე მიღებული ჰქონდათ, როცა 36-ე წუთზე მსაჯმა ჩხუბისთავობისთვის ტაუფოუც გაუძევათ. შერკინების ბურჯის შეცვლა კი, მოგეხსენებათ, იოლი არ არის, ამიტომ ინგლისელებმა აიშვეს. ტაიმის ბოლო წუთებში მათ ორი ლელოს გატანა მოახერხეს და შესვენების შემდეგაც თითქმის სულ უტევდნენ. შედეგად კი კიდევ 9 ლელო და ასეთი ანგარიში.

ახალ ზელანდიასთან მარცხით დამწუხრებული ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი კლივ ვუდვორდი მაინც გამხნევდა და ხვალ მეოთხედფინალის საგზურისთვის ფიჯისთან ორთაბრძოლას ერთობ გულდაიმედებული ხვდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 176:28 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 184:47 | 4 |
| ტონგა | 3 | 1 | 0 | 2 | 47:171 | 2 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | 35:196 | 0 |

## C ჯგუფი

16 ოქტომბერი

### საფრანგეთი 28:18 ფიჯი

საფრანგეთი: მოლა (გარბაჟოზა 55), ბერნა-სალი, დურთი, ნტამაკი, დომინისი, ლამეზონი, ს. კასტენიედი (გალტიე 71), მანი (კოსტი 76), ჟუიე (ბრუზე 64), მ. ლიევრემონი, პელუ, ბენაზი, ტურნერი, იბანესი (დალ მაზო 51), კალიფანო

3ლ — ჟუიე (22), საჯარიმო (70), დომინისი (80); 2გ — დურთი (22, 70); 3ს — დურთი (6, 39), ლამეზონი (79)

ფიჯი: ულუინაიო, ლასაგავიბო, სატალა, სოტუტუ, ბარი (ნაკაუტა 55), ნ. ლითლი, ჯ. რაულუნი, ს. ტავაკე, მოსელუტუ (სევაბუ 41), ტაბუა, კატალაუ, რაივალუი, ვეიტაიაკი, სმიტი, როუზი

1ლ — ულუინაიო (49); 1გ და 4ს — ლითლი (19, 43, 54, 60)

საფრანგეთმა ძნელი, მაგრამ ძალიან საჭირო გამარჯვება მოიპოვა. ახლა ის პირდაპირ მეოთხედფინალში გავიდა და ირლანდია — არგენტინის გამარჯვებულს შეხვდება. ფიჯი კი მეოთხედფინალის საგზურისთვის ინგლისს უნდა შეებას.

პირველი ტაიმი საკმაოდ მონოტონური და უინტერესო გამოდგა. უპირატესობა „მამლებისა" იყო და ლამეზონის ფეხით მშვენივრად თამაშის წყალობით ისინი დროის უმეტეს ნაწილს მოწინააღმდეგის ნახევარზე ატარებდნენ, თუმცა სათამაშო უპირატესობის ანგარიშში ასახვა ვერ შეძლეს. ამის მთავარი მიზეზი კი დერეფნის სისუსტე იყო. აუტებიდან მოწოდებულ ბურთებს უმეტესად ფიჯელები ეუფლებოდნენ.

შესვენების წინ საფრანგეთი მხოლოდ 10 ქულას იგებდა — 13:3. აქვე უნდა ითქვას, რომ პირველ ორმოც წუთში ვერც ფიჯელებმა გამოიჩინეს მაინცდამაინც თავი. ოკეანეთელები ფეხით უხეიროდ თამაშობდნენ და ვერც მათი სამეოთხედელები ყოჩაღობდნენ

მეორე ტაიმი ფრანგთათვის ცუდად დაიწყო. ულუინაიომ მშვენიერი კომბინაციის შემდეგ მათი დაცვითი ჯებირები იოლად გაარღვია და ფიჯის ერთადერთი ლელო გაიტანა, რომელიც ლითლმა გარდასახა კიდეც. ანგარიში გათანაბრდა. იმავე ლითლმა მალე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და თავისიანები დააწინაურა.

მატჩში გარდატეხა კი 70-ე წუთზე მოხდა. ფიჯის სალელოე მოედნიდან დაახლოებით ხუთ მეტრში შერკინება დაინიშნა. ოკეანეთელებმა რამდენჯერმე ჩააქციეს შერკინება და მსაჯმა ისინი საჯარიმო ლელოთი დასაჯა. საფრანგეთი წინ გავიდა და უპირატესობა აღარ დაუთმია. ბოლო წუთზე კი „მამლებმა" მესამე ლელოც გაიტანეს და მეოთხედფინალის საგზურიც მოიპოვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 108:52 | 6 |
| ფიჯი | 3 | 2 | 0 | 1 | 124:68 | 4 |
| კანადა | 3 | 1 | 0 | 2 | 114:82 | 2 |
| ნამიბია | 3 | 0 | 0 | 3 | 42:186 | 0 |

## D ჯგუფი

16 ოქტომბერი

### არგენტინა 33:12 იაპონია

არგენტინა: კორლეტო, კამარდონი, სიმონე, არბიზუ, ალბანეზე, კესადა (ფ. კონტეპომი 79), პიჩოტი, მარტინი, ლობე, ფელანი (ოსტილია 70), ალუბი, სპორლედერი (რუისი 54), ასანი, ლედესმა, რეჯიარდო

2ლ — პიჩოტი (28), ალბანეზე (80); 1გ — კონტეპომი (80); 7ს — კესადა (10, 21, 33, 37, 45, 54, 63)

იაპონია: მაცუდა, ოჰატა, მაკკორმიკი, მოტოკი, ტუიდრაკე, ჰიროსე, ბეჩოპი, სმიტი, ჯოზეფი, ოკუბო (იტო 69), ტანუმა, გორდონი, ოგუჩი (ნაკამურა 53), კუნდა (ჰასეგავა 46), ნაკამიჩი (საკატა 46)

4ს — ჰიროსე (23, 37, 40, 47)

დიდი ანგარიშით მოგება არგენტინას საშუალებას მისცემდა D ჯგუფის პირველადგილოსანი გამხდარიყო და მეოთხედფინალში პირდაპირ გასულიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ახლა სამხრეთამერიკელებმა ჯერ ირლანდიის წინააღმდეგობა უნდა დაძლიონ, რათა საფრანგეთთან თამაშის უფლება მოიპოვონ.

ანგარიში „პუმების" დამრტყმელმა გონსალო კესადამ გახსნა მე-10 წუთზე, ათიოდ წუთში კი მანვე მეორე საჯარიმოც გაიტანა. მალე ჰიროსემ შეამცირა სხვაობა, მაგრამ იაპონია არგენტინის მომგები ნაღდად არ იყო. 28-ე წუთზე აზიელთა ძელებთან გამართულ ზედახორაში ბურთს პიჩოტი დაეუფლა და კუთხურის ალამთან დაამიწა კიდეც. გარდასახვა კესადამ ვერ გაიტანა, მაგრამ, სამაგიეროდ, შესვენებამდე კიდევ ორი საჯარიმო გამოიყენა, რასაც ჰიროსემ ამდენივეთი უპასუხა.

მეორე ტაიმიც ზუსტი საჯარიმოების გაცვლით დაიწყო: კესადამ ორჯერ იხეირა, ჰიროსემ — ერთხელ. არგენტინელმა მეორე ნახევრის შუაწელში კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და ანგარიში 26:12 გახადა.

ბოლო თხუთმეტ წუთში სამხრეთამერიკელებმა თამაში დააწყნარეს. მიხვდნენ, რომ დიდი ანგარიშით ვერ მოიგებდნენ და ტრავმებს მოერიდნენ. მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი იაპონიის დაცვის შეცდომით ალბანეზემ ისარგებლა და ბურთი მეტოქის ძელებს შორის გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 118:71 | 4 |
| სამოა | 3 | 2 | 0 | 1 | 97:72 | 4 |
| არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 83:51 | 4 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | 36:140 | 0 |

## E ჯგუფი

15 ოქტომბერი

### ირლანდია 44:14 რუმინეთი

ირლანდია: ოში (დარსი 64), ტოპინგი, ბელი, მალინსი, მოსტინი, ელვუდი (ოდრისკოლი 77), ტირნეი (ომერა 64), ოკუინეგენი (ვუდი 80), დეისონი, უარდი (კინლენი 53), ოკელი, ჯონსი (დევიდსონი 53), უოლასი (მაკკინი 64), ნესდეილი, ფითსპატრიქი

5ლ — ოკუინეგენი (7), უარდი (15), ოში (33, 45), ტირნეი (58); 5გ და 2ს — ელვუდი (13, 40); 1ა — ოდრისკოლი (80)

რუმინეთი: ვიორეანუ, საუანი, ბრეზოიანუ, გონტინეჩი, სოლომიე, ვუსეჩი, მიტუა, დრაგუჩეანუ, სეპტარი, პეტრაშე, ბრინმა, კონსტანტინი (შრიაკი 61), სტანი, ბალანი (დიმა 64), მავროდინი

1ლ — საუანი (76); 3ს — მიტუ (19, 26, 57)

ირლანდიელთა პირველი ორი ლელო უცხოტომელთა ანგარიშზეა. ჯერ წარმოშობით სამხრეთაფრიკელმა ოკუინეგენმა დაამიწა ბურთი რუმინელთა სალელოე მოედანზე, მერე კი ყოფილმა ახალზელანდიელმა უარდმა. ელვუდმა ორივე ლელო გარდასახა, ერთი საჯარიმოც მიაყოლა და 17:0. სხვათა შორის, ოკუინეგენისთვის ეს პირველი საერთაშორისო ლელო იყო და მანაც ერთობ გაიხარა. ასეთივე სიხარული იწვნია მეორე ტაიმში კიდევ ერთმა ირლანდიელმა, ტირნეიმ.

ისე, რუმინეთმა თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უკეთ ითამაშა და ძლიერ მეტოქესთან თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. თამაშის ბოლოს კი საუანიმ ლელოც კი გაიტანა და რუმინელები შინ თავაწეულნი დაბრუნდებიან.

ირლანდია კი მეოთხედფინალში გასასვლელად ხვალ საფრანგეთის ქალაქ ლანსში არგენტინას შეერკინება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 0 | 135:31 | 6 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 100:45 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 50:126 | 2 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 52:135 | 0 |

### დარჩენილი მატჩების განრიგი

**მეოთხედფინალებში გასასვლელად**

20.10 ინგლისი — ფიჯი (A მატჩი), თვიქნემი
20.10 შოტლანდია — სამოა (B), მარიფილდი
20.10 ირლანდია — არგენტინა (C), ლანსი

**მეოთხედფინალები**

23.10 ავსტრალია — უელსი (D), კარდიფი
24.10 სამხრეთ აფრიკა — A მატჩის გამარჯვებული (E), პარიზი
24.10 საფრანგეთი — C-ს გამარჯვებული (F), დუბლინი
24.10 ახალი ზელანდია — B-ს გამარჯვებული (G), მარიფილდი

**ნახევარფინალები**

30.10 D-ს გამარჯვებული — E-ს გამარჯვებული, თვიქნემი
31.10 F-ს გამარჯვებული — G-ს გამარჯვებული, თვიქნემი

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

04.11 კარდიფი

**ფინალი**

06.11 კარდიფი

# მაკაბელთა შესანიშნავი ხუთეული

**საქართველოს ჩემპიონატი — 3 ტური**

ვერის ბაღი. 16 ოქტომბერი

**სსუ 73:96 სდასუ**

I ტაიმი 30:46

სსუ: გ. ყლენტი (6), ბ. ბერიშვილი (33), თოდუა (7), ლ. ვაშაკიძე (9), ერქვანია (2); არველაძე, ლაცუზბაია, ქარუმიძე (8), სორდია (8)

სდასუ: გ. ჩხეიძე (12), ნ. ნოზაძე (9), ანდღულაძე (29), სუხიშვილი (7), მაჭარაძე (26); ლ. აბულაძე (13), ჭინჭარაძე

მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი — 3 ტური**

ვერის ბაღი. 16 ოქტომბერი

**მაკაბი 85:78 ვითა**

I ტაიმი 41:29

მაკაბი: დ. ბერიშვილი (15), ი. ბერიშვილი (19), ბ. ნოზაძე (11), ლასარეიშვილი (6), ფერიაშვილი (34)

ვითა: უსტიაშვილი (5); ტურაშვილი (18), კოკოლიშვილი (16), შანიძე (15), ახალკაცი (11); ტ. ვაშაკიძე, ბაქრაძე (7), გ. გაგნიძე (2), ჭირაქაძე (2), ქევხიშვილი (2)

მსაჯები: როლანდ გელოვანი, როლანდ ხომერიკი

კომისარი: მურმან ქურიძე

**როლანდ ლაბუჩიძე**

**ზუსტად** ერთი კვირის წინ საქართველოს კალათბურთის ისტორიაში პირველი მანდილოსნის მსაჯობა და ბათუმის „ბასკოს" თბილისური დებიუტის ამბავი გამცნეთ. გინდ დაიჯერეთ გინდა არა, მაგრამ ამჯერად საინტერესო ფაქტზე გვექნება საუბარი. ნუ გეცინებათ — სხვა რა უნდა იყოს, თუ არა სასწაული, საშუალო გუნდი მთელი ორი ტაიმის განმავლობაში შეუცვლელად მოთამაშე ხუთი კალათბურთელით ამარცხებს ქვეყნის ზედიზედ შვიდგზის ჩემპიონს და ამჯერადაც მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ მოწინააღმდეგეს. თანაც, ამარცხებს არა შემთხვევით, არამედ დამაჯერებლად.

შეიძლება ბევრი შემომედავოს, რა დიდი ამბავი ეგ არის, ერთი, ჩვეულებრივი, რიგითი მატჩი ჩემპიონმაც რომ წააგოსო და მართალიც იქნება, მაგრამ აქ სულ სხვა ფაქტზეა საუბარი. ფეხბურთისაგან განსხვავებით, კალათბურთში ძალიან ძნელია სასტარტო შემადგენლობით, მთლიანად შეხვედრაზე რომ არაფერი ითქვათ, ერთი ტაიმის ჩატარებაც კი. მაგრამ ჩატარებაც არის და ჩატარებაც. ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით მიმდინარე შეხვედრაზე ხომ არ არის საუბარი, საქმე ეხება მანამდე წაუგებლად მოასპარეზე ჩემპიონთან მატჩს. მართალია „ვითამ" მიმდინარე ჩემპიონატის წინ ხუთი წამყვანი კალათბურთელი მოისაკლისა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩემპიონმა მაინც საკმაოდ დამაჯერებლად შეძლო პირველ და მეორე ტურში შესაბამისად სდასუ-ს და სტუ-ს დამარცხება, რომლებიც სულ მცირე პლეი ოფში მოხვედრის კანდიდატებად ითვლებიან. გამორიცხული არაა ანალოგიური შემთხვევა საზღვარგარეთაც იყოს დაფიქსირებული, მაგრამ „მაკაბის" მიღწევა მაინც განსაკუთრებულია.

მაინც რა მოხდა. რატომ წააგო ბოლო წლებში ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა მერვე ეროვნულში მეშვიდე ადგილზე გასულ გუნდთან, რომლის საუკეთესო მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ექვსეულში გასვლა და იქ დაკავებული ბოლო ადგილია?

ერთი წუთითაც არავინ იფიქროს, რომ „ვითა" თავისი წარსულის მხოლოდ აჩრდილიღა იყო. არა, იგი როგორც ყოველთვის, კაცურად იბრძოდა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე და ერთი გოჯის დათმობასაც არ აპირებდა უბრძოლველად. ჩვეული ოსტატობით ირჯებოდნენ უკანა ხაზზე უსტიაშვილი და ტურაშვილი. ფლანგებიდან კოკოლიშვილი და შანიძე არ ასვენებდნენ მეტოქეს, ცენტრში კი ახალკაცმა თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა და მოედნიდან ხუთი ჯარიმით გასვლის წინ კიდევაც დაიმსახურა გულშემატკივართა ოვაციები. გულივერ ახალკაცს აშკარად ვერ გაუწია სათანადო პარტნიორობა „ვითას" ახალბედა ლევან ქევხიშვილმა, რასაც ვერ ვიტყვით მაკაბელი ლასარეიშვილისა და ნოზაძის მიმართ, რომლებიც შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ალექსანდრე ფერიაშვილს ყველა პირობას უქმნიდნენ, რათა მეტოქის ფარის ქვეშ პრობლემები შემსუბუქებოდა. შეუდარებელი იყო „მაკაბის" უკანა ხაზი. გაჭრილი ვაშლივით ერთმანეთის მსგავსი და ვერცხლისწყალივით მოძრავი ტყუპი დავით და ირაკლი ბერიშვილების სახით, რომლებიც მაქოსავით დაძვრებოდნენ მოედანზე. ბურთის ჩაჭრა იქნებოდა თუ მისი მოედნის მეორე მხარეს გადატანა, ზუსტი პასების გაკეთება თუ სიტუაციიდან გამომდინარე საუკეთესო ვარიანტის არჩევა, ამ მხრივ ისინი ტოლს არ უდებდნენ უფროს მეტოქე-კოლეგებს, მამუკა ტურაშვილს და დავით უსტიაშვილს.

რადგან მეტოქეები დაახლოებით ტოლსწორად გამოიყურებოდნენ უკანა ხაზზე, შეხვედრის ბედი ფარზე უნდა გარკვეულიყო, სადაც გამოცდილი ფერიაშვილის ხელმძღვანელობით „მაკაბი" გახდა ტონის მიმცემი. განსაკუთრებით უნდა ვთქვათ 32 წლის ფერიაშვილზე, რომელმაც თავისი ხანგძლივი საკალათბურთო კარიერის მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ძალზე იშვიათად, რომ მუდამ საბრძოლველად შემართული ფერიაშვილი ხელმოცარული დარჩენილიყო ფარის ქვეშ ბურთისათვის ბრძოლაში. თუ საჯარიმოების სროლაზე მიდგებოდა საქმე, იგი ამ შემთხვევაშიც საუკეთესო იყო და ქართველი კალათბურთელებისათვის აქილევსის ქუსლად ქცეულ საჯარიმოებს იშვიათი სიზუსტით ათავსებდა კალათში. როდესაც „ფერომ" 5 ჯარიმის შემდეგ ახალკაცი სათადარიგოთა სკამზე დასვა, ხოლო ქევხიშვილმა ვერა დააკლო რა, „ვითამ" „მაკაბის" ლიდერს საქართველოში პერსონალური მეურვეობის დიდოსტატი ირაკლი ბაქრაძე მიუჩინა, მაგრამ 17 ოქტომბერს მაკაბელის შეჩერება შეუძლებელი იყო.

უკვე მეორე წუთის ბოლოს „მაკაბი" 4:0 იგებდა. მალე უსტიაშვილმა ზუსტი სამქულიანით ერთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ივარგა ლასარეიშვილმა და თანაგუნდელები კვლავ საიმედოდ (8:3) დააწინაურა. ტურაშვილმა და კოკოლიშვილმა კიდევ თითოჯერ შეძლეს სამქულიანების ხარჯზე ერთ ქულამდე მიახლოებოდნენ მეტოქეს. „მაკაბის" კალათბურთელები მატჩის სადავეებს არა და არ ანებებდნენ. ტაიმის ბოლოს კი ისე „გათავხედდნენ", რომ 12 ქულითაც მოსწყდნენ მეტოქეს.

ჩემპიონებს შესვენების შემდეგ ათ წუთზე ოდნავ მეტი დასჭირდათ, რათა კვლავ ერთ ქულამდე (58:59) შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში. მაგრამ წინ გასვლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთხელაც ვერ შეძლეს გათანაბრება. მე-19 წუთზე, როდესაც ანგარიში იყო 80:70 „მაკაბის" სასარგებლოდ, კოკოლიშვილის სამქულიანმა მატჩის ხსნის ნაპერწკალი აუნთო „ვითას". სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე ჯარიმაც არაერთხელ აიღეს დროის მოგების მიზნით, მაგრამ „მაკაბიმ" საჯარიმოების შესრულებაშიც არ შერცხვინა თავი და გამარჯვებაც დამსახურებულად მოიპოვა.

„ვითასთან" და „ბასკოსთან" ხელმოცარული სდასუ აშკარად შესუსტებული შემადგენლობით წარსდგა სსუ-ს წინააღმდეგ. დისკვალიფიცირებულ გიგი ნაცვლიშვილთან ერთად თბილისელმა სტუდენტებმა ოჯახური პირობების გამო წინა მატჩების გმირები ირაკლი ხოშტარია (ქორწილი ჰქონდა) და შოთა უძილაური (ბიძა გარდაეცვალა) მოისაკლისეს. სსუ-ს რიგებში კი კვლავ ვიხილეთ ლაშა არველაძე და ლევან ქარუმიძე. აღნიშნულ კალათბურთელებს აშკარად ეტყობოდათ უვარჯიშებლობა, მაგრამ სსუ-ს ბუბა ბერიშვილის სახით მაინც ჰყავს აშკარა ლიდერი, რომელიც ზედიზედ მესამე ტურია 30 ქულაზე ნაკლებს არ აკეთებს. ამჯერადაც სწორედ ბერიშვილის „აფეთქების" შედეგი იყო, რომ მე-2 წუთისთვის სსუ 6:1 უგებდა მეტოქეს. ზუსტად 8 წუთი ფლობდა სსუ უპირატესობას. ბერიშვილის სულის მოთქმის მიზნით მოედნიდან გასვლის შემდეგ, სსუ-ს უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაიპარა.

**საქართველოს ჩემპიონატი — 3 ტური**

ვერის ბაღი. 16 ოქტომბერი

**შევარდენი 66:81 დინამო**

I ტაიმი 34:37

შევარდენი: ორჯონიკიძე (5), კაზანჯიანი (12), მაჭავარიანი (12), შ. გაგნიძე (15), ღვინეფაძე; გიგაური (15), ალავიძე (7)

დინამო: ნიკოლაძე (29), ორდენიძე (6), ახვლედიანი (1), უჩუმბეგაშვილი (4), ვ. აბულაძე (19); ენდელაძე (9), ყველაშვილი, ცხვედიანი (13)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**საქართველოს ჩემპიონატი — 3 ტური**

ვერის ბაღი. 16 ოქტომბერი

**ასკ 88:103 თსუ**

I ტაიმი 40:41

ასკ: მარხვაშვილი (16), აკოლაშვილი (28), ფანჯიკიძე (4), ზუბიაშვილი (15), ნუცუბიძე (21); ლაცაბიძე, ღვინაშვილი (4), ბიძინაშვილი

თსუ: ვეფხვაძე (6), წოწელია (25), ხეცურიანი (20), მარკოიშვილი (24); გ. ბერუაშვილი (2); ზამთარაძე (2), არსიაშვილი (9), მშვილდაძე, გელაშვილი (7), ნათობაძე, თაბუაშვილი (2), სანიკიძე (6)

მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი — 3 ტური**

რუსთავი. 17 ოქტომბერი

**აზოტი 111:76 გორი**

I ტაიმი 53:45

აზოტი: ყლენტი (19), გაბისონია, გოგობერიშვილი (32), ბაბიაშვილი (24), ბერუაშვილი (19); გოგოლაძე (4), ჩაჩუა (2), დანელიანი (2), კოჭლამაზაშვილი (3), ნიკლაური (3), ჯიმშელეიშვილი (3)

გორი: ნინოშვილი (23), იაშვილი (16), გრძელიშვილი (14), ფსუტური (6), მანველიშვილი (12); ლოლიშვილი, კურტანიძე (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**შაბათს** ვერის ბაღში უჩვეულოდ ცოტა გულშემატკივარი შეიკრიბა. ეს იმით აიხსნება, რომ ტურის ცენტრალურ მატჩში „ბასკო" სტუ-ს ბათუმში მასპინძლობდა, დედაქალაქში გასამართი შეხვედრებიდან კი არც ერთი არ იწვევდა ქომაგების განსაკუთრებულ ინტერესს. მართლაც, ვინც იმ დღეს ვერის ბაღში კალათბურთზე მოსვლა დაიზარა, არც შემცდარა. ყოველ შემთხვევაში, იქ ისეთს ვერაფერს ნახავდა კაცი, რისთვისაც კალათბურთზე სიარული ღირს. რომ არა რედაქციის დავალება, თავადაც უმალ გავეცლებოდი იქაურობას, სხვა თუ არაფერი, ქუჩაში გავივლიდი, თვალს წყალს დავალევინებდი...

თავიდანვე მოწყენილობა სუფევდა ვერის ბაღში და ასეთივე განწყობა გამყვა ბოლომდე. იმდღევანდელი მატჩებიდან ერთი-ორი მოსაწონი ეპიზოდი თუ დამამახსოვრდა, ეგ არის და ეგ.

აქამდე თითო მოგებით და ამდენივე წაგებით მოსული „შევარდენ" — „დინამოს" შორის გამარჯვებული სატურნირო პოზიციებს გაიმყარებდა. ერთის შეხედვით ამ თანაბარძალიანი გუნდების დაპირისპირება საინტერესო უნდა ყოფილიყო. თავის სამყოფ ინტრიგას ეს შეხვედრა თითქმის ბოლომდე ინარჩუნებდა, მაგრამ თამაშის უშინაარსობა და კალათბურთელთა მოქმედების დაბალი ხარისხი თავისას აკეთებდა.

შევარდენელთა ზონური დაცვა პირველმა ვანო აბულაძემ გაარღვია და „დინამო" დააწინაურა. მეტოქეთაგან კაზანჯიანმა ივარგა, რასაც ისევ აბულაძემ უპასუხა ზუსტი სროლით და აშკარა გახდა, მისი შეჩერება „შევარდენის" ორმოცსმიტანებული ცენტრის, მალხაზ ღვინეფაძის ძალებს აღემატებოდა. გივი კოშკელოვმა ღვინეფაძე ალავიძით შეცვალა. ამან ჯერ წონასწორობა აღადგინა, მაჭავარიანის ზუსტი სამიანის შემდეგ კი „შევარდენი" წინაც გავიდა. მაჭავარიანს შალვა გაგნიძეც შეეშველა და თავისიანები კიდევ უფრო შეაგულიანა. დამფრთხალ დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ წუთშესვენება ითხოვა და შეგირდების დამშვიდება სცადა, მაგრამ არც ამან გამოიღო ნაყოფი და შეხვედრა კვლავაც „შევარდენის" კარნახით გაგრძელდა. „დინამოს" ცენტრზე თამაში მართებდა, ვანო აბულაძეც ყოველმხრივ მზად იყო საამისოდ, მაგრამ თანაგუნდელები რატომღაც შორიდან სროლებს ეშურებოდნენ და ვერც ხეირობდნენ, თანაც, მეტოქის კონტრშეტევებიც ეპარებოდათ. ტაიმის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე მაჭავარიანმა ზუსტი სამიანით ათ ქულამდე (24:14) გაზარდა სხვაობა, მაგრამ დინამოელთა რიგებში გამოცდილი შალვა ცხვედიანის გამოჩენა შვიდი კაცით მოთამაშე „შევარდენს" თავსატეხად დაატყდა. ცხვედიანის ორი ზუსტი სამიანის შემდეგ ენდელაძემ საჯარიმოები ჩააგდო და ტაიმის მიწურულს „დინამო" ქულით (33:32) დაწინაურდა. ბოლოს მხეიძის დამოძღვრილებმა მთელს მოედანზე პრესინგს მიმართეს და პირველი ნახევარი სასურველი შედეგით დაასრულეს.

განახლდა შეხვედრა და კვლავ „დინამომ" იმძლავრა. ცოტაც და წელშიც გატეხდა მეტოქეს, მაგრამ გაგნიძემ ძალიან მოინდომა, ზედიზედ რამდენიმე შეტევა დააგვირგვინა და სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. აქ კი დინამოელი გიორგი ნიკოლაძის ნამდვილი ძალა წარმოჩნდა, მან შეტევათა დასრულება ითავა და ზედიზედ სამჯერ შორი მანძილიდან მიზანს უწია. კაზანჯიანის და განსაკუთრებით თამაზ გიგაურის ძალისხმევით შევარდენელებმა კიდევ კარგა ხანს სდიეს „დინამოს", ერთხანს თითქმის წამოეწივნენ კიდეც, მაგრამ შვიდი მოთამაშის იმედად მყოფთ ორი კალათბურთელი ნაადრევად გამოაკლდათ და ვინც შერჩათ, უმეტესობას ოთხ-ოთხი ჯარიმა დაცვაში თამაშისას ზღუდავდა. გაილაღა აბულაძემ, ჯერ საშუალო მანძილიდან ჩააგდო, მორიგი შეტევა სულაც ჩატენვით დაასრულა და ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

წინა ტურში „აზოტთან" მარცხნაწვნევი თსუ წლეულს ჯერაც გაუმარჯვებელ ასკ-ს დაუპირისპირდა. არმიელებმა შეხვედრა აღმავლობით დაიწყეს, ვერც მათი ლიდერი, დავით აკოლაშვილი მოიხელთეს სტუდენტებმა და არმიელთა საწყისი ცხრა ქულაც სწორედ მან მოინაგრა. მერე კი აკოლაშვილს შიო ხეცურიანი აედევნა, შეავიწროვა და სასწორიც თსუ-ს მხარეს გადაიხარა.

სტუდენტები ძირითადად გოჩა წოწელიას და გიორგი მარკოიშვილის კარგი თამაშის წყალობით ლიდერობდნენ, მაგრამ არმიელთა თექვსმეტი წლის გამთამაშებელი გიორგი მარხვაშვილი ნოდარ ქორქიას გუნდს სოლიდურად დაწინაურების შანსს უსპობდა. საერთოდაც, ეს ბიჭი არა მხოლოდ ეროვნული პირველობის, არამედ მომავალი საქართველოს ნაკრების ყველაზე იმედისმომცემი უკანახაზელია, ასაკის კვალობაზე მშვენივრად ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას, სწრაფია, გონებაგახსნილი და რაც მთავარია, სწორ, გამართულ კალათბურთს თამაშობს.

ის, რომ შედარებით გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ თსუ-სთან ასკ-მ მხოლოდ ქულით დათმო ტაიმი და მერეც გვარიანი ოფლი ადინა მეტოქეს, მნიშვნელოვნად მარხვაშვილის დამსახურება გახლდათ. თავიანთი წილი აკოლაშვილმა და ნუცუბიძემაც შეიტანეს, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა თსუ-ს შედარებით მაღალმა სათამაშო კლასმა თქვა. წოწელიაც ვერა და ვერ შეაჩერეს არმიელებმა და შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე დამარცხებულის ბედსაც შეეგუვნენ.

**ირაკლი ფირაშვილი** რუსთავიდან

**როგორც** იქნა აისრულა რუსთავის „აზოტმა" საწადელი და მეტოქეს მშობლიურ ქალაქში უმასპინძლა. მართალია, რუსთაველთა მეტოქე ქართული კალათბურთის გრანდებს არ განეკუთვნება, და, აქედან გამომდინარე, დიდ ბრძოლას არავინ ელოდა, მაგრამ მაინც მეტი დაინტერესება იყო მოსალოდნელი ამ მატჩისადმი. რუსთავში, ქალაქში, რომლის გუნდსაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში ჭიპი მოჭრილი აქვს, გამართულ პირველ ოფიციალურ მატჩს სულ ორიოდ ასეული მაყურებელი თუ დაესწრო.

მასპინძელთა გამარჯვება, რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ იწვევდა, თუმცა, თავდაპირველად გორის გუნდმა კერკეტი კაკლის შთაბეჭდილება დატოვა და მასპინძლებს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია პირველ ტაიმში. უფრო მეტიც: საწყისი ორი-სამი წუთის განმავლობაში სტუმრები წინაც იყვნენ.

ანგარიში სტუმართა გამთამაშებელმა ნინოშვილმა გახსნა ორქულიანით. იქვე მასპინძლებმა ორი ქულითვე უპასუხეს, შემდეგ კი საკუთარ კალათში ხუთი ქულა მიიღეს. ეს იყო და ეს, „გორს" მეტჯერ არ მისცემია საშუალება ლიდერობით დამტკბარიყო. „აზოტმა" ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ გოგობერიშვილის ორი, ტყუპისცალებივით ერთნაირი გარღვევების შემდეგ 13:9 გავიდა წინ. პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმარი გუნდი მაინც ახერხებდა მწვავე ჩხვლეტებს და ტაიმის შუაწელში 21:24 დაუახლოვდა ვიცეჩემპიონს, პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე კი სულაც ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა — 43:45, მაგრამ სტუმართა აფეთქებას მასპინძლებმაც ანალოგიურად უპასუხეს: „აზოტმა" შესვენებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთი 8:2 მოუგო სტუმრებს.

მეორე ტაიმში კი მხოლოდ ერთი გუნდი, რუსთავის „აზოტი" თამაშობდა, მეორე კი ამაოდ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, სხვაობა წუთიდან წუთამდე იზრდებოდა. „გორმა" ვერაფერი მოუხერხა გოგობერიშვილის სამიანებს თუ გარღვევებს, რუსთაველთა ლიდერმა ერთ მონაკვეთში ზედიზედ ათი ქულა მიითვალა, „გორს" კი უჭირდა შოკიდან გამოსვლა, ყოველი ბურთის ჩაგდება დიდ წვალებად უჯდებოდა. საბოლოოდ, „აზოტმა" მესამე თამაშშიც იოლად იმარჯვა, „გორს" კი სხვა არაფერი დარჩენია, „აზოტზე" სუსტ მეტოქესთან შეხვედრისას უნდა იფიქროს პირველ გამარჯვებაზე.

## საქართველოს ჩემპიონატი. 3 ტური

ბათუმი. 16 ოქტომბერი

### ბასკო 108:89 სტუ

I ტაიმი 47:40

ბასკო: მაისურაძე, აბრამიძე (29), ბეჟანიშვილი (14), დავითულიანი (21), ვ. კილაძე (34); კვაჭაძე (2), კეშელავა (8), ბერია, ჭეიშვილი

სტუ: მიქაძე, თორთლაძე (32), ორმოცაძე (17), ლოსაბერიძე (17), კორძაძე (6); მოისწრაფიშვილი (4), სულაძე, ოთიურიძე (13), მინაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: აკაკი მეგრელაძე

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**დებიუტანტი** უძახეთ და აგერ, სტუ-ს განადგურებით, „ბასკომ" ზედიზედ მესამედ მოიგო. მართლაც შთამბეჭდავი სტარტია.

თამაში საკმაოდ კარგი საცქერი და შედეგიანიც გამოდგა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ორივე გუნდი (განსაკუთრებით სტუმრები) დაცვაში ბევრს სცოდავდა და საბოლოოდ ამან დიდი როლი ითამაშა. პირველივე წუთებიდანვე გახსნილი თამაში გაჩაღდა და კორძაძის ზუსტ ნასროლს, „ბასკომ" აბრამიძის ორი საჯარიმოთი უმალ უპასუხა. მერე სტუდენტები კი გაიჭრნენ წინ, მაგრამ მესამე წუთის მიწურულს, ვალერი კილაძის ასევე ორმა საჯარიმომ, მასპინძლები პირველად დააწინაურა — 10:8.

ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე გაგრძელდა. ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან მეორე. ბათუმელთაგან კილაძეს ბეჟანიშვილმა და დავითულიანმა აუბეს მხარი, ხოლო სტუდენტთაგან თორთლაძემ და ლოსაბერიძემ გამოიღეს ხელი.

ბევრი ელოდა, რომ სტუ, გამოცდილი ცენტრების წყალობით, დაჩაგრავდა გამოკვეთილი ცენტრის არმქონე „ბასკოს". პირიქით კი მოხდა. სწორედ ფარზე თამაშზე გამოჩნდა მასპინძლების სიძლიერე. დედაქალაქელებმა ამას საშუალო მანძილიდან სროლები დაუპირისპირეს, ხოლო ლოსაბერიძემ პირველი ზუსტი სამქულიანიც დაუმატა და სტუ ოთხი ქულით წინ გაიჭრა — 29:25.

დაძაბულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ბეჟანიშვილმა ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანა და თან ორმოცაძეს მეოთხე ჯარიმაც აჰკიდა. ამას თორთლაძემ ორი საჯარიმოთი უპასუხა, მაგრამ ტაბლოზე რატომღაც მხოლოდ ქულა დაფიქსირდა. სამსაჯო მაგიდასთან საქმის გარკვევა ბეჟანიშვილის ზუსტი სროლის შემდეგ დაიწყო. ტაბლოზე 31:30 ეწერა „ბასკოს" სასარგებლოდ. სტუმრებმა ზემოთქმული ქულა მოითხოვეს და აკი მიიღეს კიდეც, ოღონდ ბათუმელთა ქულის ხარჯზე. ამას, ბუნებრივია, მათი პროტესტი მოჰყვა და ბოლო-ბოლო 31:31-ზე შეთანხმდნენ.

თამაშის შეჩერებამ ზღვისპირელებზე დადებითად იმოქმედა და გეგმაზომიერმა წინსვლამაც არ დააყოვნა. შესვენებამდე ორი წუთით ადრე სხვაობამ 10 ქულას მიაღწია. კორძაძემ და თორთლაძემ სხვაობა კი შეამცირეს, მაგრამ კილაძის თავგამოდებამ ტაიმს წერტილიც დაუსვა — 47:40. აღსანიშნავია, რომ ბათუმელებს დასაწყისშივე გამოაკლდათ მუხლნატკენი მაისურაძე, თუმცა, ამას მათ თამაშზე ძირეული გავლენა არ მოუხდენია.

გავარდნის ზღვარზე მყოფი ორმოცაძე მეორე ტაიმში გამოჩნდა. ამანაც მნიშვნელოვნად გააძლიერა სტუმართა შეტევა. მაგრამ რად გინდა: კილაძის შემჩერებელი ამ დღეს არავინ აღმოჩნდა. ვალერის არც სხვები ჩამორჩნენ, მაშინ, როცა ორმოცაძეს მხოლოდ თორთლაძე თუ ედგა მხარში. ჰოდა, „ბასკო" თანდათან დაწინაურდა და დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე, სხვაობა 19 ქულამდე გაიზარდა — 82:63.

სტუმ ცოტა კი გაიბრძოლა, მაგრამ ორმოცაძის მეხუთე ჯარიმამ ყოველივე ცხადი გახადა. სტუდენტებიდან მხოლოდ თორთლაძე არ ცხრებოდა. ამასობაში აბრამიძემ ჩვეულად გაიბრწყინა... ბოლო წუთებს დიდი არაფერი შეუცვლია მხოლოდ ამ ორი კალათბურთელის ზედიზედ რამდენიმე სროლა იყო აღსანიშნავი. ბოლო ბურთიც სირენამდე ოთხი წამით ადრე აბრამიძემ ჩააგდო და შეხვედრასაც საბოლოო სახე მისცა.

## საგამოფენო მატჩი

# მეტი დრო სტეფანიას!

### სიეტლი 102:96 იუტა

სიეტლი: პეიტონი (6), ვილიამსი (11), ლუისი (5), ბეიკერი (12), გრანტი (3); ბერი (20), მაქსველი (28), სტეფანია (8 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა), მაკკოი, ფოსტერი (2), პატერსონი (3), დევისი (2), ვინსონი, ბორელი (2)

იუტა: სტოქტონი (10), ჰორნაჩეკი (6), ჰიუზი (19), კიფი (3), ოსტერტაგი (10); ბრეგსი (12), პაჯეტი (2), ეისლი (7), სიმსი (4), პოლინაისი (3), ვონი (6), ჩილქატი (2), რასელი (8), ვაშინგტონი, ნვოსუ (2), ლუისი (2)

**„სიეტლ სუპერსონიქსისთვის"** რიგით მესამე საგამოფენო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, აიდაჰოს შტატის ქალაქ ბოისში გაიმართა, თუმცა ფორმალურ მასპინძლად „იუტა ჯაზი" ითვლებოდა. „სიეტლის" ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია ამჯერადაც შეცვლაზე შევიდა, მაგრამ წინა მატჩებისგან განსხვავებით, მოედანზე გაცილებით დიდხანს, 23 წუთი იყო. შესაბამისად, მისი შედეგიანობაც გაიზარდა. ამ ხანში სტეფანიამ შვიდჯერ ესროლა (ერთხელ — სამქულიანი) და სამი ორქულიანი ჩააგდო, ხოლო ორი საჯარიმოდან ორივე გამოიყენა. ხუთ მოხსნასა და ორ ჩაჭრასთან ერთად, ვლადიმერმა ორი პერსონალური მიიღო და ბურთიც ორჯერ დაკარგა.

პირველი ტაიმის მერე ანგარიში 53:53 იყო, მესამე მეოთხედში კი „სიეტლმა" მხოლოდ 15 ქულა გააკეთა, მისმა მეტოქემ კი — ორჯერ მეტი. „იუტას" მეოთხე მეოთხედშიც გადაჰყვა უპირატესობა — დამთავრებამდე 4,13 წუთით ადრე 93:82 იგებდა.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „სიეტლი" მარცხს არ შეეპუა და ზუსტად სამ წუთში დაწინაურდა კიდეც: „სონიქსში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადასულმა ვერნონ მაქსველმა ანგარიში 94:93 გახადა. სტეფანიას გუნდმა შეტევები გააგრძელა და, საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ სამწუთნახევრიანი მონაკვეთი 18:0 მოიგო (მაქსველმა ამ ხანში 8 ქულა გააკეთა).

„იუტას" არ ჰყავდა წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე კარლ მელოუნი (ზურგი აწუხებს), ხოლო მის რიგებში ყველაზე შედეგიანი ახალბედა რიკ ჰიუზი იყო.

მომდევნო საგამოფენო მატჩს „სიეტლ სუპერსონიქსი" დღეს გამართავს: მშობლიურ „კი არენაში" „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" უმასპინძლებს.

## საქართველოს ჩემპიონატი. 3 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 3 | 3 | 0 | 303:223 | 6 |
| მაკაბი | 3 | 3 | 0 | 253:199 | 6 |
| ბასკო | 3 | 3 | 0 | 299:259 | 6 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | 284:256 | 5 |
| ვითა | 3 | 2 | 1 | 249:244 | 5 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 236:236 | 5 |
| სდასუ | 3 | 1 | 2 | 278:268 | 4 |
| სტუ | 3 | 1 | 2 | 248:243 | 4 |
| შევარდენი | 3 | 1 | 2 | 195:234 | 4 |
| გორი | 3 | 0 | 3 | 235:295 | 3 |
| ასკ | 3 | 0 | 3 | 222:282 | 3 |
| სსუ | 3 | 0 | 3 | 212:275 | 3 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 ოქტომბერი | | | |
| 501 | დინამო (უკრაინა) — ლევერკუზენი (გერმანია) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 502 | მარიბორი (სლოვენია) — ლაციო (იტალია) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 503 | ფიორენტინა (იტალია) — აიკ (შვედეთი) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 504 | არსენალი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 505 | დორტმუნდი (გერმანია) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 506 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 507 | მარსელი (საფრანგეთი) — მანჩესტერი (ინგლისი) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 508 | შტურმი (ავსტრია) — კროაცია (ხორვატია) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 20 ოქტომბერი | | | |
| 509 | პორტუ (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 510 | მოლდე (ნორვეგია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 511 | ვალენსია (ესპანეთი) — ბაიერნი (გერმანია) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 512 | რეინჯერსი (შოტლანდია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 513 | სპარტაკი (რუსეთი) — ბორდო (საფრანგეთი) | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 514 | ტილბურგი (ჰოლანდია) — სპარტა (ჩეხეთი) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 515 | გალათასარაი (თურქეთი) — ჩელსი (ინგლისი) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 516 | ჰერტა (გერმანია) — მილანი (იტალია) | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### უეფას თასი. II ეტაპი. I წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 19 ოქტომბერი | | | | |
| 517 | დეპორტივო (ესპანეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 518 | არისი (საბერძნეთი) — სელტა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 519 | უდინეზე (იტალია) — ლეგია (პოლონეთი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 21 ოქტომბერი | | | | |
| 520 | ვერდერი (გერმანია) — ვიკინგი (ნორვეგია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 521 | როდა (ჰოლანდია) — ვოლფსბურგი (გერმანია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 522 | სტიაუა (რუმინეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 523 | მტკ (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 524 | ლევსკი (ბულგარეთი) — იუვენტუსი (იტალია) | (15,0-1,01) | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 525 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — აიაქსი (ჰოლანდია) | (7,5-1,05) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 526 | პარმა (იტალია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 527 | ინტერი (სლოვაკეთი) — ნანტი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 528 | ციურიხი (შვეიცარია) — ნიუკასლი (ინგლისი) | (5,0-1,1) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 529 | გრაცერი (ავსტრია ) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (2,5-1,35) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 530 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ამიცა (პოლონეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 531 | ანდერლეხტი (ბელგია) — ბოლონია (იტალია) | (2,5-1,35) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 532 | ლიდსი (ინგლისი) — ლოკომოტივი (რუსეთი) | (1,15-4,0) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 533 | სლავია (ჩეხეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (1,7-1,7) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 534 | პაოკ (საბერძნეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 535 | ვიძევი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 536 | გიოტებორგი (შვედეთი) — რომა (იტალია) | (5,0-1,1) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 537 | ტეპლიცე (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 538 | ლიონი (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია) | (1,35-2,5) | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 ოქტომბერი | | | |
| 001 | ბარნსლი — სუინდონი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 002 | ბოლტონი — ქრიუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 003 | ფულემი — ვულვერჰემპტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 004 | იფსვიჩი — ჩარლტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 005 | პორტ ვეილი — ნოტინგემი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 006 | პორტსმუთი — უოლსოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 007 | შეფილდი — ნორვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 008 | სტოკპორტი — ჰადერსფილდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 009 | ტრანმერი — გრიმსბი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 010 | ვესტ ბრომვიჩი — ქუინზ პარკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 011 | ბირმინგემი — მანჩესტერ სიტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 20 ოქტომბერი | | | |
| 012 | ბლექბერნი — კრისტალ პალასი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 ოქტომბერი | | | |
| 013 | ბლეკპული — ოლდემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 014 | ბორნმუთი — როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 015 | ბრენტფორდი — ჯილინგემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 016 | ბრისტოლი — კოლჩესტერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 017 | კემბრიჯი — ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 018 | კარდიფი — სტოკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 019 | ლუტონი — უიკომბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 020 | მილუოლი — პრესტონი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 021 | ნოტსი — ჩესტერფილდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 022 | სკანთორპი — ოქსფორდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 023 | რექსემი — უიგანი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | 20 ოქტომბერი | | | |
| 024 | რედინგი — ბერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 ოქტომბერი | | | |
| 025 | ბრაიტონი — შრიუსბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 026 | ჩესტერი — ჩელტენემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 027 | დარლინგტონი — კარლაისლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 028 | ექსეტერი — სუონსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 029 | ჰალიფაქსი — იორკი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 030 | ჰალი — პლიმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 031 | ლეიტონი — ბარნეტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 032 | მენსფილდი — ნორთჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 033 | როჩდეილი — მაკლსფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 034 | როტერჰემი — ჰართლპული | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 035 | საუთენდი — ლინკოლნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 036 | ტორკი — პიტერბრო | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ოქტომბერი | | | |
| 801 | პივოვარნა (სლოვენია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 802 | ეფესი (თურქეთი) — პო ორტეზი (საფრანგეთი) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 803 | ალბა (გერმანია) — ჟალგირისი (ლიტვა) | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 804 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 805 | ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ფორტიტუდო (იტალია) | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 806 | ბენეტონი (იტალია) — პაოკ (საბერძნეთი) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | 21 ოქტომბერი | | | |
| 807 | ცსკა (რუსეთი) — შოლე (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 808 | ციბონა (ხორვატია) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 809 | ოლიმპია (სლოვენია) — თოფაში (თურქეთი) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 810 | ვილერბანი (საფრანგეთი) — ვარეზე (იტალია) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 811 | მაკაბი (ისრაელი) — ულქერი (თურქეთი) | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 812 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — რეალი (ესპანეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 ოქტომბერი | | | |
| 013 | ვაშინგტონი — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 814 | ტამპა ბეი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 815 | რეინჯერსი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 816 | სენტ ლუისი — კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | 20 ოქტომბერი | | | |
| 817 | ბუფალო — ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 818 | ტორონტო — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 819 | მონრეალი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 820 | ფილადელფია — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 821 | ფლორიდა — ვანკუვერი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 822 | დეტროიტი — სან ხოსე | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 823 | დალასი — ედმონტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 824 | ლოს ანჯელესი — ბოსტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | 21 ოქტომბერი | | | |
| 825 | ოტავა — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 826 | სენტ ლუისი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 827 | ჩიკაგო — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### რაგბი. მსოფლიოს თასი. პლეი-ოფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ოქტომბერი | | | |
| 832 | ინგლისი — ფიჯი (17 00 სთ) | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| | 0-25 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 833 | შოტლანდია — სამოა | 1,2 | 7,0 | 3,8 |
| 834 | ირლანდია — არგენტინა | 1,3 | 7,0 | 3,0 |

### ჰოკეი. ევროლიგა. III ტური. 19 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 828 | მეტალურგი (რუსეთი) — სლოვანი (სლოვაკეთი) | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| 829 | ვშტეინი (ჩეხეთი) — ფილახი (ავსტრია) | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 830 | ტურკუ (ფინეთი) - მანჰაიმი (გერმანია) | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 831 | მოდო (შვედეთი) — ვოლერენგა (ნორვეგია) | 1,15 | 4,4 | 5,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# სკანდალი მალაიზიაში


REUTERS კუალა ლუმპურიდან

შამპანური ნაადრევად გაიხსნა: შუმახერს (მარცხნივ) და ირვინს სიხარული ჩაუმწარდათ

**მალაიზიის** ზეთანამედროვე ავტოდრომი „სეპანგი“ ოფიციალურად მარტში გაიხსნა. მას შემდეგ იქ სხვადასხვა რანგის რამდენიმე შეჯიბრიც ჩატარდა, მაგრამ უმთავრესი, ცხადია, ფორმულა 1-ის რბოლა გახდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, სადაც საავტომობილო სპორტი მაინცდამაინც პოპულარული არაა, ავტოდრომის ასაგებად 80 მილიონი დოლარის დახარჯვა მეტად სარისკო საქმე ჩანდა. თუ ადგილობრივი მოსახლეობა გულგრილი დარჩებოდა „სამეფო რბოლების“ მიმართ და ორსაათიანი სანახაობისთვის თავისი ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს ვერ შეელეოდა, ადვილი შესაძლებელი იყო, მთელი ეს გრანდიოზული პროექტი წყალში ჩაყრილიყო. მით უფრო, რომ ფორმულის ეტაპზე დასწრება სოლიდური თანხა ჯდება და ძალიანაც რომ მოიწადინო, ავტოდრომზე უბილეთოდ ცხვირს არავინ შეგაყოფინებს.

იმის გამო, რომ ცარიელი ტრიბუნები უსიამოვნო შთაბეჭდილებას დატოვებდა, მხოლოდ 50 000 ადგილიანი გააკეთეს. ეს მაშინ, როცა სხვაგან რბოლებს თითქმის 150 000 მაყურებელი ჰყავს. „სეპანგზე“ ანშლაგის შემთხვევაში სათადარიგო ვარიანტად ტრასის ირგვლივ არსებული ბორცვები გაითვალისწინეს, სადაც ადგილი გაცილებით იაფია. გუშინწინდელმა, პირველმა რბოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ცენტრალური ტრიბუნაც გადაიჭედა, ბევრნიც ბორცვებზე მოკალათდნენ.

გასულ უქმეებზე კუალა ლუმპურში ყველაფერი პირველად მოხდა: შაბათს პირველი კვალიფიკაცია ჩატარდა, კვირას კი იყო მალაიზიის ისტორიული, პირველი ეტაპის სტარტი და ასიოდე წუთის შემდეგ პირველი ტრიუმფატორიც გამოვლინდა, თან პირველივე რბოლაში დუბლიც გაკეთდა. მერე კი პირველი სკანდალიც ატყდა...

ფორმულაში დუბლი (ერთი გუნდის პილოტთა პირველ-მეორე ადგილები) ძნელი გასახერხებელია და ამიტომ ძვირადაც — 16 ქულად ფასობს. ერთ რბოლაში ამდენი ქულის შოვნას შეუძლია, რადიკალურად შეცვალოს სატურნირო ვითარება. მალაიზიური ეტაპის წინ „მაკლარენი“ რვა ქულით უსწრებდა „ფერარის“ და „სეპანგზე“ დუბლის შემთხვევაში ვადამდე მოიპოვებდა ჩემპიონობას.

წლევანდელი სეზონის ბოლოსწინა რბოლის უმთავრესი მოვლენა სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მიხაელ შუმახერის დაბრუნება გახდა, რამაც აშკარად დაჩრდილა ჰაკინენ-ირვინის საჩემპიონო დაპირისპირება. ჰოდა, შუმიც ისე დაბრუნდა, მის მებრძოლ ხასიათსა და ორგზის ჩემპიონის პრესტიჟს რომ ეკადრება.

მიხაელი გარეგნულად ძველებურად, ხალისიანად გამოიყურებოდა. ნაავარიები ფეხი სიარულისას აღარ აწუხებს, ეგაა, მარჯვენა მუხლზე უზარმაზარი ნაიარევი დარჩა. ეტყობა, არც მანქანის მართვისას აქვს პრობლემები, რაკი კვალიფიკაციაც და რბოლაც ჩინებულად, პრაქტიკულად უშეცდომოდ წარმართა.

კვალიფიკაცია ათიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა მიხაელმა თავისი „ფერარი“ ტრასაზე გამოაჯირითა და წრე ყველაზე სწრაფადაც გაიქროლა. ნახევარი საათის შემდეგ მანვე თავის დროს წამი ჩამოაკლო და საბოლოოდ პირველი სასტარტო პოზიციაც დაიბევა. იყოჩაღა ირვინმაც, რომელმაც რამდენიმეეტაპიანი კრიზისის შემდეგ, როგორც იქნა, პირველ რიგში დადგომის უფლება მოიპოვა. ასე რომ, „სეპანგის“ პირველი კვალიფიკაცია „ფერარის“ შთამბეჭდავი დუბლით დასრულდა.

შუმახერმა რბოლის სტარტზეც არავის დაანება ლიდერობა და თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ქარავანს. თუმცა დროებით — უკვე მეოთხე წრეზე წინ გაუშვა ირვინი, რომელსაც ჰაერივით ესაჭიროებოდა ამ რბოლის მოგება, რაკი ეს მისი ბოლო შანსი იყო ჰაკინენთან დუელში, თავად მიხაელს კი „მაკლარენები“ უნდა შეეკავებინა. მაგრამ უკვე მე-5 წრეზე კულჰარდის ზედმეტად რისკიანი, თუმც ზუსტად გათვლილი მანევრი გამოეპარა და შოტლანდიელის ზურგს უკან აღმოჩნდა.

კულჰარდი ირვინს ჩაუჯდა კუდში და რამდენჯერმე გასწრებაც სცადა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. მე-15 წრეზე კი მის „მაკლარენს“ უკანა საბურავი გაუსკდა და ბრძოლასაც გამოეთიშა.

20 წრის შემდეგ ირვინის უპირატესობა ათ წამამდე გაიზარდა. ჰაკინენი გააფთრებით ცდილობდა შუმახერის გასწრებას, მაგრამ იგი უშეცდომოდ იცავდა თავს, მეოთხე პოზიციაზე კი წინა რბოლის გმირი ჯონი ჰერბერტი მიდიოდა. დაწინაურებული ოთხეული იმდენად უსწრებდა დანარჩენებს, რომ ბოქსებში სხვებზე ადრე შესვლის მიუხედავად მაინც შეინარჩუნა ლიდერობა. შუმახერის მხრიდან მდევრების შეკავებით კი ირვინს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა.

საწვავის მეორედ ჩასამატებლად ბოქსებში შეჩერებით ედიმ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა „ფერარის“ მექანიკოსებმა მხოლოდ 6,7 წამით შეაყოვნეს. ლიდერობა კი კვლავ შუმახერმა იგდო ხელთ, მაგრამ, ცხადია, ისევ დროებით — ფინიშამდე სამი წრით ადრე მეორედ გაუშვა წინ თანაგუნდელი, რითაც ერთიანად გაუსტუმრა ადრინდელი ვალები.

საბოლოოდ „ფერარიმ“ ბრწყინვალე დუბლით დაასრულა პირველი მალაიზიური ეტაპი და პირადშიც და გუნდურ ჩათვლაშიც დაიბრუნა ლიდერობა.

მაგრამ რბოლის შემდგომ პრიზიორთა ბოლიდების აუცილებელი ტექნიკური შემოწმებისას ორივე „ფერარის“ სერიოზული კონსტრუქციული დარღვევა აღმოუჩინეს, კერძოდ, დეფლექტორის წინა ნაწილების ზომა ნორმებს არ შეესაბამებოდა, ამას კი შეიძლებოდა რბოლის შედეგებზე მოეხდინა გავლენა. ამიტომ პირველ-მეორე ადგილებიც და 16 ქულაც ჩამოართვეს. გამარჯვებულად მესამეადგილოსანი ჰაკინენი გამოცხადდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სააპელაციო ჟიური „ფერარის“ პროტესტს არ დააკმაყოფილებს, ფინელი მრბოლი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდება.

აპელაციას ამ დღეებში განიხილავენ. ადვილი შესაძლებელია, წლევანდელი საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატის ბედი FIA-ს სხდომათა დარბაზში გადაწყდეს და არა ბოლო ეტაპზე იაპონიის დიდი პრიზის გათამაშებისას.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

**მალაიზიის დიდი პრიზი,**
17 ოქტომბერი, კუალა ლუმპური
დისტანცია — 56 წრე — 310,352 კმ

1. ჰაკინენი (მაკლარენი) 1:36.48,237 (192,359 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰერბერტი (სტიუარტი) ჩამორჩა 7,795 წმ 6 ქულა
3. ბარიკელო (სტიუარტი) 22,553 4 ქულა
4. ფრენცენი (ჯორდანი) 25,141 3 ქულა
5. ალეზი (ზაუბერი) 44,665 2 ქულა
6. ვურცი (ბენეტონი) 51,191 1 ქულა
7. ხენე (მინარდი) 1 წრით
8. ძანარდი (უილიამსი) 1 წრით
9. ფიზიკელა (ბენეტონი) 4 წრით

**საუკეთესო წრე**

ფრენცენი (1.40,631)

**ლიდერები**

1-3 წრე მ. შუმახერი
4-25 წრე ირვინი
26-28 წრე მ. შუმახერი
29-41 წრე ირვინი
42-52 წრე მ. შუმახერი
53-56 წრე ირვინი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ვილნევი (BAR) | გაიარა 48 წრე |
| დინიცი (ზაუბერი) | 44 |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 30 |
| ბადოერი (მინარდი) | 15 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 14 |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 7 |
| ტაკაჯი (ეროუსი) | 7 |
| ზონტა (BAR) | 6 |
| პანი (პროსტი) | 5 |
| ჰილი (ჯორდანი) | 0 |
| ტრული (პროსტი) | 0 |

**დისკვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| ირვინი (ფერარი) | 56 1:36.38,494 |
| მ. შუმახერი (ფერარი) | 56 1:36.39,534 |

## განლაგება სტარტზე

15. ტაკაჯი 1:44,637 ეროუსი
20. ბადოერი 1:44,321 მინარდი
14. დე ლა როსა 1:43,579 ეროუსი
21. ხენე 1:43,563 მინარდი
19. ტრული 1:42,948 პროსტი
12. დინიცი 1:42,933 ზაუბერი
5. ძანარდი 1:42,885 უილიამსი
11. ალეზი 1:42,522 ზაუბერი
8. ფრენცენი 1:42,380 ჯორდანი
23. ზონტა 1:42,310 BAR
18. პანი 1:42,208 პროსტი
9. ფიზიკელა 1:42,110 ბენეტონი
22. ვილნევი 1:42,087 BAR
7. ჰილი 1:42,050 ჯორდანი
6. რ.შუმახერი 1:41,558 უილიამსი
10. ვურცი 1:41,444 ბენეტონი
16. ბარიკელო 1:41,351 სტიუარტი
17. ჰერბერტი 1:40,937 სტიუარტი
1. ჰაკინენი 1:40,866 მაკლარენი
2 კულჰარდი 1.40,806 მაკლარენი
4. ირვინი 1:40,635 ფერარი
3. მ.შუმახერი 1:39,688 ფერარი

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | – | 10 | 6 | – | 2 | 10 | | 72 |
| 2 **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | 10 | 4 | 3 | 1 | – | – | | 60 |
| 3 **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | 4 | 3 | 4 | 10 | – | 3 | | 53 |
| 4 **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | 2 | 6 | 10 | 2 | – | – | | 48 |
| 6 **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 6 | 3 | – | | 33 |
| 5 **მ.შუმახერი** (გერმანია) ფერარი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | – | | 32 |
| 7 **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | – | 2 | – | 3 | 4 | 4 | | 23 |
| 8 **ჰერბერტი** (ბრიტანეთი) სტიუარტი | – | – | – | – | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | 10 | 6 | | 18 |
| 9 **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | – | – | – | – | – | – | | 13 |
| 10 **სალო** (ფინეთი) ფერარი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | – | – | 4 | – | – | | 10 |

*ჰილი (ჯორდანი), ტრული (პროსტი) — 7 ქულა, ვურცი (ბენეტონი) — 4; დინიცი (ზაუბერი), ალეზი (ზაუბერი) — 3; პანი (პროსტი) — 2; დე ლა როსა (ეროუსი) და ხენე (მინარდი) — 1*

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენ მერსედესი | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | 2 | 16 | 16 | 2 | 2 | 10 | | 120 |
| 2 ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | 4 | 3 | 5 | – | – | | 102 |
| 3 ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | 4 | 4 | 5 | 10 | – | 3 | | 60 |
| 4 სტიუარტი | 2 | – | 4 | – | – | 2 | 4 | – | – | – | 2 | – | 3 | 14 | 10 | | 41 |
| 5 უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | 6 | 3 | – | | 33 |

*ბენეტონი — 17; პროსტი — 9; ზაუბერი — 6; ეროუსი, მინარდი — 1*

# ვარკეთილის ავი მიწა

| |
|---|
| 12 ოქტომბერი თბილისი |
| **ლოკომოტივი-2 — ზორდა 26:36 (14:21)** |
| 12 ოქტომბერი თბილისი |
| **„დინამო" — „აია" 18:18 (3:15)** |
| 17 ოქტომბერი |
| **თსუ — „ლოკომოტივი-2" 67:0 (29:0)** |
| 17 ოქტომბერი თბილისი |
| **ზორდა — აია 21:11 (10:11)** |

ყურადღება მოაკლდა მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეორე ჯგუფის თამაშებს. ეს გასაგებიცაა. მთელი გულისყური ლიდერებისკენაა მიპყრობილი. როგორ განაწილდება საპრიზო ადგილები — უპირველესად ეს აინტერესებთ რაგბის ქომაგთ.

თუმცა დაძაბულობით და ინტრიგით II ჯგუფის შეხვედრები I ჯგფისას ნამდვილად არ ჩამორჩება, შეიძლება უფრო საინტერესოც კი იყოს. სარაგბო ენებათალელვას ისიც აძლიერებს, რომ ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები უმაღლეს ლიგას დატოვებენ. ალბათ, ესაა იმის მიზეზი, რომ მოედანზე გასული გუნდები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ და თავდაუზოგავად იბრძვიან.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, II ჯგუფის გუნდებს შორის ყველაზე შთამბეჭდავად „ზორდა" გამოიყურება. მან თავისი სიძლიერე ორ ტურში გამართულ შეხვედრებშიც დაამტკიცა — 12 და 17 ოქტომბრის არცთუ იოლ მატჩებში „ლოკომოტივ-2"-სა და „აიას" სძლია.

12 ოქტომბერს, რკინიგზელებთან „ზორდა" თავიდანვე იგებდა. მართალია, ანგარიშში ძალიან არ დაწინაურებულა, მაგრამ დასაწყისიდანვე ცხადი იყო, რომ თამაშს მოიგებდა. აი, 17-ში კი გაუჭირდა. ქუთაისელები პირველ ტაიმში ნამდვილად ჯაბნიდნენ მეტოქეს, ჯერ 0:8 იყო ანგარიში, შემდეგ 3:10. მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლო „ზორდამ" სხვაობის მინიმუმამდე შემცირება. მეორე ტაიმში კი „აია" დაიღალა და წააგო კიდეც.

„აია" პირველი ტურის შეხვედრაშიც უგებდა თავიდან „დინამოს" (3:15), თუმცა არასაკმარისი ფიზიკური მომზადების გამო საბოლოოდ დამარცხდა. თუ ქუთაისელებმა თავიანთ ოსტატობას (რასაც მათ ვერავინ დაუკარგავს) ძალღონე და გამძლეობა არ შემატეს, ნაღდად არაფერი გამოუვათ. ჩემპიონატში ახალჩაბმულმა „დინამომ" კი ყველას აჩვენა, რომ ბრძოლა ძალუძს და სიურპრიზების შემოთავაზებაც შეუძლია.

17 ოქტომბერს თსუ—„ლოკომოტივი 2"-ის შეხვედრა ლელოების სიმრავლით გამოირჩა. სტუდენტმა მორაგბეებმა სულ 11 ლელო გაიტანეს. შეიძლება ითქვას რამდენჯერაც გაიქცნენ, იმდენჯერ დაამიწეს ბურთი მეტოქის სალელოე მოედანზე. მოწინააღმდეგემ მათ ვერაფრით უპასუხა, რკინიგზელები სრულიად უმწეონი იყვნენ.

ამ ორი ტურის ოთხი მატჩიდან სამი ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე ჩატარდა. ყველამ იცის, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია ეს მოედანი. მასზე თამაში ლამის გმირობის ტოლფასია. მით უფრო, როცა თანაბარძალოვანი გუნდები თამაშობენ — მაშინ მინდვრის ხრიოკი საფარი არაერთი მორაგბის ცოდვას იდებს. „ლოკომოტივი-2"—„ზორდასა" და „ზორდა"—„აიას" შეხვედრებშიც ასე იყო. მოთამაშეებს მუხლები და იდაყვები გადაეყვლიფათ, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძოლეს.

ორი ტურის შემდეგ II ჯგუფში ასეთი ვითარებაა:

| | თ | მ | ფ | წ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5. „ზორდა" | 18 | 9 | 1 | 8 | 9 | 26 |
| 6. თსუ | 17 | 6 | 1 | 10 | 9 | 21 |
| 7. ლოკომოტივი-2 | 16 | 2 | 0 | 14 | 4 | 7 |
| 8. აია | 16 | 3 | 1 | 12 | 2 | 7 |
| 9. დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |

ზურა ბენიძე



# პატრასში იშვიათი ამბავი ხდება
## ქართველი გოგონები ლიდერს მიაცილებენ

შვეიცარული სისტემით მიმდინარე საჭადრაკო ტურნირებში იშვიათია შემთხვევა, როცა რომელიმე მოჭადრაკე მყარად იპყრობს ხოლმე ლიდერობას. ასეთ ტურნირებში ძირითადად ბოლო ტურები წყვეტენ ყველაფერს. საბერძნეთში, პატრასის იუნიორ ვაჟთა და გოგონათა ევროპის ჩემპიონატებზე სიტუაცია განსხვავებულია. 11 ტურის შემდეგ, ფინიშამდე 2 ტურით ადრე ვაჟებსაც და გოგონებსაც გამოკვეთილი ერთპიროვნული ლიდერები ჰყავთ. განსაკუთრებით ეს ვაჟებზე ითქმის, სადაც ჰოლანდიელი დენის დე ფროიგტი პირდაპირ შეუჩერებელი გახდა. მან ზედიზედ რამდენიმე პარტია მოიგო და ქულანახევრით დაწინაურდა, რაც მის საჩემპიონო შანსებს ურეალურესს ხდის. დე ფროიგტს ახლა 9 ქულა აქვს, ხოლო რუს ალექსეი ილუშინსა და პოლონელ მარეკ სტრიჟევსკის — 7,5-7,5. 7-ქულიანი 7 მოჭადრაკეა და ამათ შორისაა უწინდელი ლიდერი, მასპინძელი სტელიოს ჰალკიასი.

გოგონების ლიდერს 9 ქულა აქვს. იგი გახლავთ სლოვაკი რეგინა პოკორნა, რომელსაც ჰალკიასივით კი არ დაუკარგავს მოწინავე პოზიცია: თავიდანვე რომ წინ გაიჭრა, დღესაც არავის იკარებს ახლოს, თუმცა ქართველები იქვე არიან. მეორე ადგილზე სოფო ტყეშელაშვილია, რომელიც პოკორნას ერთი ქულით ჩამორჩება და თავის მხრივ ერთი ქულით უსწრებს გოგონათა დიდ ჯგუფს, რომელშიც ანა მათნაძე და რუსუდან გოლეთიანიც შედიან.

დავით გულუა



# მურვანიძეს იცნობენ, იწვევენ

ვენაში მსოფლიოს უძლიერესმა ფიგურისტებმა სეზონის პირველ დიდ, „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ეს მემორიალური შეჯიბრი კარლ შეფერის ხსოვნას ეძღვნება. მასში მონაწილეთა ვინაობას რეიტინგი განსაზღვრავს, ამიტომ იქ ყველას არ იწვევენ. სასიხარულოა, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელ ყინულზე სრიალის პატივი ჩვენებურ ვახტანგ მურვანიძესაც ერგო. სულ კი ვენაში 14 ქვეყნის 18 რჩეულმა სპორტსმენმა იასპარეზა. მურვანიძემ მეხუთე ადგილი დაიკავა და შეიძლება ითქვას, სეზონი რიგიანად დაიწყო.

მალე მურვანიძე, კვლავაც პერსონალური მიწვევით, დიდი პრიზის ორ ტურნირში ისრიალებს. ერთი მათგანი 10 ნოემბერს დაიწყება გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში, მეორე კი — 25 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგში. ამ ტურნირებში გამოსვლა ადრევე დაიგეგმა, ამ დღეებში კი ვახტანგი ისრაელშიც მიიწვიეს ამ ქვეყნის თასზე. ესეც საკმაოდ პოპულარული საერთაშორისო ტურნირია. მურვანიძე ამჟამად მოსკოვში ვარჯიშობს და „აღთქმულ მიწაზეც" იქიდან გაემგზავრება.

ირაკლი თავაძე


19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა
დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროებში

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

Absolute Howard Energy

Sheraton Metechi Palace HOTEL TBILISI, GEORGIA

მეგაკომი

ს/ს „ქართული შაქარი"


## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ლერი ხაბელოვი**

თავისუფალი ჭიდაობა

*დაიბადა 1964 წლის 5 ივლისს. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ოთხგზის (1985, 1987, 1988, 1992) და მსოფლიოს ხუთგზის (1985, 1987, 1990, 1991, 1993) ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელი, ბარსელონის ოლიმპიადის (1992) ჩემპიონი, სეულის ოლიმპიადის (1988) ვიცე-ჩემპიონი.*



1. ყველაზე სასიამოვნო მოგონება 1985 წლის მსოფლიოს პირველობის მოგებაა. მაშინ პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. ამიტომ ის გამარჯვება განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ყველაზე გულდასაწყვეტი კი 1988 წელს სეულში, ოლიმპიადის ფინალში რუმინელ ვასილე პუშკაშუსთან წაგება იყო.
2. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს სპორტს. მარტო დეპარტამენტი ვერაფერს გახდება. სახელმწიფომ საგანგებო პროგრამა უნდა შეიმუშაოს სპორტის განვითარებისათვის და მეტი ყურადღება მიაქციოს მას, მეტი ფინანსური დახმარებაა საჭირო. აუცილებელია, შეღავათები გაეწიოთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც სპორტში თანხებს ჩადებენ. ასეთი ნაბიჯი მათ სტიმულს მისცემს უფრო მნიშვნელოვანი დახმარებისთვის. ჩემი აზრით, გამოსავალი ესაა.
3. ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, მაია ჩიბურდანიძე



# ზოგჯერ ღრიალიც წამალია

ვენა. ავსტრია. „CA ტენის ტროფი“.
დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 800 ათასი $

მეოთხედფინალი: **ნიკოლას კიფერი** (7, გერმანია) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 6:0, 6:4; **გრეგ რუზეცკი** (5, ინგლისი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 7:5, 6:2; **რიჩარდ კრაიჩეკი** (6, ჰოლანდია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:1; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 2:6, 6:4, 6:1

ნახევარფინალი: **რუზეცკი** — ფედერერი 6:3, 6:4; **კიფერი** — კრაიჩეკი 7:6 (11:9), 6:4

ფინალი: **რუზეცკი** — კიფერი 6:7 (5:7), 2:6, 6:3, 7:5, 6:4

ჯერ კიდევ გასული კვირის დასაწყისში, მეორე წრის შეხვედრაში ანდრეი მედვედევის დამარცხების შემდეგ გრეგ რუზეცკი საკუთარი თავით კმაყოფილ კაცს ნამდვილად არ ჰგავდა: „არც კი ვიცი, ეს შეხვედრა როგორ მოვიგე, ეს უფრო ანდრეის დამსახურებაა. ზედიზედ რვა კვირაა, ვთამაშობ და უკვე ისე დავიღალე, ბურთის და ჩოგნის დანახვაც არ მინდა. ერთი სული მაქვს, როდის დავისვენებ“.

თამაშის სურვილი გრეგს მხოლოდ იმან დაუბრუნა, რომ მისი სავარაუდო მეტოქეები — ტიმ ჰენმანი და კაროლ კუჩერა ადრევე გამოეთიშნენ ასპარეზობას და ფინალისკენ გზაზე ინგლისელს მათ ნაცვლად სებასტიან გროსჟანი და 18 წლის როჯერ ფედერერიდა გადაეღობნენ. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება კი ჩოგბურთში ყველაზე დიდი ყბისა და ფართო ღიმილის პატრონ ინგლისელს სულაც არ სურდა.

ფინალს ინტრიგა იმანაც შემატა, რომ რუზეცკის ნიკოლას კიფერთან ძველი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი: ბაზელის ტურნირზე იგივე მეტოქესთან ინგლისელს 4:1 უპირატესობა შემოეფანტა და დამარცხდა, მერე კი 22 წლის გერმანელს გამომწვევ ქცევასა და ხმამაღალი შეძახილებით მისი განზრახ გაღიზიანების მცდელობაში დასდო ბრალი.

„მაშინ იგი კუთხეში მივიმწყვდიე, მაგრამ თავად გავიფუჭე საქმე. ახლა იგივე შეცდომას არ გავიმეორებ და სულელური გამოხტომების გამო არ დავმარცხდები“ — განაცხადა ექს-კანადელმა ფინალის წინ.

თუმცა დანაქადნის შესრულება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ნიკოლას კიფერი გამოცდილი მწვრთნელის — ბობ ბრეტის ხელში წლეულს თავისი უდიდესი პოტენციალის ათვისებას შეუდგა, სამი ტურნირის მოგებაც მოასწრო და თავიდან თვემდე თამაშშიც მოუმატა.

მეოთხედფინალში გერმანელი შთამბეჭდავად გაუსწორდა მსოფლიოს მეორე ჩოგან ევგენი კაფელნიკოვს (სოჭელმა წაგების გასამართლებლად მოიმიზეზა, სუფთა ჰაერზე ყოფნისა დაგოლფის თამაშით გულის გადაყოლების შესაძლებლობა არ მქონდაო), მერე გიგანტი ჰოლანდიელი კრაიჩეკიც შეიწირა და თვით რუზეცკისაც ათქმევინა, უმძიმესი შეხვედრა მელისო.



ვინუს უილიამსი

REUTERS ციურიხიდან



გრეგ რუზეცკი

REUTERS ვენიდან

მატჩის პირველ ხელში ინგლისელს წინ გასვლის უამრავი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ უფსკრულის პირას აღმოჩენილი კიფერი ზუსტად და აულეველად აბრიყვებდა ბადესთან გასულ მეტოქეს და ბრეიკ-პოინტს ბრეიკ-პოინტზე არჩენდა.

გერმანელს ტაი-ბრეიკზეც უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და აქაც იმარჯვა, რუზეცკი კი გამოუყენებელი შანსების გამო ისე გულაცრუებულად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, შეხვედრაზე ხელი უკვე ჩაიქნიაო.

თუმცა ინგლისელი დანებებას არ აპირებდა და ძალები, რარიგ ირონიულიც უნდა იყოს, იმან შემატა, რომ ორი წლის წინ სწორედ ვენის ტურნირის ფინალში თავად დამარცხდა გორან ივანიშევიჩთან პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ: „თავს ვუთხარი, თუ ივანიშევიჩმა შენ ასეთი რამ გაგიკეთა, შენც შეგიძლია სხვას გაუკეთო-მეთქი. გადავწყვიტე ყურადღება აღარაფრისთვის მიმექცია და ბოლომდე მებრძოლა“.

რუზეცკიმ ამჯერად ხმამაღალი შეძახილებითა და მოღერებული მუშტებით თავად გამოიწვია მეტოქე, კიფერი ანკესზე წამოაგო და მატჩში გარდატეხაც შეიტანა: განერვიულებულმა გერმანელმა შეცდომებს უხშირა, მეოთხე სეტში 5:4-ზე მატჩ-პოინტიც ვერ გამოიყენა და ველარც მეტოქის 31 ეისს მოუხერხა რაიმე.

3 საათი და 43-წუთიანი მატჩი რუზეცკიმ ბადესთან აგრესიული შეტევით დაასრულა: „ზოგჯერ რაღაც ხრიკები უნდა გამოიყენო კიფერის წინააღმდეგ, რადგან იგი ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია. ვფიქრობ, ის დღეს მართლაც წესიერად იქცეოდა“.

კედელზე თავის რტყმის ხასიათზე არც კიფერი ყოფილა: „ეს განსაკუთრებული კვირა იყო, რადგან ორშაბათიდან საუკეთესოთა ათეულში მოვხვდები (მე-8 ადგილზე). მართალია, ჩემი გეგმები ფინალში წაგებას არ ითვალისწინებდა, მაგრამ კაფელნიკოვისა და კრაიჩეკის დამარცხებით ძალიან კმაყოფილი ვარ“.

სინგაპური. „ჰაინეკენი“. ღია პირველობა. დარბაზი. ჰარდი.
საპრიზო 700 ათასი $

მეოთხედფინალი: **მარსელო რიოსი** (1, ჩილე) — ჟან-მაიკლ გემბილი (7, აშშ) 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (4, ავსტრალია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:4, 6:2; **პარადორნ სრიჩაპანი** (ტაილანდი) — ენდრიუ ილი (6, ავსტრალია) 7:5, 3:6, 7:6 (7:3); **მიკაელ ტილსტრომი** (შვედეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:4), 4:6, 6:3.

ნახევარფინალი: **რიოსი** — ჰიუიტი 7:5, 6:3; **ტილსტრომი** — სრიჩაპანი 6:4, 3:6, 6:3.

ფინალი: **რიოსი** — ტილსტრომი 6:2, 7:6 (7:5).

1998 წლის მარტში მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომის შემდეგ მარსელო რიოსს მუდმივად უილბლობები სდევს თან: კიკინიან ჩილელს დაუზიანებელი სხეულის ლამის არც ერთი კიდური არ დარჩა, ტრავმების გამო თვეობით იძულებით დასვენება უხდება, ზაფხულში კი საყვარელი ქალიც გამქცა.

ასეთ დღეში მყოფ მარსელოს ფინალში ჩადგომამ და სინგაპურში ზედიზედ მეორედ გამარჯვებამ გუნება ცოტათი მაინც გამოუკეთა: „ამ წუთში ერთადერთი მიზანი მაქვს — ჯანმრთელობის შენარჩუნება და ტრავმების თავიდან აცილება. იმედია, ეს წელი უფრო სასიამოვნოდ დასრულდება, ვიდრე დაიწყო (იანვარში რიოსს ხერხემლის მალა გაებზარა და გაზაფხულამდე მატჩიც არ ჩაუტარებია)“.

ციურიხი. შვეიცარია. ევროპის ღია ჩემპიონატი. დარბაზი. ჰარდი.
საპრიზო 1,05 მილიონი $

მეოთხედფინალი: **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ჟული ალარი (6, საფრანგეთი) 6:2, 6:3; **მარი პირსი** (3, საფრანგეთი) — დომინიკ ვან რუსტი (7, ბელგია) 6:2, 6:4; **ნატალი ტოზია** (8, საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 3:6, 6:2; **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — კორინა მორარიუ (აშშ) 7:5, 6:2.

ნახევარფინალი: **ჰინგისი** — ტოზია 6:3, 4:6, 6:3; **უილიამსი** — პირსი 6:4, 6:4.

ფინალი: **უილიამსი** — ჰინგისი 6:3, 6:4.

ვინუს უილიამსი არავის დახმარებას არ საჭიროებს.

კარიერაში პირველად, ტურნირზე ოჯახის წევრების თანხლების გარეშე მოთამაშე შავკანიანმა ვენერამ ციურიხში ტიტული და 150 ათასი დოლარი მოინადირა, თანაც ფინალში მოსისხლე მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი დაამარცხა.

„მშობლები მენდნენ და ძალიან მიხარია, რომ მათ იმედი არ გავუცრუე. ბუნებრივია, ასაკის მატებასთან ერთად ყველა უფრო დამოუკიდებელი ხდება მეც არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ამისი, თუმც უმჯობესი იქნებოდა, და ისინიც აქ ყოფილიყვნენ“ — განაცხადა გამარჯვებულმა, რომელსაც ევროპაში პიტ სამპრასის საპატივცემულოდ სახელშერქმეული ძაღლი, პიტილა ახალისებდა.

ჰინგისს კი უილიამსების ოჯახმა ბევრი სანერვიულო და საფიქრალი გაუჩინა: იგი უკვე ზედიზედ ორ-ორჯერ დამარცხდა სერენასთანაც და ვინუსთანაც და მათ უხეშ ძალასთან გამკლავება სულ უფრო უჭირს.

„გაისად კლასიფიკაციის პირველი ადგილის დაკავება ჩემი მთავარი მიზანი იქნება. წლეულს დიდი სლემის ტურნირებზე არც ისე წარმატებით ვიასპარეზე, თუ ვარჯიშს არ დავიზარებ, კიდევ ბევრის მომატება შემიძლია“ — აფრთხილებს თუ ღიად ემუქრება ვინუსი 19 წლის შვეიცარიელს.

**ავთანდილ სვანიძე**

## ჰოკეი

15 ოქტომბერი

**ტამპა — ანაჰაიმი 2:3**

1:1 1:1 0:1

1:0 რიშე 1'31 (1); 1:1 დონატო 12'18 (1); 2:1 რიშე 23'41 (2); 2:2 კარია 38'05 (2); 2:3 ლეკლერკი 41'58 (1)

**ჩიკაგო — ტორონტო 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 ჰოგლუნდი 12'04 (6); 0:2 პერო 36'31 (2); 1:2 მარშა 52'09 (2)

**დალასი — ბოსტონი 2:2**

1:0 0:2 1:0 0:0

1:0 ლეჰტინენი 2'38 (2); 1:1 ბურკი 30'19 (2); 1:2 ანდრეიჩუკი 37'48 (3); 2:2 მოდანო 54'17 (3)

**კალგარი — ლოს ანჯელესი 1:4**

0:0 1:2 0:2

0:1 სმოლინსკი 25'31 (1); 1:1 ლინდსეი 30'44 (1); 1:2 ჯ. ბლეიკი 32'15 (1); 1:3 ოდეტი 47'13 (1); 1:4 ტუომაინენი 49'40 (1)

**ვანკუვერი — კაროლინა 1:4**

0:1 0:3 1:0

0:1 კაპანენი 5'01 (4); 0:2 ონეილი 28'22 (1); 0:3 ბატალია 29'31 (2); 0:4 ონეილი 33'21 (4); 1:4 კესელსი 59'24 (2)

16 ოქტომბერი

**მონრეალი — ბუფალო 2:1**

1:1 1:0 0:0

0:1 შატანი 15'16 (3); 1:1 კამინსი 18'54 (1); 2:1 სავაჟი 33'40 (7)

**ნიუ ჯერსი — აილენდერსი 4:1**

0:1 1:0 3:0

0:1 ფერარო 3'05 (1); 1:1 გომესი 21'35 (1); 2:1 ოლივა 43'43 (3); 3:1 ჰოლიკი 55'25 (6); 4:1 სტივენსი 58'22 (1)

**პიტსბურგი — ჩიკაგო 3:3**

1:1 1:0 1:2 0:0

0:1 კოტი 10'37 (1); 1:1 იაგრი 16'00 (4); 2:1 ლანგი 22'30 (3); 2:2 ელისონი 44'21 (1); 2:3 ერიკსონი 50'05 (1); 3:3 იაგრი 58'29 (5)

**ვაშინგტონი — სან ხოსე 2:3**

0:1 1:1 1:1

0:1 ნოლანი 6'41 (8); 1:1 იუჰანსონი 25'20 (1); 1:2 სტიუარტი 36'03 (2); 1:3 მატო 45'32 (3); 2:3 ბულისი 56'41 (4)

**ტამპა — ატლანტა 4:4**

1:1 0:3 3:0 0:0

1:0 რიშე 4'18 (3); 1:1 ბრიუნეტი 9'31 (3); 1:2 ტრამბლე 22'11 (1); 1:3 ბუზეკი 31'40 (2); 1:4 ბრიუნეტი 37'15 (4); 2:4 ლეკავარიე 42'07 (1); 3:4 სილინჯერი 52'30 (3); 4:4 გრეტონი 54'47 (1)

**ფლორიდა — ანაჰაიმი 3:2**

1:0 1:1 0:1 1:0

1:0 პერიში 1'03 (2); 1:1 ლეკლერკი 22'21 (2); 2:1 შვეჰლა 28'01 (2); 2:2 რუჩინი 52'44 (3); 3:2 შპაჩეკი 61'26 (1)

**დეტროიტი — ფილადელფია 3:2**

1:0 1:1 1:1

1:0 დრეიპერი 4'59 (2); 2:0 ბრაუნი 21'50 (2); 2:1 რეკი 26'59 (2); 3:1 კოზლოვი 48'51 (2); 3:2 ლეკლერი 51'44 (3)

**სენტ ლუისი — ტორონტო 4:2**

1:0 3:1 0:1

1:0 იეიკი 19'57 (1); 2:0 ჰეხტი 23'25 (1); 3:0 პედერსონი 25'12 (1); 3:1 ბერეზინი 29'22 (3); 4:1 ისტვუდი 32'21 (1); 4:2 ჯონსონი 57'23 (3)

**ნეშვილი — დალასი 3:2**

2:0 1:1 0:1

1:0 რონინგი 5'11 (2); 2:0 ჯონსონი 12'41 (1); 3:0 პელტონენი 25'26 (1); 3:1 მოდანო 33'21 (4); 3:2 მოდანო 44'51 (5)

**კოლორადო — ოტავა 3:1**

1:0 1:0 1:1

1:0 ლემუ 11'13 (2); 2:0 იელი 39'24 (1); 3:0 საკიკი 48'20 (3); 3:1 ვან ალენი 49'58 (1)

**კალგარი — ვანკუვერი 4:4**

1:3 0:0 3:1 0:0

0:1 კარია 5'15 (2); 1:1 ბურე 15'36 (4); 1:2 მესიე 17'21 (1); 1:3 კესელსი 19'40 (3); 2:3 ნაზაროვი 43'05 (2); 3:3 ბურე 46'38 (5); 3:4 ნესლუნდი 47'14 (4); 4:4 სავარი 56'20 (1)

**ედმონტონი — ლოს ანჯელესი 5:4**

0:1 2:0 3:3

0:1 ვ. მიურეი 6'18 (1); 1:1 სმიტი 29'30 (4); 2:1 სელივანოვი 37'24 (3); გ. მიურეი 42'06 (2); 3:2 პოტი 47'13 (1); 4:2 კლირი 48'30 (1); 4:3 რ. ბლეიკი 51'23 (3); 5:3 კლირი 53'20 (2); 5:4 გ. მიურეი 56'43 (3)

**ფინიქსი — ბოსტონი 2:1**

0:0 1:1 1:0

0:1 ანდრეიჩუკი 35'31 (4); 1:1 ტკაჩუკი 37'46 (2); 2:1 გრინი 41'16 (4)

17 ოქტომბერი

**რეინჯერსი — ატლანტა 4:1**

1:0 2:0 1:1

1:0 ფლერი 1'08 (3); 2:0 ნედვედი 29'40 (2); 3:0 ფლერი 33'21 (4); 3:1 შენონი 40'23 (1); 4:1 ჰეჩერი 59'27 (1)

**ფილადელფია — ბუფალო 5:2**

1:0 1:2 3:0

1:0 განი 7'39 (3); 1:1 რასმუსენი 24'16 (1); 1:2 გრომეკი 25'33 (2); 2:2 ლეკლერი 30'48 (4); 3:2 ლინდროსი 47'03 (3); 4:2 ზელეპუკინი 47'24 (2); 5:2 დეჟარდენი 54'50 (1)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli